ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

jhif,fsb7 @* fghbkb7 @)!$ 198 (6409) afcb5 #) stshb

23 აპრილიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

ქართული დეტექტივი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ტომი 6

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი




# რესპუბლიკელები არჩევნების შემდეგ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დატოვებენ“




გვ.3

## ნანა დევდარიანი: „პარლამენტის თავმჯდომარის გადარჩევას წინ არაფერი უდგას“

## სულხან მოლაშვილი: „ხელისუფლება ნაციონალური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი“

გვ.2



## ლატარიის კომპანიის ჯეკპოტის გამარჯვებული ბრალდებას უარყოფს

გვ.5



## „ამერიკამ სააკაშვილის ჩაშვება გადაწყვიტა“

რატომ ალაპარაკდა ყოფილი ელჩი ექსპრეზიდენტის შეცდომებზე



გვ.4

## „ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატები დაასახელა



გვ.6

როდის გამოქვეყნდება საარჩევნო სიები

გვ.5

## გიორგი მარგველაშვილი: „რუსეთის გარიყვა სწორი არჩევანი არ არის“





## კახი კალაძე: „წელიწად-ნახევრის წინ ჩვენ დავიბრუნეთ ქვეყანა“

გვ.5

## რატომ დააკავეს თურქეთში ქართველი ფეხბურთელი

გვ.2

ISSN 1987-9385

5 დაასრულებს თუ არა უსამართლობას თვითმმართველობის არჩევნები

2 სააპელაციო სასამართლო ირაკლი ოქრუაშვილის სარჩელს დღეს განიხილავს

7 მამუკა გვაძაბია: „აფხაზეთში საქართველოს აგენტურული ქსელი გაანეიტრალეს“

5 დავით ქევხიშვილი სასამართლომ 100 ლარით დააჯარიმა

# სულხან მოლაშვილი: ხელისუფლება ნაციონალური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი“

მარიკა მჭედლიშვილი



**როგორც ჩანს, სამართლიანობისათვის ბრძოლა საქართველოში ახალ ფაზაში შედის. სამართლიანობის დამკვიდრებაზე, ქვეყნის ძველი რეჟიმის ნარჩენებისაგან გაწმენდასა და სასამართლო რეფორმის აუცილებლობაზე საქართველოში დაბრუნებული პოლიტპატიმარი, კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილიც ალაპარაკდა.**

სულხან მოლაშვილი იური ვაზაგაშვილის მიერ დაფუძნებულ ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე“-ს შეუერთდა. მათი ინიციატივით ორგანიზაციამ გაავრცელა მიმართვა, რომელშიც, ხელისუფლების „გულშემატკივრის“ პოზიციიდან საუბარია ძალისხმევის გაერთიანებაზე საიმისოდ, რომ მოხდეს სასამართლო სისტემის, სხვა უწყებების რეფორმირება. მიმართვის ავტორების აზრით, იმ მოსამართლეებს, პროკურორებსა და სხვა თანამდებობის პირებს, რომლებიც ძალადობრივი რეჟიმის, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ შეკვეთებს ასრულებდნენ, უნდა აეკრძალოთ ადამიანების ბედის გადაწყვეტა.

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე, რომელსაც მისი ჩვენებით (ამაზე მან 2012 წლის შემოდგომაზე ისაუბრა) პირადად აწამებდნენ გიგა ბოკერია, ზურაბ ადეიშვილი და ვალერი გრიგალაშვილი, გაოცებულია გრიგალაშვილის, და სხვა ჯალათებისა გამყალბებლების დაწინაურებით.

სულხან მოლაშვილის განმარტებით, აუცილებელია საკადრო ფილტრაციის გავლა, „ფუნდამენტური ცვლილებების გარეშე არაფერი მოხდება“. იგი დარწმუნებულია, რომ პროკურატურაში და სასამართლო სისტემაში სამუშაოდ ღირსეული პროფესიონალები უნდა მოვიდნენ, რომელთა რაოდენობა საქართველოში საკმარისია.

– როდემდე ვუყუროთ გრიგალაშვილებისა და კუბლაშვილების გაბღენძილ საქმიანობას? – კითხულობს სულხან მოლაშვილი, რომელსაც, ისევე როგორც სამართლიანობის მოსურნე სხვა ადამიანებს, ვერ გაუგია, რატომაა ახლანდელი ხელისუფლების პირობებში ყველა უწყებაში თუ სფეროში ყველაფერი „ნაციონალური სულისკვეთებით გაჟღენთილი“.

სასამართლო სისტემაში რომ „ქართული ოცნების“ მოსვლით ფაქტიურად არაფერი შეცვლილა, ამაზე ბევრი საუბრობს. ყველას გვახსოვს, როგორ უწოდეს „ქართული ოცნების“ მამებმა კოტე კუბლაშვილს რეფორმატორი.

– სასამართლო კვლავ პოლიტიზებულია და კვლავ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია. მოსამართლეები დღესაც განიცდიან ზეწოლას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კუბლაშვილისაგან, – აცხადებს ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, კოტე კუბლაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ და მისი ლიდერის მიხეილ სააკაშვილის ერთგული დარჩა. იგი მთელ საქართველოს დასცინის. კოტე კუბლაშვილი იმდენად ჭკვიანი არის, რომ „ნაცმოძრაობის“ თათბირებზე არ იაროს. კონტაქტები „ნაცმოძრაობასთან“ ხდება მისი ძმის, პალიკო კუბლაშვილის მეშვეობით. ყველა საქმე, ადვოკატის განცხადებით, რომელიც შედის „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესთა არეალში, წყდება ამ პარტიის სასარგებლოდ. აქ, ხაჭაპურიძის აზრით, სამართალზე საერთოდ ზედმეტია საუბარი.

– კუბლაშვილი სანამ იქნება სასამართლოში, ფიქრიც კი, რომ ჩვენ სრულყოფილ სამართლიანობას მოვაღწევთ, სისულელეა. დღეს თუ სამართლიანი გადაწყვეტილებებია, ისინი იგივე მოსამართლეებს გამოაქვთ, ვინც „ნაციონალების“ დროს არ ემორჩილებოდა მათ და კანონიერ გადაწყვეტილებებს იღებდა. ვინც ჯიბის მოსამართლეები იყვნენ, დღესაც ჯიბის მოსამართლეებად დარჩნენ. ზოგიერთი მაღალჩინოსანი გამოდის და გვეუბნება, ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო, სასამართლო სისტემაში როგორი რეფორმა განხორციელდაო. კი, განხორციელდა. „ნაციონალებს“ დღე და ღამე ამართლებენ, – აღნიშნავს შალვა ხაჭაპურიძე.

უსამართლო და უზნეო მოსამართლეების, პროკურორებისა და გამომძიებლებისთვის უფლებამოსილების შეჩერებაზე ყველაზე ხშირად ყოფილი პოლიტპატიმრები, პოლიტდევნილები და პოლიტრეპრესირებულები საუბრობენ. მათაც ვერ გაუგიათ, როგორ უნდა დარჩნენ თანამდებობებზე, მით უმეტეს, დაწინაურდნენ ისინი, ვისაც სისხლში აქვს ხელი გასვრილი. საქართველოს პარლამენტმა ოფიციალურად აღიარა, რომ სააკაშვილის რეჟიმს 190 პოლიტპატიმარი და 25 პოლიტიკური დევნილი ჰყავდა. ეს მთელ მსოფლიოში, მათ შორის, საქართველოშიც, იმას ნიშნავს, სულ ცოტა, რომ მათი საქმეების გამყალბებლები თანამდებობებზე არ უნდა იყვნენ.

პოლიტპატიმრებმა ამ მოთხოვნის (და სხვა მოთხოვნების) შემცველი ოფიციალური მიმართვა გაუგზავნეს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს და პარლამენტის თავმჯდომარეს. პასუხი რომ ვერ მიიღეს, თითქმის 20-დღიანი საპროტესტო უწყვეტი აქცია გამართეს პარლამენტის თბილისის შენობასთან. თუმცა, უშედეგოდ. პოლიტრეპრესირებულები ბრძოლის გაგრძელებით იმუქრებიან.

– 2012 წლისსაპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებმა საქართველოს მოსახლეობას ჩაუსახა იმედი, რომ რომ სამართლიანობის პროცესი აღდგებოდა. თუმცა, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, განპირობებული ორხელისუფლებიანობისა და ე.წ. კოაბიტაციის გათვალისწინებით, აღნიშნული პროცესი გაიწელა დროში და და ამ ეტაპზე დადგა დრო, დაიწყოს სამართლიანობის აღდგენის ნანატრი ჟამი. – ამ სიტყვებით მიმართეს პოლიტრეპრესირებულებმა ხელისუფლებას.

ახლა ისინი უფრო რადიკალურები გახდნენ. უსამართლობის გამო იმედგაცრუებაა მოსახლეობის სხვა ნაწილშიც. „ქართული ოცნება“ კი სხვა საკითხებითაა დაკავებული. ამ დღეების მთავარი თემებია მილიონი ხის დარგვა, „ევრობაღები“ და სხვა. მმართველი პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ტელეეკრანებზე გამოჩენაა, რა თქმა უნდა, თავის უცვლელ ოპონენტებთან (უფრო პარტნიორებთან) ერთად. „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ შოუ-დებატები იმდენად არასერიოზულია, რომ ლამის ვოდევილის ფორმას იღებს. ამ ძალებს ხალხის აზრი რომ აინტერესებდეთ, გაიგებდნენ, რას ლაპარაკობენ მათზე, მათ პიარ-სპექტაკლებზე და არა მარტო ამ საკითხებზე ამ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებმაც ასეთი გადაცემების ყურებასაც და „ოცნების“ დაპირებების ნდობასაც მოუკლეს.

სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება, თუ საზოგადოება 15 ივნისის არჩევნების შედეგებშიც წამყვან პოზიციებზე „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ დუეტს, ანუ კოაბიტაციის მორიგ შეტევას იხილავს. მაშინ ნუ გაუკვირდება ჯიპების, პრემიების, სამორინეების, ინტრიგების, ჭამა-სმის მოყვარულ და მოძალადე რეჟიმის გამაცოცხლებელ „ოცნებას“, რომ ხალხი ქუჩაში გამოვა და პრობლემების მოგვარებასთან ერთად ხელისუფლების ლეგიტიმაციის საკითხსაც დააყენებს. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების იდეა საზოგადოებაში ისედაც პოპულარულია.

კოალიცია „ქართული ოცნების“ შიგნით მიმდინარე დაპირისპირებები სამართლიანობის დამკვიდრებაზე არ აისახება. მართალია, ღარიბაშვილის პარტია ღიად არ ლობირებს წინა რეჟიმს, მაგრამ, ირაკლი ღარიბაშვილისა და ეკა ბესელიას მკაცრი განცხადებებით სამართალი პურს ხომ ვერ ჭამს? ისე, კომპრომეტირებული ხალხი არც ამ პარტიას აკლია. კულუარული ინფორმაციით, ისინი, ვისზედაც „ნაცებს“ კომპრომატები აქვთ, ძირითადად, ჩუმად არიან და მათ დაჩაგრულების ინტერესები როგორ უნდა დაიცვან? „ქართული ოცნების“ პარტია რესპუბლიკელებივით დემოკრატიის მთავარ ამოცანად „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენას არ აცხადებს, არც ალასანიას პარტიელი ცაგარეიშვილივით არ ამბობს, „ნაციონალების“ ძელზე გასაკრავად არ მოვსულვართო.

ყველაფერი მაინც შედეგით იზომება. შედეგი კი ისაა, დიდი ფინანსების(დატაცებული ფულის) მქონე „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელოვნურად აძლერებენ; სააკაშვილის რეჟიმის დროს ნაწამებ, დევნილ და დაჩაგრულ ადამიანებს ისევ ვერ უპოვიათ სამართალი; საქმეების გამყალბებლები და ჯალათები პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან; ქვეყანაში მხოლოდ პირველი პირები, საპარლამენტო უმრავლესობა და მინისტრებია შეცვლილი, სხვა რგოლები „ნაცების“ ხელშია.

„ნაცმოძრაობის“ ღია მხარდამჭერები „ოცნების“ მიერ მოყვანილ ხალხშიც არიან. ეს ყველაფერი ეჭვის ქვეშ აყენებს სამართლიანობის დამკვიდრებას, ხალხის ინტერესების დაცვას და ხელს უწყობს სერიოზული კრიზისის გაღვივებას პრობლემებით დახუნძლულ ქვეყანაში.

## ქუთაისში „ნაციონალების“ მერობის კანდიდატი, შესაძლოა, გია თევდორაძე იყოს



„ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატი ქუთაისში, შესაძლოა, გია თევდორაძე იყოს. საპარლამენტო უმცირესობის წევრის განცხადებით, ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით მიღებული არ არის.

„სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობიდან“ ქუთაისში მერობის კანდიდატი მე ვიქნები, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია. ამ საკითხზე კონსულტაციებს კიდევ გავდივართ და უახლოეს დღეებში საზოგადოებისთვის დეკლარირებულად იქნება ცნობილი, თუ ვინ იქნება ქუთაისში „ნაცმოძრაობიდან“ მერობის კანდიდატი“ – აცხადებს თევდორაძე.

ნიუსპრესი

## ხურვალეთში დაკავებული სამი ქართველი გაათავისუფლეს

რუსი სამხედროების მიერ სოფელ ხურვალეთში დაკავებული სამი ქართველი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. ლალი და რუსუდან ხუროშვილების, ასევე ზეინაბ ხარხელის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

მათი თქმით, დაკავების შემდეგ ისინი ჯერ რუსულ ბაზაზე, შემდეგ კი ცხინვალის ციხეში იმყოფებოდნენ. სასამართლომ მათ ე.წ. საზღვრის უკანონოდ დარღვევის გამო ორი ათასი რუბლი დააკისრა. ისინი თანხის გადახდის შემდეგ გათავისუფლდნენ.

შეგახსენებთ, რომ ისინი ხურვალეთიდან რუსმა სამხედროებმა ორი დღის წინ, სოფლის განაპირას დააკავეს.

მედიანიუსი

## სააპელაციო სასამართლო ირაკლი ოქრუაშვილის სარჩელს დღეს განიხილავს

თბილისის სააპელაციო სასამართლო, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის საჩივარს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში რეგისტრაციასთან დაკავშირებით, დღეს განიხილავს. ამის შესახებ ოქრუაშვილის ადვოკატმა ზვიად კორძაძემ განაცხადა.

თავდაცვის უწყების ყოფილმა ხელმძღვანელმა, რამდენიმე დღის წინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, რის მიხედვითაც იგი ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას, როგორც კანდიდატი, ვერ მიიღებს. საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ოქუაშვილის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ოქრუაშვილის რეგისტრაციის საკითხი მას შემდეგ განიხილა, რაც „სამართლიანი საქართველოსთვის“ ხელმძღვანელმა სერგო ჯავახაძემ გორის საოლქო კომისიის განკარგულება გაასაჩივრა იმ მოტივით, რომ ირაკლი ოქრუაშვილს კანონის შესაბამისად ბოლო ორი წელი საქართველოში არ უცხოვრია. განხილვა სააპელაციო სასამართლოში, ხვალ 14:00 საათზე დაიწყება.

ნიუსპრესი

## რატომ დააკავეს თურქეთში ქართველი ფეხბურთელი

თურქი სამართალდამცველების მიერ სტამბოლის აეროპორტში დაკავებული ქართველი ფეხბურთელი გუშინ გათავისუფლებულია. ინფორმაციას ამის შესახებ სტამბულში საქართველოს საკონსულო ავრცელებს. დაკავების მიზეზი 16 წლის სპორტსმენის ხუმრობა გახდა, რომელმაც ბორტგამცილებლის გასაგონად თქვა, რომ მას ე.წ. „საათი ბომბი“ ეკეთა.

ბორტგამცილებელი და პილოტი აეროპორტის პოლიციას დაუკავშირდნენ, რის გამოც, მგზავრებს თვითმფრინავი დაატოვებინეს, სპორტსმენი კი სამართალდამცველებმა ადგილზე აიყვანეს.

რეისი სტამბოლი-თბილისი, სამსაათიანი დაგვიანების შემდეგ შესრულდა, 16 წლის ფეხბურთელი კი თურქეთის პოლიციამ ერთსაათიანი დაკითხვის შემდეგ გაათავისუფლა. ინციდენტის გარკვევაში, თურქეთში საქართველოს საელჩო და ფეხბურთის ფედერაცია მონაწილეობდა. საქართველოს ნაკრები თბილისში მაკედონიიდან ბრუნდებოდა.

ნიუსპრესი

## მარნეულში სიმამრმა ყოფილი სიძე მოკლა

მარნეულში, ცენტრალური ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ მაღაზიაში დღეს მკვლელობა მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, სიმამრმა ყოფილი სიძე შურისძიების მიზნით მოკლა.

თვითმხილველების თქმით, გარდაცვლილი ნაზიმ მამედოვი დილით საკუთარ მაღაზიაში მივიდა, რამდენიმე წუთში მაღაზიაში ხელყუმბარა შეაგდეს, შემდეგ კი, მკვლელობაში ეჭვმიტანილი მაღაზიაში შევიდა და მამედოვი საკონტროლო გასროლით მოკლა.

მოკლულის ახლობლები ამბობენ, რომ მამედოვი შურისძიების მიზნით ყოფილმა სიმამრმა, ხალიდ გასანოვმა იმის გამო მოკლა, რომ მან მისი შვილი მიატოვა და მეორე ცოლად მათივე ნათესავი მოიყვანა. გასანოვი სამართალდამცავებმა უკვე დააკავეს.

მედიანიუსი

## პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორების სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, თბილისში, აღმაშენებლის ხეივანზე ერთ-ერთი სასტუმროს ადმინისტრატორი, 1970 წელს დაბადებული ირმა ფ. პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებული, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გასამრჯელოს სანაცვლოდ ქალბატონებს ფართს პროსტიტუციისთვის უთმობდა.

სამართალდამცველებმა სასტუმროში მომუშავე ქალბატონები მოწმის სახით დაკითხეს.

გამოძიება პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლით მიმდინარეობს.

მედიანიუსი

ახალი თაობა
ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ
უფპტსბ
უფჯჯლუც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ
რჯყცკნფყნტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ბბფყბ
ცფბყფყყჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ
ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰწტკტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ
ლფრფ,ფლჯკტფ 2 ბყუფ ლდფკბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრ7 ვბჰფ მჯმბფიდბკბ
ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
ჰტლფმნზფიბ იტვჯცეკბ ვფცფკტ,ბ ფჰ ჰტწტყპზჰლტ,ფ ლფ
ფდნჯჰტ,ც ფჰ ე,ჰეყლტ,ფ8 ჰტლფმნზბც სფყვჯ,ბც უფჰტიტ
უფპტსიბ ლფ,ტზლბკბ ვფცფკტ,ბც7 ცეჰფსტ,ბც ლფ ცფჰტრკფვჯ
უფყნფლტ,ტ,ბც ცჰეკბ ფყ ყფობკჯ,ჰბდბ უფვჯ.ტყტ,ფ
ფრჰფკეკბფ8 ცნფნზფიბ უფვჯმდტ,ყტ,ეკბ ვფცფკტ,ბც ცბპეტნტპტ
გფცცც ფუტ,ც ფდნჯჰბ8 ცფფდნჯჰჯ ეკტ,ტ,ბ ლფწეკბფ8

# ნანა დევდარიანი: პარლამენტის თავმჯდომარის გადარჩევას წინ არაფერი უდგას“

ნონა ცაბაძე

## რას უნდა ელოდოს „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელებისგან

**ინტერვიუ გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ ნანა დევდარიანთან**

***— ქალბატონო ნანა, საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი კულუარებიდან მართავს ქვეყანას. მისმა გამოჩენამ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ზოგი გააღიზიანა კიდეც. როგორც ექსპერტის, როგორია თქვენი შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით? აქამდე ის ღიად არ გამოჩენილა...***

— არ გამოჩენილა, მაგრამ მე ადრეც მითქვამს, რადგან მისი წამოყენებული კანდიდატურაა, წინასაარჩევნო პერიოდში ის აუცილებლად მხარს დაუჭერს დავით ნარმანიას და არა მარტო ნარმანიას, არამედ ქართული ოცნების კანდიდატებს ყველგან. აი, ეს გამოჩენა სწორედ ამას უკავშირდება. ეს ჩარევა კი არ არის ქვეყნის მართვაში, არამედ ეს არის მხარდაჭერის გამოხატვა. როცა იგივე სხვა ცნობადი სახეები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები მხარს უჭერენ საარჩევნო კამპანიის დროს რომელიმე კანდიდატს, ან პარტიას, ამას შეიძლება დავარქვათ ჩარევა, მაგრამ ეს ასე არ არის. ჩარევა თუ არის, ის ამ გამოჩენით არ დასტურდება. შესაძლოა იყოს ჩარევა, მე ამას სრულიადაც არ გამოვრიცხავ, იმიტომ, რომ ის მეგაპროექტები, რომელიც გამოცხადდა თბილისთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ, ძალიან ჰგავს ბიძინა ივანიშვილის მინის კოშკის არქიტექტურას. ამდენად, ჩარევისთვის, აუცილებლად სახალხოდ გამოჩენა არ არის საჭირო.

***— თქვენ არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილი კულუარებიდან მართავს ქვეყანას. ხალხს მიაჩნია, რომ ის არ ჩამოშორებია პოლიტიკას...***

— აქაც უკუღმაა დაყენებული საკითხი, ის პოლიტიკაში ბოლომდე არც კი შესულა, ისე წავიდა ხელისუფლებიდან. ანუ რეალურად მისი, როგორც პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებები მე არ მახსენდება. არ მახსენდება, რომ მას მართვის აგრესიული სტილი ჰქონოდა, რომელიც ნათლად გამოჩნდებოდა. ასე რომ, ის არც შესულა პოლიტიკაში და ახლა გავლენა, ჩვენ რომ ვლაპარაკობთ, ამასაც კი აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენა. როცა ეს საჯარო ხდება, იბეჭდება, ამის ტირაჟირება ხდება, ამანაც შეიძლება იქონიოს გავლენა. ის ისე წავიდა პოლიტიკიდან, რომ პოლიტიკაში არც კი შესულა.

***— რაც შეეხება კულუარულ საუბრებს იმის თაობაზე, რომ სახელისუფლო გუნდში დაპირისპირებაა და ვინც შავ სიაში ჰყავს შეყვანილი ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი ღარიბაშვილისთვისაც ის უკვე მიუღებელი ხდება. აქამდე მარგველაშვილი იყო ასეთი პერსონა, ახლა საუბარია პარლამენტის თავმჯდომარეზე. თქვენ რა ინფორმაციები გაქვთ და თქვენი აზრით, რამდენად ღიაა ეს დაპირისპირება?***

— ეს დაპირისპირება იყო თავიდანვე. როდესაც ივანიშვილის გარემოცვაში ეს პიროვნებები ადგილს იმკვიდრებდნენ, ეს პოლიტიკაში ყოველთვის ასეა, რა თქმა უნდა, იქ იყო ვიღაცის მოცილება, ვიღაცის გაშავება, ვიღაცის არმიშვება, ვიღაცაზე რაღაცა ამბის მიტანა და ასე შემდეგ. ეს იმთავითვე ასე იყო. თუ გახსოვთ, მე რომ მივედი და ერთ კვირაში წამოვედი, ამის შესახებ ვილაპარაკე კიდეც. ახლა მიუღებელი რა გითხრათ, არჩეული პრეზიდენტია, წინა აქვს კიდევ მთელი საპრეზიდენტო ვადა. არის ის მიუღებელი თუ არ არის, ამაში ერთმანეთზე უნდა დაილაპარაკონ ვის რა არ მოსწონს. ეს უკვე წარსულია, წარსულს ველარ გადააკეთებ. ახლა რაც შეეხება უსუფაშვილს, აქ ასე თვალნათლივ ეს პროცესები არ ჩანს. თუმცა ძალიან ბევრი პოლიტიკოსის და ექსპერტის გაღიზიანებას იმთავითვე იწვევს ის, რომ ერთ-ერთი ყველაზე დაბალრეიტინგიანი პარტია აღმოჩნდა მოწინავე კოალიცია ქართულ ოცნებაში. მერე ამას მოჰყვა ზოგიერთი დაბალრეიტინგიანი პარტიის ყოყოჩობა და ტრაბახი იმით, რომ დიახ, ჩვენ ყველაზე დაბალრეიტინგიანი ვართ, მაგრამ ყოველთვის პოლიტიკური პროცესის ავანგარდში ვართ. ამ ყოველთვისში იგულისხმება ის, რომ მაგალითად სააკაშვილთან ერთად იყვნენ ნაციონალური მოძრაობის დასაწყისში და გაემიჯნენ სხვათა შორის მაშინაც ადგილობრივი არჩევნების დროს, როცა ბათუმში პროცესების გაკონტროლება ვერ შეძლეს, ხომ? ამდენად, როდესაც საჯაროდ ცნობილი არ არის უამრავი კულუარული ინფორმაცია, რა ხდება, როგორ ხდება, კანდიდატების დასახელებაში ვინ აქტიურობს, ვისი ხალხია წინ წამოსული და ვისი — უკან გადასროლილი, ამაზე ასე ცალსახად ლაპარაკი გაჭირდება, მაგრამ თუ რაიმე დაპირისპირება არსებობს, თეორიულად რომ წარმოვიდგინოთ, პარლამენტის თავმჯდომარის გადარჩევას წინ არაფერი უდგას. მაშინ ეს ასე უნდა გამოიხატოს. თორემ იყოს ადამიანი პრეზიდენტი და მე უკმაყოფილო ვიყო, ან იყოს ადამიანი პარლამენტის თავმჯდომარე და მე უკმაყოფილო ვიყო, ეს ემსგავსება სამზარეულოს ჭორაობას. ამას უნდა მოჰყვეს რაღაც რეალური ნაბიჯები.

***— სხვათა შორის, ბოლო პერიოდში არაერთისგან მომისმენია მსგავსი შეფასება, რომ ძალიან ცოტა დროა საჭირო და მალე ხელისუფლებას ნინო ბურჯანაძე გადაიბარებსო, რამდენად რეალურად გეჩვენებათ თქვენ ეს შეფასებები?***

— საქმე ის არის, რომ, რა თქმა უნდა, ადამიანების მოლოდინი არ გამართლდა, რაც უკავშირდებოდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს. რამაც თავისი უდიდესი ფუნქცია შეასრულა, რომ დღეს ისევ ნაციონალები არ მართავენ ქვეყანას, მაგრამ არ დადგა ის შედეგი, რასაც ხალხი ელოდებოდა. ხოლო ეს ყბადაღებული თემა, სამართლიანობის აღდგენა დაარქვი თუ დამკვიდრება დაარქვი, ადამიანებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მიეცეს შეფასება რაღაც მოვლენებს. როდესაც ზვიად გამსახურდიას მომხრეები წლების განმავლობაში ითხოვდნენ სამართლებრივ შეფასებას, 1991-92 წლის მოვლენების, მათგან ძალიან ცოტას თუ სჯეროდა, რომ ეს პოლიტიკურ რეალობას შეცვლიდა, მაგრამ შეფასების თემა იყო ყოვლად აუცილებელი. იმისთვის, რომ იარო წინ, ბიძინა ივანიშვილმა მოგვიწოდა წინ ვიაროთ, უკან ნუ ვიყურებითო, იმისთვის, რომ იარო წინ, რაც მოხდა შენს უახლოეს წარსულში, შენს ზურგს უკან, იმას უნდა მისცე შეფასება. ეს ასე არ მოხდა. ახლა ვითარება არის ისეთი, რომ ყოვლად უკანონოდ, ზნეობის და მორალის ჩარჩოების დანგრევით, ყველა მოიცილეს ნაციონალებმა, თუკი ვინმე იყო საჯარო სამსახურში და არ იყო მათი გუნდის წევრი. ახლა ათი წელია გასული, მაგრამ გადავხედოთ წარსულს, ვინ მოიყვანეს სამსახურებში, სრულიად არაფრის მცოდნე, კვალიფიკაციის არმქონე ახალგაზრდები, რომლებიც დროშებით დარბოდნენ, ზოგი კმარაში იყო, ზოგი ნაცმოძრაობის მხარდამჭერი და ასე შემდეგ. სწორედ ეს ხალხი მოიყვანეს. კი, შეიძლება ამასობაში რაღაც ისწავლეს, მაგრამ კვალიფიციური კადრები, რომლებიც გადევნეს საჯარო სამსახურებიდან, ისინი დღესაც გარეთ არიან. არავინ არ დაუბრუნებიათ. გამოვიდა ასე, რომ სააკაშვილმა დაამკვიდრა რაღაც, ეს არის ეიჯიზმი, ანუ ასაკის მიხედვით დისკრიმინაცია და დღესაც იგივე ტენდენცია გრძელდება. ამით ახლა ამომრჩეველი არაფრით არ იქნება კმაყოფილი. რაც შეეხება ბურჯანაძეს, ეს მოლოდინები არის იმიტომ, რომ ყველაზე პრინციპულად აი ამ დანაშაულებრივი კოჰაბიტაციის წინააღმდეგ გამოდის სწორედ ბურჯანაძე. ამიტომ უკავშირდება მის სახელს ის, რომ იგი გადაიბარებს ხელისუფლებას. ეს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი არჩევნების გზით არ ხდება, მაგრამ ბევრიც არ არის დარჩენილი მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე. ამიტომ ამ მოლოდინებს საბაბი აქვს და ერთგვარი მორალური სახეც, იმიტომ, რომ სიმართლე არის ამ თვალსაზრისით მხარეზე.

***— რაც შეეხება ადგილობრივ არჩევნებს, თქვენ ბრძანეთ, რომ ადგილობრივი არჩევნები ვერ წყვეტს პოლიტიკური ცვლილებების ბედსო, მაგრამ ალბათ დიდი მნიშვნელობა ექნება, თუკი ოპოზიცია გაიმარჯვებს ამ არჩევნებში...***

— დიახ, ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება. მე ადრეც მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ დემოკრატია შენდება ქვემოდან, ადგილობრივი დონიდან და არა ზემოდან. შენ შეიძლება პრეზიდენტი არ მოგწონდეს და გამოცვალო, მაგრამ ეს არ იქნება დემოკრატიის ზეიმი. დემოკრატიის ზეიმი არის ის, როცა შენი რაიონის საკრებულოში შენ გყავს ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც შენი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავენ. ამიტომ ამას აქვს მნიშვნელობა და არაფერს ვიტყვი იმაზე, რომ შემდგომი საპარლამენტო არჩევნებისთვის იმასაც აქვს მნიშვნელობა, რომ შენ ადგილობრივ დონეზე შენი დასაყრდენი გყავდეს.

**ხალხს ამნეზია არ დამართნია, მაგრამ არც მაშინ ჰქონდა ამნეზია, ზედიზედ ყველა არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობას რომ იფორმებდა ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არ ვცხოვრობთ იმ დამოუკიდებელ საქართველოში, რომლისთვისაც დაიხოცნენ ადამიანები.**

***— რამდენად მოხერხდება ეს უკვე სხვა საკითხია... როგორ ფიქრობთ, აქვს ოპოზიციას გამარჯვების შანსი?***

— ახლა ჩვენ ვდგავართ თითქმის იგივე ამოცანის წინაშე, ოღონდ ადგილობრივ დონეზე, რომლის წინაშეც ვიდექით 2012 წლის პირველი ოქტომბრის წინ. მოსაცილებელი გვყავს ნაციონალები ადგილობრივი დონიდან. ეს არ არის ნაკლები მნიშვნელობის ამოცანა. ამდენად, ახლა არასაპარლამენტო ოპოზიციას, რომელსაც ახლა ბურჯანაძე უდგას სათავეში, რა თქმა უნდა, შეუძლია ამ საქმეში ძალიან სერიოზული წვლილის შეტანა. იმიტომ, რომ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ქართული ოცნება არ არის ნაციონალების მომცილებელი. მათთვის კომფორტულია ასეთი დისკრედიტებული ოპოზიცია. ძალიან კომფორტულია, მაშინ როცა მათთვის საკმაოდ რთული იქნება ოპონირება ისეთ ძალასთან, რომელსაც წამოაძახებენ იმ დანაშაულობებს, რომელიც ბოლო 9 წლის განმავლობაში აქვს ჩადენილი ნაციონალურ მოძრაობას.

***— თქვენც ბრძანებთ, რომ ხელისუფლებას აწყობს ნაციონალებისნაირი ოპოზიცია და ნაციონალების მთავარი ამოცანაც ეს არის, რომ შეინარჩუნონ მთავარი ოპოზიციის იმიჯი. რამდენად მოხერხდება ეს?***

— კი მათი ტაქტიკა არის ასეთი, ახლა ადგილობრივ არჩევნებზე შეინარჩუნონ მეორე ადგილი და ემზადონ საპარლამენტო არჩევნებისთვის იმ ვარაუდით და იმ მოლოდინით, რომ ქართული ოცნების რეიტინგი კიდევ უფრო დაეცემა, კიდევ უფრო გამოჩნდება გაუკეთებელი საქმეები და აი ამ ტალღაზე შეძლონ შემდგომ საპარლამენტო არჩევნებში უპირატესობის მოპოვება.

***— კი, მაგრამ ხალხს ამნეზია ხომ არ დამართნია?***

— ხალხს ამნეზია არ დამართნია, მაგრამ არც მაშინ ჰქონდა ამნეზია, ზედიზედ ყველა არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობას რომ იფორმებდა ნაციონალური მოძრაობა. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ვცხოვრობთ არა იმ დამოუკიდებელ საქართველოში, რომლისთვისაც დაიხოცნენ ადამიანები. 24-25 წლის წინ, ვინმესთვის რომ ეთქვათ აი, ასეთი იქნებოდა დამოუკიდებელი საქართველო, ეჭვი მეპარება, რომ ბევრი ამისთვის თავს არ გაწირავდა. დღეს ეს არის უკიდურესად შეზღუდული სუვერენიტეტის მქონე ქვეყანა. მე შემიძლია პირდაპირ გითხრათ, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს სსრ გაცილებით უფრო ფართო სუვერენიტეტი იყო, ვიდრე დღეს. ეს არის ქვეყანა, რომელშიც არჩევნების შედეგებს, გარედან ცნობენ და დაადასტურებენ თუ არა, ამაზეა დამოკიდებული ქვეყნის ცხოვრება. ამ წლებს კიდევ მშვენივრად იყენებს ნაციონალური მოძრაობა და პირადად სააკაშვილი, რომ საგარეო არენაზე ქართული ოცნების სრული დისკრედიტაცია მოახდინონ. ოცნება კი თითქმის არაფერს არ აკეთებს იმისთვის, რომ ობიექტური ინფორმაცია გაავრცელოს და დაარწმუნოს ჩვენი მეგობარი ქვეყნები, რომ პროცესები ისე კი არ მიდის, როგორც მას ხატავს ნაციონალური მოძრაობა, არამედ ისე, როგორც არის სინამდვილეში.

***— არ აკეთებს თუ ვერ აკეთებს?***

— მე ვფიქრობ, რომ ვერ აკეთებს. როგორც საუბრის დასაწყისში გითხარით, კოალიცია ერთობ სუბიექტური მოსაზრებებით დაკომპლექტდა. ვიღაც უნდა დამჯდარიყო და ეფიქრა იმაზე, პარლამენტში რომ შევიყვან აი ამ ადამიანებს, რამდენი მათგანი შეძლებს, რომ დებატები მოუგოს მაგალითად ნაციონალებს. რას ვხედავთ ჩვენ? იშვიათ შემთხვევაში თუ რაღაცა უპირატესობას აღწევენ. ძირითადად არიან მოპასუხის რეჟიმში და თავს იმართლებენ. ეტყობა არავის უფიქრია, აი რომ მოვიგებ ამ არჩევნებს, თუ მართლა აპირებდნენ მოგებას, რომელ სამინისტროს ვის ჩავაბარებ, კარგით, დავუშვათ, მინისტრი პოლიტიკური თანამდებობაა, მაგრამ დანარჩენი? სპეციალისტები, კომპეტენტური ადამიანები ვინ იქნება ამ სამსახურებში, ვინ გაწევს ამ უღელს.

***— ეტყობა არ ფიქრობდნენ, რომ მოიგებდნენ...***

— ან არ ფიქრობდნენ, რომ მოიგებდნენ, ან არ უფიქრიათ მოგების მერე ეს ყველაფერი როგორ უნდა იყოს.

***— მოუმზადებლები შეხვდნენ გამარჯვებას?***

— მე ვფიქრობ, რომ კი. იმიტომ რომ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტი რომ არა, დანარჩენი სუბიექტები, ვინც დღეს კოალიციაში არიან, არჩევნების მომგები რომ არ იყვნენ, ეს წინა წლებმა 2007-დან დაადასტურა.

***— გამოდის რომ საკმაოდ საფრთხის შემცველია ადგილობრივი არჩევნები, თუ ნაციონალები კვლავ მეორე ადგილზე გავიდნენ, არის იმის შანსი, რომ საპარლამენტოში პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარონ...***

— თუ ახლა ქართული ოცნების გარდა, დანარჩენი ოპოზიციური სპექტრი და უპირველესად გაერთიანებული ოპოზიცია ფარ-ხმალს დაყრის, კი, მაგრამ ეჭვი მეპარება, მე ვთვლი რომ ეს ასე არ მოხდება. რაკი მაინც მოხერხდა გაერთიანება, მე ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

***— თანაც მერობის საკმაოდ კარგი კანდიდატი ჰყავთ დიმიტრი ლორთქიფანიძის სახით. საკმაოდ დიდი სიმპათიებით სარგებლობს საზოგადოებაში...***

— არ შეიძლება, არ ისარგებლოს სიმპათიებით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კარგად გაზრდილი ადამიანია და ოჯახში გაზრდილი ადამიანი. აღმოჩნდა, რომ ქართულ პოლიტიკაში ესეც დეფიციტია დღეს. მეორე ის, რომ თავად არის ოჯახის ხელმძღვანელი და აგერ მეცხრე შვილს ელოდება უკვე. ამ კაცში განსახიერებულია ის მოთხოვნილებები და ის იმედები, რაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას აქვს, რომ ქართული ოჯახი იყოს სწორედ ასეთი, მრავალრიცხოვანი, იმიტომ რომ ჩვენ მართლა სერიოზული დემოგრაფიული საფრთხის წინაშე ვდგავართ. ის არის მორწმუნე. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო მართლმადიდებლებისთვის, არამედ იგივე მუსლიმებისთვის, იუდეველებისთვის და სხვა რჯულის წარმომადგენლებისთვის, იმიტომ რომ მათთვის სამყარო იყოფა ასე: მორწმუნე ადამიანები და ურწმუნო ადამიანები. ჩვენ ურწმუნო ხელისუფლება გვყავდა მთელი 9 წელიწადი ხელისუფლების სათავეში. მებრძოლი ათეისტი. მე შემიძლია გავაგრძელო ლორთქიფანიძის დადებითი თვისებების ჩამოთვლა. იყო სიტუაციები, როცა ათენებდა და აღამებდა გლდანის ავადსახსენებელ ციხის წინ. კაცი არ იყო იმ პატიმრების დამცველი. კინაღამ ციხეშიც გაამწესეს იმის გამო, შენ კრიმინალებს იცავო. იმ ხელისუფლებამ საერთოდ დაივიწყა ადამიანის უფლებები. დიმიტრი ლორთქიფანიძეში არის განსახიერებული ეს ყველაფერი. ის მებრძოლი ადამიანია, არასოდეს უკან არ დაიხევს, მაგრამ არ არის ისეთი უტიფარი, როგორიც იყვნენ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, იბრძოდე სიმართლისთვის და არ გახდე აგრესიული! ამიტომ დიმას მიმართ ეს სიმპათიები გასაგებია და ამის ახსნა და დასაბუთება შეიძლება. მე დიდი იმედი მაქვს, რომ დიმა მიაღწევს წარმატებას. დიმას გამარჯვება, ეს იქნება ჩვენნაირი ადამიანების გამარჯვება, ვინც ვართ უმრავლესობა ამ ქვეყანაში და ვისაც გვინდა ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა!




მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

[illegible]

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

2014, 28 აპრილი, №98

# ამერიკამ სააკაშვილის ჩაშვება გადაწყვიტა“

## რატომ ალაპარაკდა ყოფილი ელჩი ექსპრეზიდენტის შეცდომებზე

**ოპოზიციური პარტიები საარჩევნო გარემოს ისევ უჩივიან. საარჩევნო გარემოთი დიდად მოხიბლული არც პარტია „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილია, ამასთან, აღიარებს, რომ ახლა გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე ნაციონალების დროს. პრეტენზიები მასაც აქვს, მიაჩნია, რომ რეგიონებში გამგებლებად და გუბერნატორებად ყოფილი ძალოვნები შემთხვევით არ დაუნიშნავთ, ვარაუდობს, რომ ყველაფერი გაკეთდება, რათა ნაციონალები მეორე ადგილზე გავიდნენ, არჩევნების გაყალბების შემთხვევაში კი დიდ აქციებს პროგნოზირებს. „თეთრების“ ლიდერი დარწმუნებულია, რომ ქუთაისში მერის არჩევნებს თავად მოიგებს, რაც, მისივე თქმით, „ქართული ოცნების“ გამარჯვებაც იქნება.**

**რატომ არ შეიძლება ყოფილი ძალოვნების მერებად და გამგებლებად დანიშვნა, რა საფრთხის წინაშე დგას „ქართული ოცნება“, რისკენ მიისწრაფვის ღარიბაშვილი, რა თამაშს ეთამაშება სააკაშვილი ამერიკას, რა შეცდომას უშვებს ხალხი — ამ თემებზე თემურ შაშიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



შორენა მარსაგიშვილი

**თემურ შაშიაშვილი:**

– დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ბევრჯერ ჩატარდა არჩევნები. სამწუხაროდ, არც ერთი არჩევნები არ დასრულებულა ხალხის გამარჯვებით. ხალხი დიდ იმედს ამყარებდა 2012 წლის არჩევნებზე. მაშინ ხელისუფლება უსისხლოდ შეიცვალა, მაგრამ ხალხი მაინც წაგებული დარჩა. გადახედეთ, რა მდგომარეობაა ქვეყანაში. ისევ უმუშევრობა, ისევ სილატაკე. გახარებული მხოლოდ სააკაშვილის კარის ბიზნესმენები არიან. ისინი დღეს კიდევ უფრო ბევრ ფულს შოულობენ და კიდევ უფრო მეტად დაასხდნენ ხალხს და ქვეყანას თავზე. იმდენად შორს წავიდნენ, რომ თვითმმართველობის არჩევნებზე საკუთარ ხალხს სვამენ „ქართულ ოცნებაში“.

***– ვისზე საუბრობთ?***

– კობა ნაყოფიაზე, კაგებეს გენერალ გენერალოვის ადიუტანტზე, რომელიც საქართველოში კალოშებით ჩამოვიდა, კაცზე, რომელმაც მთელი ბოლნისი შეჭამა. ამბობენ, რომ „ქართული ოცნება“ ბოლნისის გამგებლის პოსტზე მის მიერ შეთავაზებული კაცის გაყვანას აპირებს. არ მინდა დავიჯერო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სიმართლეა. სააკაშვილის კარის ბიზნესმენები ახლა უფრო თავხედურად იქცევიან.

***– თავად საარჩევნო გარემოზე რას იტყვით? ოპოზიციის ნაწილი ამტკიცებს, რომ ხელისუფლება კვლავ არჩევნების გასაყალბებლად ემზადება.***

– დიდი იმედი მაქვს, რომ არჩევნებს არ გააყალბებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხისგან სერიოზულ პასუხს მიიღებენ. არჩევნები თუ გაყალბდა, სახალხო მღელვარება გარდაუვალია. მოსახლეობა აღარ დაუშვებს, რომ ქვეყანაში მთავარ ოპოზიციურ ძალად ის პარტია იყოს, რომელმაც საკუთარ ხალხს გენოციდი მოუწყო. სამწუხაროა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დამნაშავე რეჟიმს სათანადო შეფასება არ მისცა. იმის მაგივრად, რომ დამნაშავეები დაესაჯათ, მათთან კოაბიტირებენ, სიამოვნებით თანამშრომლობენ იმ ხალხთან, ვინც ქვეყანა დააქცია. თქვენ მკითხეთ, როგორი საარჩევნო გარემოაო. იმაზე უკეთესია, რაც ნაციონალების დროს იყო. მაგრამ ესენიც რაღაცისთვის ემზადებიან. ძალიან უცნაურია, რომ რეგიონებში საკვანძო თანამდებობებზე შსს-ს, პროკურატურის თუ საგადასახადო პოლიციის ყოფილ მაღალჩინოსნებს ნიშნავენ.

***– თქვენი აზრით, ეს უშუალოდ არჩევნებთან არის კავშირში?***

– არ ვიცი, რასთან არის კავშირში. სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბიზნესის განვითარებას ხელს არ შეუწყობს.

***– რატომ?***

– ყოფილი პოლიციელები, პროფესიიდან გამომდინარე, ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებენ. ბიზნესს კი რისკი სჭირდება. იქ, სადაც ეჭვის თვალით გიყურებენ, ვერ გარისკავ და ბიზნესიც ვერ განვითარდება. ზემოთაც ვთქვი, რომ არჩევნებით ხალხი არასდროს დარჩენილა მოგებული. ეს ისევ ხალხის ბრალია. ვერაფრით ვისწავლეთ სწორი არჩევანის გაკეთება. ყოველთვის ვიღაცის და რაღაცის ხათრით ვირჩევთ. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ხელისუფლებაში გამოუცდელი ხალხი მოგვყავს. ძალიან გვინდა, რომ ამერიკას დავემსგავსოთ, მაგრამ ერთ რამეს არ ვუყურებთ – ამერიკაში უცნობ ადამიანს არავინ ირჩევს. იქ კაცს თუ არაფერი აქვს შექმნილი, არავის ხათრით არ აირჩევენ. ამიტომაც არის ეს ქვეყანა ასე განვითარებული. მსოფლიოში ეკონომიკის განვითარებით მეორე ადგილზე ჩინეთია. აქაც იგივე მდგომარეობაა. კიდევ უფრო მკაცრი კრიტერიუმებით ირჩევენ ადამიანებს. აქ მარტო რაღაცის კეთების ცოდნა არ არის საკმარისი. ჩინეთში საჭიროა დიდი გამოცდილება, რომელიც წლებს მოაქვს. ჩვენთან კი რა ხდება, თანამდებობებზე სულ პატარა გოგო-ბიჭები არიან. მათ შეიძლება ძალიან კარგი განათლება აქვთ მიღებული, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. დღევანდელ მთავრობაში ყველაზე მეტად ირაკლი ღარიბაშვილი მომწონს. ვიცი, სუფთა წარსული აქვს და ვხედავ, რომ რაღაცის გაკეთება სურს. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ის პრემიერობისთვის ჯერ მზად არ არის. ხვალ შესაძლოა მასზე გადატყდეს ჯოხი. ყველაზე შავ დღეში დღეს სწორედ ეს ახალგაზრდა კაცია, რომელსაც ძალიან უყვარს თავისი ქვეყანა.

***– შავ დღეში რატომ არის?***

– ყველაფერზე მას მოეთხოვება პასუხი. წინა ხელისუფლება სულ იმას გაიძახოდა, რომ ქვეყანას აშენებდნენ და ავითარებდნენ. როცა ნაციონალები არჩევნებში დამარცხდნენ, ივანიშვილს ვთხოვეთ, საზღვარგარეთიდან სპეციალისტები ჩამოეყვანა. ისინი შეაფასებდნენ, თუ რა სახის „ალმშენებლობას“ ეწეოდა სააკაშვილის ხელისუფლება. ამის შემდეგ ისინი უკვე ვეღარ იტყოდნენ, რომ ქვეყანას აშენებდნენ. ბატონმა ბიძინამ ჩვენი რჩევა არ გაითვალისწინა. აღმოჩნდა, რომ არც მას უყვარს სხვისი რჩევების გათვალისწინება. არ ჩამოიყვანა შემფასებლები და ბევრი წააგო. ახლა ნაციონალები გაიძახიან, რომ მათ დროს ქვეყანაში აღმშენებლობა იყო. გამუდმებით შეჩერებულ პროექტებზე საუბრობენ. ივანიშვილი ხელისუფლებიდან მალევე წავიდა. ეს ყველაფერი კი ირაკლი ღარიბაშვილს შერჩა. მართალია, არანაირი აღმშენებლობა არ ყოფილა, მაგრამ ნაციონალების განცხადებები ხალხზე მაინც მოქმედებს. ახალი ხელისუფლება ვერაფერს აშენებს, ეს კი ღარიბაშვილს დაბრალდება. არადა, ვხედავთ, როგორი მონდომებულია ეს ახალგაზრდა. მის წინაშე ბევრი პრობლემა დგას. გამოუცდელობის გამო პრემიერმა შესაძლოა შეცდომები დაუშვას. 26 აპრილს, სპორტის სასახლეში ადგილობრივ საარჩევნო მარათონში მონაწილე ოცნების კანდიდატების წარდგენისას, ბატონ პრემიერს უბრძანებია, ჩვენი ფავორიტი, შოთა მურღულია, სწორედ ის კაცია, ქუთაისს რომ სჭირდებაო. მსგავსი განცხადების გაკეთება ბატონი ღარიბაშვილის, როგორც პარტიის თავმჯდომარის პოლიტიკური მოვალეობა იყო. მისდამი კეთილგანწყობით იმედს ვიტოვებთ, ასეთი წარდგენა სახელმწიფოს პრემიერს ხელს არ შეუშლის, ქუთაისში უზრუნველყოს არჩევნების ისეთი გარემო, სადაც ქუთაისელები თავად გადაწყვეტენ პირველი პირის პრობლემას, რომლის გამოც ბოლო ათწლეულია, ფრიად შეწუხებულნი არიან. ხელისუფლება და მმართველი პარტია კი პატივს სცემს ქუთაისელთა სამართლიან არჩევანს. ამ იმედის საფუძველს მაძლევს რეალობა, როდესაც კოაბიტაციისა და მრავალი სხვა ფაქტორის გამო ახალ ხელისუფლებაზე იმედგაცრუებული ხალხი მმართველთა მხოლოდ იმ წრეშიღა ხედავს ერთადერთ ნათელ წერტილს, რომლის საყრდენი ფიგურა ბატონი ღარიბაშვილია. იმედია, სახელმწიფოებრივი აზროვნება დაძლევს.

***– ანუ იმედი გაქვთ, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება?***

– ამის იმედს ღარიბაშვილის მონდომება მაძლევს. კარგად ვხედავ, რომ მას მართლაც დემოკრატიული ქვეყნის აშენება სურს, რაც ძალიან ძნელი იქნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამომრჩეველთა სიების შეცვლაც კი არ მოხდა. დღეს არსებული სიებით ქუთაისში 180 ათასი ამომრჩეველია. მაშინ როცა ქალაქში 150 ათასი ადამიანი ცხოვრობს. ისე, როგორც არასდროს, დღეს ქუთაისი მეურნე მერს საჭიროებს. ქალაქს ისეთი კაცი უნდა ჩაუდგეს სათავეში, ვისაც საქმის კეთება შეუძლია. მე თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ საქმის კეთება ვიცი და ქუთაისისთვის ბევრი რამ მაქვს გაკეთებული. კარგად მახსოვს, რა მდგომარეობა იყო ამ ქალაქში. ქუთაისი სასმელ წყლად გარეცხილ რიონს ხმარობდა. ჩემი აზრით, ეს იყო ქუთაისის შეურაცხყოფა. ამიტომაც ყველაფერი გავაკეთე, რომ ქალაქს საუკეთესო სასმელი წყალო ჰქონოდა. ქუთაისი ახლა ფარცხანაყანების წყალს მოიხმარს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა.

***– წყალი შეიძლება საუკეთესოა, მაგრამ ქალაქს გრაფიკით მიეწოდება.***

– საინტერესოა, რომ ყველა ამ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, იმას კი არავინ უყურებს, რომ ეს წყალი მსოფლიოში საუკეთესოა. ადამიანს შეუძლია, ონკანიდან ჩამოასხას წყალი და გაყიდოს. ჩემს დროს ამხელა დაფინანსება რომ ყოფილიყო, გრაფიკის პრობლემასაც მოვხსნიდი. ნაციონალებმა კი ეს თანხები გაურკვეველი მიმართულებით დახარჯეს. ქუთაისს ნამდვილად არ ეკადრება იმ პირობებში ცხოვრება, როგორშიც ახლა ცხოვრობს.

***– ქუთაისის მერად კენჭს „თეთრების“ ეგიდით იყრით თუ ბურჯანაძის ბლოკში ხართ გაერთიანებული?***

– მე არანაირ ბლოკში არ შევსულვარ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ქალბატონ ნინოს აქტიურად ვუჭერდი მხარს. მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ეს იყო სწორი არჩევანი. ახლა მე ცალკე ვიყრი კენჭს, ნინო ბურჯანაძე – ცალკე. მე მირჩევნია, საკუთარი შესაძლებლობებით გავიმარჯვო. სხვათა შორის, მე არც უწმიდესობისა და საპატრიარქოს კეთილგანწყობას ვიყენებ. ქუთაისში დამოუკიდებლად ვიყრი კენჭს და მჯერა, რომ გავიმარჯვებ. ქუთაისის გარდა, დედამიწის ზურგზე მე სახლი არსად მაქვს. ჩემთვის ეს ქალაქი ყველაზე ძვირფასია, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში შეგნებულად არ ჩავდიოდი.

***– რატომ არ ჩადიოდით?***

– მოგეხსენებათ, რა დამოკიდებულება ჰქონდათ ჩემ მიმართ ნაციონალებს. სააკაშვილი ვერასდროს მიტანდა. 1998 წლიდან მოყოლებული ვამბობდი, რომ ის იყო შლეგი და ქვეყანას დაღუპავდა. ხელისუფლებაში მოსვლისთანავე პერსონა ნონ გრატად გამომაცხადა. ერთხელ, ვარდების რევოლუციის შემდეგ, ჩავედი ქუთაისში. ქუჩაში შემხვდა მერიის თანამშრომელი ქალბატონი, გვარად გიორგაძე. მომესალმა და ერთმანეთი მოვიკითხეთ. მეორე დღეს ის სამსახურიდან გაათავისუფლეს. პირდაპირ უთხრეს, შაშიაშვილს ხელი რომ ჩამოართვი, ამიტომ გიშვებთ სამსახურიდანო. ამის შემდეგ აღარ ჩავდიოდი ქუთაისში. იქ უამრავი ნაცნობი მყავს და არ მინდოდა, ჩემ გამო პრობლემები შექმნოდათ.

***– ახლა ჩადიხართ ქუთაისში?***

– რა თქმა უნდა, ჩავდივარ. უამრავ ადამიანს ვხვდები და მათთან საუბარმა გადამაწყვეტინა არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ ბევრი ადამიანი მიჭერს მხარს. მე არჩევნებს იმედიანად ვუყურებ. ამასთან, ისიც ვიცი, რომ ნაციონალები ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ თავიანთი ხალხი გაიყვანონ. თადარიგი უკვე დაიჭირეს და რამდენიმე ოპოზიციური პარტია მიისაკუთრეს. ეს ხალხის დაბნეულობას გამოიწვევს. იმედი მაქვს, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება და ნამდვილი ოპოზიციონერები შევლენ თვითმმართველობებში. „ქართულ ოცნებას“ ყველაფრის მოგება სურს, მაგრამ, თუ ასე მოხდა, მათთვის იქნება ცუდი.

***– მათთვის რატომ იქნება ცუდი?***

– აქამდე საქართველოში ყველა მმართველი ძალა ერთპარტიულმა მმართველობამ დაღუპა. არ მინდა, რომ ოცნებაც ამ გზას დაადგეს და არც ის მინდა, დამნაშავე ნაციონალები მეორე ადგილზე გავიდნენ. ისინი ყველაფერზე მიდიან, რათა მიზანს მიაღწიონ. ამაში მათ დასავლეთიც ხელს უწყობს. დასავლეთის მხარდაჭერა რომ არა, სააკაშვილი ასე თავხედურად არ მოიქცეოდა. წინა კვირას სააკაშვილმა განაცხადა, თითქოს აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ირაკლი ღარიბაშვილს დაურეკა. სააკაშვილის მტკიცებით, ეს საუბარი მის დაკითხვაზე დაბარებას უკავშირდებოდა. ვაშინგტონის ღია მხარდაჭერა რომ არა, ამაზე საქართველოში აშშ-ის საელჩო ერთ ამბავს ატეხდა.

***– ამერიკის საელჩომ განაცხადა, რომ ამ განცხადებაზე კომენტარი არა აქვთ. ეს რას ნიშნავს?***

– ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილი მატყუარაა, მაგრამ მას ამერიკა მხარს უჭერს. სამწუხაროა, რომ ასეთ არსებას, მსგავსი განცხადების გამკეთებელს, საქართველოს მოსახლეობისათვის გენოციდის მომწყობს, ასე იცავს ამერიკა. ამ განცხადების პატიება ჩემთვის ყოვლად წარმოუდგენელია. გაუგებარია, ასეთი რა ვალი აქვთ აშშ-ის ხელისუფალთ სააკაშვილის მიმართ, რომ ამერიკისა და მისი ხელისუფლების ავტორიტეტის შემლახავი ასეთი თავხედური განცხადება აპატიონ.

***– ისე, მართლა რა ვალი აქვს ამერიკას სააკაშვილის?***

– ძალიან დიდი ვალი აქვს. მარტო ამერიკას კი არა, დასავლეთსაც ბევრი მართებს ნაციონალების. ამ წლების მანძილზე საქართველოში მილიარდობით დოლარი შემოვიდა. ეს ფული გამომგზავნებმა და მიმღებებმა გაიყვეს. ეს ყველაფერი ყოფილ ხელისუფლებას დაფიქსირებული აქვს. ამის გამოაშკარავება მათ ინტერესში არ შედის. ამიტომაც ისინი იძულებული არიან, სააკაშვილს მხარი დაუჭირონ, რომელიც მათ, თავის მხრივ, აშანტაჟებს. მას შეუძლია თქვას, თუ ვინ დააწყებინა ომი 2008 წლის აგვისტოში. ყველამ კარგად იცის, რომ ეს ომი საქართველოს ინტერესებში არ შედიოდა. ამ ომის ამბავს შესაძლოა დიდი სკანდალი მოჰყვეს. ვაშინგტონს სააკაშვილის ალაპარაკება არ აწყობს.

***– თუმცა საქართველოში ამერიკის ყოფილი ელჩი, მაილსი, უკვე ღიად საუბრობს იმ შეცდომებზე, რაც სააკაშვილმა დაუშვა.***

– ამერიკის ყოფილმა ელჩმა თქვა ის, რასაც მთელი ამ წლების მანძილზე ვამტკიცებდით. მაილსის განცხადებით, სააკაშვილს საიერიშო მოწყობილობა რომ არ ჰქონოდა, ომს ვერ დაიწყებდა. მერედა, ვინ მიჰყიდა მას ეს მოწყობილობა? ეს ამერიკამ გააკეთა. ამერიკაში არსებული გარკვეული ძალების მითითებით დაიწყო 2008 წელს ომი. ამის გახმაურება თეთრ სახლს არ აწყობს.

***– აშშ-ის ყოფილი ელჩის ეს განცხადება ხომ მიანიშნებს ომის დაწყებაში მისი ქვეყნის წვლილზე. რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებას?***

– იმიტომ რომ თავს იზღვევენ. ნელ-ნელა თავად ამბობენ სიმართლეს, რომელსაც სააკაშვილი ადრე თუ გვიან მაინც იტყვის. ახლა ისინი დასწრებაზე არიან. შესაძლოა, ამერიკამ სააკაშვილის ჩაშვება გადაწყვიტა.

***– ბოლო დროს სააკაშვილი თავის ბიძასთან თემურ ალასანიასთან ერთად დადის. ეს შემთხვევითია თუ რამეზე მიანიშნებს?***

– სააკაშვილის ბიძა ცნობილია, როგორც რუსეთის უშიშროებასთან დაახლოებული პირი. აქედან გამომდინარე, თავად დაასკვენით, რატომ ჩნდებიან ერთად.

***– გინდათ თქვათ, რომ რუსეთის მითითებებს ასრულებენ?***

– სააკაშვილი საქართველოსთვის იყო უბედურება, ამერიკისთვის და რუსეთისთვის კი კომპოტია. გამუდმებით ლანძღავდა რუსეთს და ამით ყველაზე დიდ საქმეს უკეთებდა მოსკოვს. დღეს სტრატეგიული ობიექტები მათ ხელშია. საქართველოს ეკონომიკურად რუსეთი განაგებს, პოლიტიკურად კი – ამერიკა. ამერიკის მითითების გარეშე დამნაშავეებსაც კი ვერ ვსჯით. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება მათი ნების აღმასრულებელია. ამ მხრივ ნამდვილი გამონაკლისია ირაკლი ღარიბაშვილი, რომელსაც, როგორც ვატყობ, საზღვრებისა და ჩარჩოების გარღვევა სურს. რამდენად გამოუვა, ეს არ ვიცი. ჯერ საქართველო დასავლეთის მითითებებს ასრულებს.

***– რომ არ შეასრულოს ღარიბაშვილმა დასავლეთის მითითებები, რა მოხდება, დაამხობენ პრემიერს?***

– არაფერიც არ მოხდება. თუ ხალხი დაინახავს, რომ ღარიბაშვილი ქართულ საქმეს აკეთებს, მთელი ქვეყანა მის გვერდით დადგება. ქვეყანას ისეთი ხელისუფალი სჭირდება, რომელიც არც მოსკოვს გაეგება ფეხქვეშ და არც ამერიკას. ამ ორმა ქვეყანამ მთელ მსოფლიოს მოაბეზრა თავი. ცოტა ხნის წინ ვიყავი ევროპაში. შევხვდი იქაურებს. გაგიჟებულია ყველა. რუსეთს ხომ ვერ იტანენ, მაგრამ ამერიკამ კიდევ უფრო მოაბეზრათ თავი. მთელი მსოფლიო ამათ დაპირისპირებას ეწირება. დღეს ამერიკა იმავეს აკეთებს, რასაც თავის დროზე – საბჭოთა კავშირი.

***– რას გულისხმობთ?***

– საბჭოთა კავშირში „ამერიკის ხმის“ მოსმენას კრძალავდნენ. ამერიკა კი 21-ე საუკუნეში „რაშა თუდეის“ კრძალავს, რითაც ამ არხს სერიოზულ რეკლამას უკეთებენ. ასევე სახიფათოა რუსეთისთვის სანქციების დაწესება. ამას დიდი შვიდიანის წევრი ქვეყნებიც აცნობიერებენ. ისტორიულად ცნობილია, რომ რუსეთი მაშინ ძლიერდება, როცა იზოლაციაში აქცევენ.

## გიორგი მარგველაშვილი: რუსეთის გარიყვა სწორი არჩევანი არ არის“

„არ ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანია რუსეთის გარიყვა“. ამ განცხადებას საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სააგენტო „ფრანსპრესსთან“ საუბრისას აკეთებს. სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ იზოლირების ნაცვლად დიპლომატებმა ნათლად უნდა განუმარტონ რუსეთს, რომ „ურთიერთობები მეზობლებსა თუ სხვა ქვეყნებს შორის მსოფლიოში სამხედრო ინტერვენციაზე არ არის დამყარებული“. „ფრანსპრესი“ წერს, რომ იმ ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელიც რუსეთის სამხედრო ძალების მიერ გაიყო 2008 წელს, დასავლეთი გააფრთხილა, უკრაინის კრიზისის გამო რუსეთის იზოლირებისგან თავი შეიკავოს.



„არ ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი იყოს რუსეთის გარიყვა და მასთან ურთიერთობების გაწყვეტა, ვინაიდან იზოლირება რუსეთს კიდევ უფრო აგრესიულს, არაპროგნოზირებადსა და სახიფათოს ხდის“, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

**პირველი რადიო**

## კახი კალაძე: წელიწად-ნახევრის წინ ჩვენ დავიბრუნეთ ქვეყანა“



კახი კალაძის განცხადებით, თვითმმართველობის არჩევნები არ არის მხოლოდ პოლიტიკური თუ კონსტიტუციური აქტივობა. მისი თქმით, ეს არჩევნები არის თითოეული მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი ტესტი საკუთარი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე. კალაძის განცხადებით, კოალიციის კანდიდატები არიან ადამიანები, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე მოპოვებულ გამარჯვებას გაამყარებენ.

„ჩვენ კიდევ ერთხელ ჩავაბარებთ დემოკრატიის გამოცდას. ადგილებზე, თავად თქვენ თავად ამომრჩეველმა უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა. თქვენ უნდა მოუაროთ საკუთარ ქალაქებსა და სოფლებს, შექმნათ საკუთარი ქვეყნის მომავალი. თქვენ ამ ქვეყნის მომავლის მშენებლები ხართ. ამ გამოცდას ჩვენ წარმატებით ჩავაბარებთ და ეს ჩვენი ვალდებულებაა. ეს არჩევნები არ არის მხოლოდ პოლიტიკური თუ კონსტიტუციური აქტივობა, არც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ჩასაბარებელი გამოცდა. ეს არის საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი ტესტი საკუთარი ოჯახის, ახლობლების, ქვეყნის წინაშე. ერთად ავიღოთ პასუხისმგებლობა საკუთარ დაბაზე, თემზე, სოფელზე, ქალაქზე. ძლიერი თვითმმართველობა ძლიერი საქართველოა. დღეს ქვეყნისთვის, ამ მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ეტაპზე ისევ ერთად ვართ. ისევ მხარდამხარ მივალთ საბოლოო და სრულ გამარჯვებამდე. შევიკრიბეთ კოალიციის კანდიდატების მხარდასაჭერად. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც წელიწადნახევრის წინ მოპოვებულ გამარჯვებას გაამაყრებენ, თავდაუზოგავად იშრომებენ ქვეყნის საკეთილდღეოდ. წელიწადნახევრის წინ დავიბრუნეთ ქვეყანა, წერტილი დავუსვით უსამართლობას, სიცრუის პროპაგანდას, აღვადგინეთ დაკარგული სამართლიანობა. „ქართულმა ოცნებამ“ გააერთიანა გამარჯვების იმ საბოლოო მიზნის ირგვლივ, რომელსაც საერთო ძალისხმევით სულ მალე ერთად ვიზეიმებთ“, – განაცხადა კახი კალაძემ.

**პირველი რადიო**

## დავით ქევხიშვილი სასამართლომ 100 ლარით დააჯარიმა

ყვარლის უკვე ყოფილ გამგებელი დავით ქევხიშვილი გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ 100 ლარიანი ჯარიმის შეფარდების შემდეგ გაათავისუფლა. მასთან ერთად დაკავებულ 17 პირს კი 400-400 ლარის გადახდა დაეკისრა. პროცესი 8 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. გარდა ამისა, საკრებულომ ქევხიშვილს გმაგებლის უფლებამოსილება შეუჩერა.

შეგახსენებთ, რომ დავით ქევხიშვილი სამართალდამაცვებმა 25 აპრილს წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით მაშინ დააკავეს,როდესაც ყვარლის გამგებლის, დავით ქევხიშვილის მხარდამჭერები საკრებულოს წევრ თამაზ გუგუშვილს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ და კვერცხები ესროლეს.

**პირველი რადიო**

## რიყე-ნარიყალას საბაგირო გზა ფუნქციონირებას შეწყვეტს

სარემონტო სამუშაოებისა და გამწევი ბაგირის შეცვლასთან დაკავშირებით, „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზა მუშაობას დროებით შეწყვეტს.

მერიის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული სამუშაოების განხორციელება მგზავრების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის ხორციელდება.

რიყისა და ნარიყალას დამაკავშირებელი საბაგირო, თბილისელებსა და დედაქალაქის სტუმრებს 2012 წლიდან ემსახურება. გახსნის დღიდან დღემდე საბაგირო 1 298 124 მგზავრს მოემსახურა. საბაგირო გზით გადაადგილება დღეიდან 15 მაისის ჩათვლით შეჩერდება.

**ნიუსპრესი**

## შიდა ქართლში რუსმა სამხედროებმა კიდევ ერთი ადამიანი გაიტაცეს

რუსმა ე.წ. მესაზღვრეებმა, კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი პირი, ქარელის რაიონის სოფელ წერონისის მკვიდრი გაიტაცეს.

71 წლის მერაბ კაპანაძის ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია. მის ოჯახს ე.წ საზღვრის გადაკვეთის გამო ჯარიმის გადახდის თაობაზე ამ დრომდე არავინ დაკავშირებია. სავარაუდოდ, ის ცხინვალის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაყვანილი არაა და სოფელ ძვილეთში განთავსებულ რუსულ სამხედრო ბაზაზე იმყოფება.

მერაბ კაპანაძე გატაცების მომენტში ნახირს მწყემსავდა.

**ნიუსპრესი**

## ლატარიის კომპანიის ჯეკპოტის გამარჯვებული ბრალდებას უარყოფს

**საქართველოს ლატარიის კომპანიის ბოლო გათამაშების ჯეკპოტის მფლობელი სოფიო ყარალაშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და კუთვნილი თანხის მიღებას მოითხოვს. სოფიო ყარალაშვილი, რომელმაც, გამოძიების ვერსიით, ყალბი ბილეთი გამოიყენა, გვიან ღამემდე დაკითხვაზე იმყოფებოდა.**

ბრალდებულის თქმით, ბილეთი, რომელმაც ჯეკპოტი მოიგო, მან ერთ-ერთ საგაზეთო ჯიხურში შეიძინა. როგორც ყარალაშვილი აცხადებს, ლატარიის კომპანიამ მას მოგება დაუდასტურა, შემდეგ კი საგამოძიებო უწყებაში დაიბარეს.

„წამიყენეს ბრალი, მაგრამ მე წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ვცნობ. ხოლო, იმ ადამიანს ვისაც ჩემთან ერთად ბრალი აქვს წაყენებული, მე მას საერთოდ არ ვიცნობ და არც ვიცი ვისზეა ლაპარაკი. მე თვითონ ძალიან დაბნეული ვარ იმიტომ, რომ ვერაფერი ვერ გავიგე. მივმართე ლატარიის კომპანიას, დამიდასტურეს, რომ მოგებული ვარ, მაგრამ რეალურად მე ვერ ვხედავ რომ თანხას მაძლევენ“, – განაცხადა სოფიო ყარალაშვილმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა ჩატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად დაადგინა, რომ საქართველოს ლატარიის ბოლო გათამაშების ბილეთი გაყალბებული იყო.

ეჭვმიტანილი საქართველოს ლატარიის კომპანიის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ადმინისტრატორი დავით ი. იყო, რომელსაც პროგრამასთან მუდმივი წვდომა ჰქონდა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დავით ი. დანაშაულის ჩადენის დროს, მოქალაქე სოფიო ყარალაშვილთან წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა. დავით ი.-ს მიერ დამზადებული ლოტოს ყალბი მომგებიანი ბილეთი სოფიო ყარალაშვილმა 561 176 ლარის ოდენობით ჯეკ-პოტის თაღლითურად დაუფლების მიზნით გამოიყენა.

სოფიო ყარალაშვილს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით, ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობის მცდელობის ფაქტი) და სსკ-ის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ჯგუფურად დამზადების ფაქტი).

**ნიუსპრესი**

## დაასრულებს თუ არა უსამართლობას თვითმმართველობის არჩევნები

*თამარ ნინიძე*

**თვითმმართველობის არჩევნები თავისი შინაარსითა და დატვირთვით, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთად აღებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. პოლიტოლოგები და ექსპერტები მიიჩნევენ, რომ წელს თვითმმართველობის არჩევნებმა განსაკუთრებით მაღალი სტანდარტითა და ხარისხით აიღო სტარტი. ბევრი სიურპრიზი და მნიშვნელოვანი რამ ჯერ კიდევ წინ გველოდება.**

ერთიანი ოპოზიციის მერობის კანდიდატმა დედაქალაქში დიმიტრი ლორთქიფანიძემ თქვა, რომ თბილისელობა ჯერ სულის თვისებაა და მერეა გეოგრაფიული მდებარეობა. ამიტომ საპატრიარქოსთან არც ტოტალიზატორების აშენების ადგილია და არც ასი ათასი მოწამის დაცემის ადგილზე უნდა აშენდეს ბუდაბარი. არც ორსაჭიანი ველოსიპედი უნდა წამოჭიმო თბილისის შუაგულში, როგორც უძრაობის სიმბოლო. დიმიტრი ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ გაიხსენა 2012 წლის 1 ოქტომბრის მნიშვნელობა და თქვა, რომ ეს არ იყო მხოლოდ რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა, არამედ ეს იყო ძალადობისა და ტირანიის წინააღმდეგ მძლავრი საპროტესტო აქტი. წლების განმავლობაში სააკაშვილის პოლიტიკური თანაგუნდელები დედაქალაქის ბიუჯეტში ისე აფათურებდნენ ხელებს, როგორც საკუთარ ჯიბეებში, იყო უამრავი ფსევდო პროექტი, მათ შორის ე.წ. დასაქმების დროებითი ერთი ან ორთვიანი პროგრამები, რომელიც მარტო ნაცმოძრაობის აქტივის დაფინანსებას ემსახურებოდა, დიმიტრი ლორთქიფანიძე იმედოვნებს, რომ თბილისელებთან ერთად მოახერხებს, ისე განაგოს დედაქალაქის ბიუჯეტი, არც ერთი თეთრი უსარგებლოდ არ დაიკარგოს, მით უმეტეს, რომ დედაქალაქისა და საერთოდ ქვეყნის ბიუჯეტი იძლევა იმის საშუალებას, რომ თითოეულმა ოჯახმა ამოისუნთქოს.

– დღესაც ფიქრობენ, რომ ამ სიმბოლოებით დატვირთულ ქალაქში ახალი ბიზნესგეგმებითა და მეგაპროექტებით იერუსალიმის სულისკვეთება ჩაახშონ, ახლაც დგას ამის უკან ბიზნესმენთა ფისკალური ინტერესები და არა ზრუნვა თბილისელების რეალური პრობლემების მოგვარებაზე. – განაცხადა დიმიტრი ლორთქიფანიძემ.

ახლო მომავალში ერთიანი ოპოზიციის მერობის კანდიდატი დედაქალაქში დიმიტრი ლორთქიფანიძე მედიას პრესკონფერენციაზე კონკრეტული გეგმებისა და პროგრამების შესახებ მიაწვდის ინფორმაციებს, მაგრამ ამჯერად მაიდანზე, მეტეხის ხიდთან თავშეყრილ მხარდამჭერებს ლორთქიფანიძემ მკაფიოდ განუცხადა, რომ მთავარი მონდომებაა და ნება, თორემ დედაქალაქის ბიუჯეტი იძლევა იმის საშუალებას, რომ თბილისელებისთვის უამრავი პრობლემა გადაწყდეს, ეხება ეს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულებს, მიწისძვრით დაზარალებულებს თუ მძიმე ეკოლოგიური გარემოთი შეწუხებულ დედაქალაქის მცხოვრებლებს. დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებს, რომ ამ პრობლემების მოგვარებაში ის თითოეულ ჯგუფსა და დაინტერესებულ ადამიანს დაეხმარება. მაშინ როცა პარლამენტს მხოლოდ „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა იყოფენ და პარლამენტში უბრალოდ დეპუტატების დასწრებაც კი სამარცხვინო განხილვებისა და სადამსჯელო ღონისძიებების მიზეზი ხდება, დროა, რომ ნაცმოძრაობის ნაცვლად თვითმმართველ ორგანოებში ოპოზიციური ძალები მოვიდნენ, რომლებიც აქტიურ ოპონირებასაც გაუწევენ მმართველ კოალიციას და, ამავე დროს, ადგილებზე მიტოვებული ადამიანების პრობლემებზე იზრუნებენ.

ერთიანი ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ახლა დროა, რომ ადამიანები გამოვიდნენ სახლებიდან და მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან, იყვნენ აქტიურები, იმიტომ რომ, არ შეიძლება, ქვეყნისა და ქალაქების ბედი მხოლოდ ორი ერთმანეთთან ქიშპობაში მყოფი პოლიტიკური ძალის ამარა დარჩეს. ასევე არ შეიძლება ისევ შეცდომის დაშვება და სხვისი ხათრით ქვეყნის და ქალაქის პირველი პირის არჩევა, იმიტომ, რომ ამ მაგალითმა აჩვენა თავისი არაეფექტურობა.

– მსოფლიოში ყველაზე მაგარი პრეზიდენტი გეყოლებათო, შემცდარა, თუმცა ქართველი ხალხისთვის ბოდიში არ მოუხდია, იქნებ დღესაც ცდება, როცა კარგ ბიჭს, კარგ ადამიანს აყენებს თბილისის მერად, მაგრამ ამ დროს ამ ადამიანს იმის გამოცდილება არა აქვს, რაც მერს სჭირდება. – ამბობს ბურჯანაძე.

კოალიციის ლიდერის თქმით, ქვეყანაში უსამართლობა უნდა დასრულდეს და სამართლიანობა აღდგეს იმისათვის, რომ ქვეყნის შემდგომი წინსვლა გაგრძელდეს, უკვე მოვიდა დრო, რომ რიგითმა ადამიანებმაც იგრძნონ ხელისუფლებისგან მხარდაჭერა და, თუ ახლა ამას ვერ გრძნობენ „ქართული ოცნების“ ხელში, ერთიანი ოპოზიციის პირობებში მაინც იგრძნობენ. ამავე დროს, თბილისის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე არა მარტო შესანიშნავი ოჯახის მამაა, რვა შვილის პატრონი, მორწმუნე და ქართული ტრადიციების პატივისმცემელი, არამედ, კაცი, რომელმაც 26 მაისის აქციის დარბევის შემდეგ ყველა ციხე დაიარა საკუთარი ფეხით და ყველა საავადმყოფო, რომ ადამიანებისთვის დახმარება გაეწია. თბილისი არ უნდა შეეგუოს იმას, რომ ვინმემ მას მერი დაუნიშნოს, ამიტომ არჩევანი უნდა გაკეთდეს და არა დანიშვნა.

ირაკლი ბათიაშვილმა მეტეხთან შეკრებილებს განუცხადა, რომ თბილისი ზოდელავებისა და უგულავების ხელში მრავალი წლის მანძილზე შეურაცხყოფილი და შეგინებული იყო, ახლა კი თბილისს ტრადიციების მიმდევარი თბილისელი კაცი სჭირდება, ისეთი, როგორიც დიმიტრი ლორთქიფანიძეა, რვა შვილის მამა და მეცხრე შვილის მომლოდინე. უფლებადამცველი თითოეული ადამიანის ინტერესების დამცველი არის და იქნება.

ჯონდი ბაღათურიამ აქცენტი საგარეო პრობლემებზეც გააკეთა და თქვა, რომ ბურჯანაძე ერთიანი ოპოზიციის ლიდერი ნინო ბურჯანაძე და მისი გუნდი უპირისპირდებიან, ერთი მხრივ, ომსა და სისხლზე მოწყურებულ ნაციონალებს და მეორე მხრივ საშოვარზე, ჯიპებზე დახარბებულ „ქართული ოცნების“ წევრებს, როცა რუსეთთან ომში ჩაება ნაცმოძრაობა არც ის ფიქრობდა ხალხზე და არც ეს ხელისუფლება ფიქრობს, რომელიც მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე და კარგ ცხოვრებაზეა ორიენტირებული, ამიტომ, ორივე ეს სისტემა, ბაღათურიას აზრით, ბულდოზერით უნდა გადაასწორო და და საბოლოოდ დაამარცხო უსამართლობა და გაჭირვება. თბილისის მერობის კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე დარწმუნებულია, რომ თბილისის ბიუჯეტში თანხების სწორად მობილიზებას და ხარჯვას მოახერხებს, რომ დედაქალაქის პრობლემები მოაგვაროს.

კოალიციის კიდევ ერთმა ლიდერმა გიორგი კობახიძემ თავის გამოსვლაში ისაუბრა იმის შესახებ, რომ დიდი იმედგაცრუებაა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, რადგან ადამიანები ამ ხელისუფლებისგან ბევრს ელოდნენ, პირველ რიგში სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, მძიმე პრობლემების მოგვარების კუთხით, მაგრამ ოცნება ჰაერში გაიყინა.

## საქართველოს ენ-დი-აის დელეგაცია ეწვია

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დელეგაცია ეწვია. ორგანიზაციის ინფორმაციით, ვიზიტის მიზანი საქართველოში 15 ივნისს დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ქვეყანაში არსებული გარემოს შეფასებაა.

დელეგაციის წევრები არიან საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი, აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის ყოფილი წევრი და ენ-დი-აის სამეურვეო საბჭოს წევრი სემ გეჯდენსონი, არჩევნებისა და დემოკრატიის საკითხებში საერთაშორისო ექსპერტი რობერტ ადამსი. ენ-დი-აის ევრაზიის რეგიონული პროგრამების დირექტორი ლორა ჯუიტი და ენ-დი-აის საქართველოს ოფისის დირექტორი ლუის ნავარო.

დელეგაციის წევრები ხელისუფლების წარმოამდგენლებს, საარჩევნო კანდიდატებს, პოლიტიკური პარტიის ლიდერებს, საარჩევნო ადმინისტრაციის, სამოქალაქო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდებიან და არჩევნებისთვის სამზადისს, საარჩევნო პროცესის ძირითადი სუბიექტების პოლიტიკურ აქტივობებსა და, ზოგადად, საარჩევნო გარემოს შეაფასებს.

**მედიანიუსი**

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**
მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. [illegible]
სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, [illegible] 100%-იანია.
ქ-ნი ქეთევანი
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ქართულმა ოცნებამ“ მერობის კანდიდატები დაასახელა

ნათია ხურცილავა

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია გახსნილად გამოაცხადა. სტარტი ხელისუფლებამ და მათმა კანდიდატებმა სპორტის სასახლიდან აიღეს.

12 ქალაქში მერობის სახელისუფლო კანდიდატის დასახელებას მთავრობა სრული შემადგენლობით ესწრებოდა. ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის იყო ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი, თუმცა ის სიტყვით არ გამოსულა და არც პრესისთვის გაუკეთებია კომენტარი.

წინასაარჩევნო სამზადისით სპორტის სასახლეში ვიცე-პრემიერი კახა კალაძე იყო დაკავებული, სწორედ ის არის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი. კალაძემ პირველმა მიმართა სპორტის სასახლეში შეკრებილ საზოგადოებას, სადაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდანაც იყვნენ ჩამოსულები.

შემდეგი სიტყვით შეკრებილებს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** მიმართა:

– 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისა და კოალიცია ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენმა გუნდმა საქართველოში ახალი პოლიტიკური კულტურა დაამკვიდრა – ჩვენ ჩავატარეთ პრეზიდენტის არჩევნები, რომელიც უპრეცედენტო იყო თავისუფალი საარჩევნო გარემოს, გამჭვირვალობისა და დემოკრატიულობის თვალსაზრისით. ჩვენი ხელისუფლება სამართლიანად ამაყობს იმ შეფასებით, რომელიც მოჰყვა ამ არჩევნებს – მთელმა დემოკრატიულმა სამყარომ, წამყვანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთხმად აღიარეს, რომ საქართველომ დაადასტურა თავისი ერთგულება ევროპული, დემოკრატიული ღირებულებებისადმი და მნიშვნელოვნად გადადგა ნაბიჯი წინ, დემოკრატიისაკენ. და რაც ყველაზე მთავარია, ჩვენი ხალხი, ამომრჩეველი დარწმუნებულია ამ არჩევნების შედეგების სამართლიანობაში. დღეს ჩვენი ქვეყანა ისევ საარჩევნო რეჟიმშია, წინ კიდევ ერთი არჩევნები გვაქვს. ახალ ეტაპს ვიწყებთ, ისევ გამარჯვებისთვის ვემზადებით. დარწმუნებული ვარ, ეს არჩევნებიც ისეთივე დემოკრატიული, ისეთივე თავისუფალი იქნება, როგორიც წინა არჩევნები იყო. ეს არის ჩვენი ხელისუფლების მტკიცე პოლიტიკური ნება.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, თვითმმართველობის არჩევნები ძლიერი საქართველოსკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება.

ღარიბაშვილმა მერობის კანდიდატები წარუდგინა ხალხს და ისინი ასე დაახასიათა:

– პირველ რიგში, წარმოგიდგენთ ქუთაისის მერობის კანდიდატს ბატონ შოთა მურღულიას, რომელიც ამჟამადაც ასრულებს ქუთაისის მერის მოვალეობას. ის პროფესიით ეკონომისტი და სამართალმცოდნეა, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილებით. ასეთი მერი სჭირდება ქუთაისს.

ბათუმი – გიორგი ერმაკოვი. ასევე ბათუმის მერის მოვალეობის ამჟამინდელი შემსრულებელი, სამართალმცოდნე, ბათუმში დაბადებული, გაზრდილი. მას კარგად ესმის და იცის, რა სჭირდება ბათუმელებს და ბათუმს;

თელავი: პლატონ კალმახელიძე – კახელი კალმახელიძე, ძირძველი თელაველი, პროფესიით ექიმი.

ამბროლაურის მერობის კანდიდატი, რატი ნამგალაძე. განათლებით მშენებელ-ინჟინერი, ეკონომისტი. მრავალმხრივი გამოცდილების მქონე, კომპეტენტური ადამიანი.

რუსთავის მერად წარმოგიდგენთ, რუსთავის მერის მოვალეობის შემსრულებლის დავით ჯიქიას კანდიდატურას. პროფესიით ეკონომისტი. დათოს ასევე მიღებული აქვს განათლება ქალაქის ურბანულ დაგეგმვასა და განვითარებაში, რაც მნიშვნელოვნად წაადგება მას რუსთავის მერის პოსტზე.

ახალციხის მერობის კანდიდატია ბატონი გიორგი კოპაძე – სამართალმცოდნე. მთელი მისი სამუშაო გამოცდილება დაკავშირებულია საქართველოს ამ ისტორიულ კუთხესთან და ქალაქ ახალციხესთან.

კიდევ ერთი ჩვენი უძველესი ქალაქის, მცხეთის მომავალი მერი მინდა წარმოგიდგინოთ – ავთანდილ ნემსიწვერიძე. მცხეთელებისთვის საამაყო ადამიანი, ექიმი. ბატონი ავთანდილი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი პრინციპული მოქალაქეობრივი პოზიციით. ის არ ეპუებოდა უსამართლობას არც საბჭოთა პერიოდში, როდესაც ეროვნულ მოძრაობაში იყო და არც მისი ცხოვრების მომდევნო წლებში.

ირაკლი გოგოხია – ზუგდიდი, პროფესიით ეკონომისტი. მას ეძლევა საშუალება, ემსახუროს მშობლიურ ზუგდიდსა და ზუგდიდელებს.

გორის მერად წარმოგიდგენთ ბატონ ზურაბ ჯირგველიშვილს. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, გორის პრობლემებზე მუშაობის გამოცდილებით, მან კარგად იცის, რა არის გორში და მთლიანად შიდა ქართლში პირველადი და უმთავრესი საზრუნავი.

ბეგლარ სიორიძე, ოზურგეთის მერობის კანდიდატი, ოზურგეთელი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ამ დარგში ძალიან კომპეტენტური ადამიანი, ბიზნესმენი, რომელმაც ძალიან კარგად იცის შრომის ფასი და დღემდე არაერთი ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

## როდის გამოქვეყნდება საარჩევნო სიები



ფოთის მერი წარმოგიდგენთ ირაკლი კაკულიას, ფოთში დაბადებულ და გაზრდილ კაცს, პროფესიით ინჟინერ-მშენებელს, ასევე იურისტს, კარგ მეურნეს და კარგ ადამიანს.

თბილისის მერობისთვის იბრძოლებს ჩვენი გუნდის ღირსეული წევრი ბატონი დავით ნარმანია. დარწმუნებული ვარ, ბატონი დავითი დამაჯერებელ გამარჯვებას მოიპოვებს და ჩვენს დედაქალაქს მისი სახით შესანიშნავი თავკაცი ეყოლება. დავით ნარმანია დაჯილდოებულია ყველა იმ თვისებით, რომელიც კარგ მერს უნდა ჰქონდეს. დავით ნარმანია არის მეცნიერებათა დოქტორი და ამავე დროს შესანიშნავი მენეჯერი და მეურნე. იგი გახლავთ თვითმმართველობის კოდექსის ავტორი, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მინისტრი ჩვენს მთავრობაში. დარწმუნებული ვარ, სწორედ მას აირჩევენ თბილისელები, სწორედ მას ანდობენ თბილისის მერის უაღრესად საპატიო მანდატს.

დავით ნარმანიამ თავისი გამოსვლა მადლობით დაიწყო, მადლობა კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილსაც გადაუხადა.

– ეს არჩევნები აღებული ვალდებულებების რეალური შესრულების გზაა – ასე დაიწყო თავისი გამოსვლა დავით ნარმანიამ. ნარმანია არჩევნების მეორე ტურს გამორიცხავს და გამარჯვებას 15 ივნისს აპირებს.

**დავით ნარმანია:**



– პროგრამა 4 წელზე იქნება გათვლილი. პირველ წელს ყველაზე მწვავე პრობლემები იქნება მოგვარებული. პროგრამაში საუბარი იქნება ადამიანებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნაზე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების სამუშაოებზე, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებებზე, ასევე გარემოს დაცვის მიმართულებებზე. პროგრამაში ძალიან ბევრი მიმართულებებია მოცემული და ძალიან ბევრი საინტერესო ხედვებია, პირველი პრეზენტაცია გვექნება ორშაბათს, რომლის შემდეგაც თემატურად ყველა მიმართულებას ფართო საზოგადოებას გავაცნობთ. მინდა, ნდობისთვის მადლობა გადაუხადო თითოეულ დამსწრეს. დღემდე ერთ გუნდად მოვედით, ამ არჩევნებშიც ერთად გავიმარჯვებთ, ერთად ვიზრუნებთ საქართველოზე, თბილისზე. ერთად შევქმნით ღირსეულ გარემოს, ცხოვრებისა და საქმიანობისთვის. ეს არის ქართველი ხალხის წინაშე აღებული ვალდებულება და ეს არჩევნების ამ ვალდებულების შესრულების რეალური გზაა. კონკრეტული სოფლის, ქალაქის მუნიციპალიტეტის პრობლემების მოგვარება ყველაზე უკეთ, ადგილზე შეიძლება. სამწუხაროდ, ამის რეალური შესაძლებლობა დღემდე არ არსებობდა, რადგან ყოფილი ხელისუფლების მიერ შეგნებულად იყო შეზღუდული. საბედნიეროდ, დღეს რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს. ქართველი ხალხის და „ქართული ოცნების“ ძალისხმევით შეიცვალა ერთი ჯგუფის ინტერესებზე მორგებული მმართველობის სისტემა. თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, მოსახლეობას მართლაც შეეძლება საკუთარი სოფლის, ქალაქის, მუნიციპალიტეტის თავად მართვა. პირველად, საქართველოში ადგილობრივი ხელისუფლება რეალურად ხალხს გადაეცემა. პრობლემების რეალური მოგვარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს ამის ნება და დემოკრატიის პრინციპების დაცვით. დღეს ხელისუფლებამ შექმნა ყველა იმის პირობა, რომ ადგილზე მოგვარდეს ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. წყალმომარაგება, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების მართვა, მიუსაფართა უფლებების დაცვა და სხვა საკითხები თვითმმართველობის უფლებამოსილება გახდა. აირჩიო, ნიშნავს თავად გახდე მონაწილე ყველა იმ პროცესისა, რომელიც შენს უბანში, ქალაქში, ქვეყანაში მოხდება. სწორედ ამიტომ, ჩვენ ერთად ვიზრუნებთ თბილისზე, ერთად შევქმნით ჯანსალი ოჯახებისა და შვილებისთვის უკეთეს საცხოვრებელ და ჯანსაღ გარემოს. ჩვენ შევინარჩუნებთ ძველი თბილისის უნიკალურ კულტურულ მემკვიდრეობას და ამავდროულად ხელს შევუწყობთ ქალაქის განვითარებას. ჩვენ კონკრეტული გეგმებით და პროექტებით მოვდივართ, ისინი ორიენტირებულია ქალაქში მშენებლობის მოწესრიგებაზე, გამწვანებისა და რეკრეაციული ზონების შექმნაზე. სატრანსპორტო და სხვა სახის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე. სპეციალისტების და საზოგადოების აქტიური ჩართულობით ჩვენ შევქმნით ქალაქის განვითარების პრინციპულად ახალ და განსხვავებულ გენერალურ გეგმას.



კანდიდატი აცხადებს, რომ ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი სოციალური სფეროა, რისთვისაც მერია 4 წლის მანძილზე 800 მილიონ ლარზე მეტ დახარჯავს.

– სოციალური სფერო ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, თბილისის მერია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად 800 მილიონ ლარზე მეტს დახარჯავს. – ამბობს ნარმანია.

**შოთა მურღულია:**

– პირველ რიგში ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პრემიერ-მინისტრს, კოლიცია „ქართულ ოცნებას“ ამ მაღალი ნდობისთვის. ქუთაისი სიდიდით მეორე ქალაქია. პრაქტიკულად ქუთაისი მიუხედავია, მდგომარეობა ძალიან რთულია. შესაბამისად ჩვენ ერთად, ვგულისხმობ ქუთაისელებს, შევძლებთ, მოვაგვაროთ არსებული პრობლემები. დაიწყება ის ეპოქა, როდესაც ხელისუფლება ხალხის სამსახურში იქნება და არა პირიქით. ჩვენ, რა თქმა უნდა, პრიორიტეტებს წარმოვადგენთ, რომელიც გაწერილი იქნება ხალხთან ერთად და ყველა დაინახავს, რომ ქუთაისელები არიან ქუთაისის მმართველები და არა ვიწრო კლანური თუ პოლიტიკური წრეები, რომლებიც არასასურველ გარემოს ქმნიდნენ ქალაქში. ასევე უნდა აღვნიშნო, რომ პირველად მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა, რომ თავად გააკეთოს არჩევანი.

**დავით ჯიქია:**

– უპირველეს ყოვლისა, მადლობა მინდა კოალიციას ამ ნდობისთვის გადავუხადო. რუსთავში ცნობილია, რომ ძალიან ბევრი პრობლემაა. ამ საკითხზე არაერთხელ იყო საუბარი. ძალიან დიდი პრობლემაა გამწვანებასთან დაკავშირებით, პრიორიტეტი იქნება ამ პრობლემის გადაჭრა, ასევე ტექნიკური წყლის შეყვანა ქალაქში, ასევე პრობლემაა სანიაღვრე სისტემები. ყველაფერი კარგად იქნება, რადგან ჩვენ ქალაქის მოსახლეობასთან ერთად ვაპირებთ მუშაობას. ერთი კონკრეტული ადამიანი არ უნდა წყვეტდეს რა არის მნიშვნელოვანი და რა არა, ეს მოსახლეობასთან ერთად უნდა გადაწყდეს.

**დავით საგანელიძე, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი:**



– წინასაარჩევნო კამპანიის გახსნამ ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე ჩაიარა, რაც დამახასიათებელია ჩვენთვის. საზოგადოებას კოალიციამ თავისი სათქმელი უთხრა. თავისი სათქმელი თქვა პრემიერმა, დედაქალაქში მერობის კანდიდატმა ისაუბრა, იმ ძირითად მიმართულებებზე, რაზეც ის იმუშავებს, როდესაც ის იქნება ქალაქის მერი. დავით ნარმანიას ასპროცენტიანი შანსი აქვს, რომ გაიმარჯვოს. ასევე დანარჩენებსაც. ამას ასე დაბეჯითებით ორი მარტივი მიზეზის გამო ვამბობ: ისინი პიროვნულად არიან ღირსეული ადამიანები და ეს ხალხი წარმოადგინა იმ პოლიტიკურმა გაერთიანებამ, რომელსაც დღეს უცილობლად ყველაზე მაღალი ავტორიტეტი და ნდობა აქვს ხალხში.

– ***საარჩევნო სიის პირველი ნომერი ვინ იქნება?***

– ამას გაიგებთ მაშინ, როდესაც სია გამოქვეყნდება. საარჩევნო სია უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება. თქვენის ნებართვით, არც ერთ გვარს, რომელიც დაასახელეთ ამ ეტაპზე არ დაგიდასტურებთ. არჩევნებს თავისი წესი და ვადები აქვს. ყველაფერი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

**ეკა ბესელია, კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი:**



– ჩვენ ბოლომდე გვაქვს ის ვალდებულებები და ის საქმე მისაყვანი, რომელიც ავიღეთ სწორედ საპარლამენტო არჩევნების დღეს. მე მიმაჩნია, რომ 15 ივნისი იქნება ის დღე, ის შემაკავშირებელი რგოლი, რომელიც გაასამებს ამ გამარჯვებას, რაც მოგვცემს შესაძლებლობას დავასრულოთ ყველა ვალდებულების შესრულება. თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებით, როდესაც ხალხს თავისი არჩეული მერი ეყოლება ამ ვალდებულებების შესრულებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმება. უახლოეს დღეებში დასახელდება სრული საარჩევნო სია. მათ შორის ცხადია სიის პირველი ათეულიც ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის. წარმოდგენილები იქნებიან ღირსეული ადამიანები. ჩვენ აქცენტს ასევე ვაკეთებთ ახალ სახეებზე. ამდენად არჩევნებზე წარმოდგენილები იქნებიან, როგორც ცნობადი სახეები, ასევე ახალი სახეები. ახალგაზრდები, გამოცდილი ადამიანები. ვფიქრობ, საუკეთესო არჩევანი გაკეთდა.

# მამუკა გვაძაბაია: აფხაზეთში საქართველოს აგენტურული ქსელი გაანეიტრალეს“

## კარასინისა და აბაშიძის მოლაპარაკებები შედეგს არ მოიტანს

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ უპარტიოთა მოძრაობის ლიდერ მამუკა გვაძაბიასთან

***— ბატონო მამუკა, მოგეხსენებათ, რუსეთი ცდილობს, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მაგალითად, უკრაინასა და საქართველოში, თავის მოქალაქეებად აქციოს ადამიანები რუსული პასპორტების დარიგებით. რა ვითარებაა ამ მხრივ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აფხაზეთში? ითქვა, რომ აფხაზეთში ქართველებს აფხაზურ პასპორტებს ართმევენ და რუსული პასპორტების აღებას აიძულებენ.***

— ამაზე მე ჯერ კიდევ 1999 წლიდან ვსაუბრობ. მაშინ, როდესაც მოსკოვში ვიმყოფებოდი, ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ ელცინის ეპოქაშიც რუსეთის ხელისუფლება აპირებდა აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგებას, მაგრამ მაშინ ეს ვერ მოხერხდა თუ რაღაც მიზეზების გამო გადაიდო. თუმცა, 1998 წელს მაშინდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ეს ინფორმაცია ჩვენ გვქონდა (მე მაშინ მოსკოვში ვიმყოფებოდი). მოგვიანებით (როდესაც პუტინი გახდა პრემიერ-მინისტრი და შემდგომ – პრეზიდენტი), თუ არ ვცდები, 2000 წელს რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო. ამიტომ უფრო აქტიური გახდა რუსეთისთვის ეს საკითხი. შესაბამისად, ქმედებაზე გადავიდნენ და დაიწყეს პასპორტების დარიგება, თუმცა, იმ ინტენსივობით არა, როგორც ამას დღეს აკეთებენ. საბაბი რომ ჰქონოდათ და თავისი მოქალაქეების ეგიდით სურვილისამებრ ემოქმედათ, პასპორტების დარიგება დაიწყეს. რუსეთის პოლიტიკისათვის ეს ახალი მოვლენა არ არის.

***— ახლა, უკრაინის მოვლენების კვალდაკვალ, კვლავ გააააქტიურეს პასპორტების დარიგების პროცესი.***

— ახლა, გასაგები მიზეზების გამო, როგორც ვხედავთ, პუტინი ვაბანკზე მიდის ყველა მიმართულებით. დარწმუნებული ვარ, უახლოეს პერიოდში თუ არა, დავუშვათ, 4-5-წლიან პერსპექტივაში აუცილებლად წააგებს. ასეთი პროგნოზის გაკეთება შემიძლია. 1-2 წლის პერსპექტივაში რეიტინგს თუ აიმაღლებს და ქულებს დაიწერს თავისი ელექტორატის წინაშე, გრძელვადიან პერსპექტივაში, 4-5 წელიწადში აუცილებლად რუსეთს დაეტყობა ის, რასაც დღეს აკეთებს. რუსეთის მოქმედების საპასუხოდ დასავლეთი სწორად მოქმედებს. ვინაიდან რუსეთის ინტეგრირება მოხდა, მათ შორის, საერთაშორისო ეკონომიკაში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ამ ორგანიზაციების მიერ რუსეთის ბლოკირება აუცილებლად გამოუსწორებელ შედეგებს გამოიწვევს. სწორედ ამასთან გვაქვს საქმე.

***— ამ ფონზე აფხაზეთში ვითარება როგორია?***

— აფხაზეთში ყოველთვის რაღაც ხდება, რაც აწყობს რუსეთს და რაც არ გვაწყობს ჩვენ. დღევანდელი მდგომარეობით, მოსახლეობაზე ზეწოლა გაძლიერებულია, განსაკუთრებით – ქართველ მოსახლეობაზე, რომ ქართველმა მოსახლეობამ რუსული პასპორტები აღიაროს. უფრო მეტიც, ინტენსიურად მოქმედებენ ჯგუფები, რომლებიც აგიტაციას ეწევიან. ამ მხრივ ძალიან სავალალო მდგომარეობაა იმ თვალსაზრისით, რომ ის აგენტურული ქსელი, რომელიც აფხაზეთში მოქმედებდა, ვთქვათ, 3-4 წლის წინ, დღეს აბსოლუტურად განეიტრალებულია და ინფორმაციის ნაკლებობას განვიცდით. უფრო მეტი ინფორმაცია მაქვს პირადად მე.

***— ვის აგენტურულ ქსელზე საუბრობთ?***

— საქართველოს ხელისუფლების აგენტურული ქსელი, რომელიც წარმატებით მოქმედებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე. დღეს აბსოლუტურად (600 კაცი) განეიტრალებული და მოშიშვლებულია სივრცე აფხაზეთის მიმართულებით. მე, პირადად, უფრო მეტი ინფორმაცია მაქვს ჩვენი ორგანიზაციის ხაზით, ვიდრე სპეცსამსახურებს. წარმოიდგინეთ, როგორი სიტუაციაა.

***— რა იცით, რომ სპეცსამსახურებს არ აქვთ ინფორმაცია?***

— მე ამას ჰაერზე არ ვამბობ, ვიცი და ამას იმიტომ ვაცხადებ. ხომ არ გავშიფრავ, ვინ, როგორ და რანაირად? ვიცი, რომ აბსოლუტურად მოშიშვლებულია აფხაზეთის ფლანგი, მით უმეტეს, ოლიმპიადის ჩატარების დროს რაღაც თანამშრომლობის ფაქტები დაფიქსირდა. ოლიმპიადა როგორ ჩატარდა, გასაგებია. არავინ იყო იქ აფეთქებებისა და ტერაქტების მოწყობის მომხრე, მაგრამ იმის შემდგომ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან ზუგდიდისკენ გადმოდიან რუსების სპეცსამსახურების მიერ „დავერბოვკებული“ ადამიანები, რომლებიც ზუგდიდსა და სამეგრელოს რეგიონში მუშაობენ და მოსახლეობას მოუწოდებენ, რუსული პასპორტები აიღონ. სამწუხაროდ, ამის ფაქტები არის და ამგვარ ფაქტებს არანაირი შეფასება ხელისუფლებისაგან არ მოჰყვება. ეს არის ყველაზე მტკივნეული და საშიში საკითხი, რომელიც დღეს შეიძლება ემუქრებოდეს საქართველოს იმ ფლანგიდან.

***— თუ აფხაზურ პასპორტებს ართმევენ მოსახლეობას და რუსული პასპორტების მიღებას აიძულებენ, აფხაზები რას წარმოადგენენ, რა „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ ეგ არის?***

— მე თქვენ გეუბნებოდით, ანქვაბმა ასე თუ გააგრძელა, ის ელის, რაც ბაღაფშს. ანქვაბმა, ეტყობა, იგრძნო საშიშროება და რუსეთის მოქალაქეებს ბინებისა და მიწების შესყიდვის უფლება დართეს. ეს იყო ძალიან მტკივნეული საკითხი. თუმცა, ამას ეწინააღმდეგება ე.წ. უხუცესთა საბჭო. რუსული პასპორტების აღების პროპაგანდას ყველაზე აქტიურად ეწევა აფხაზეთში მოქმედი სომხური დიასპორა, რომლის ხელმძღვანელობა აბსოლუტურად გერეუს აგენტებითაა დაკომპლექტებული. სომხური დიასპორა აქტიურ პროპაგანდას ეწევა, რომ რაც შეიძლება მეტმა აფხაზეთში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებმა აიღონ რუსეთის მოქალაქის პასპორტი. ამას აკეთებს სომხური დიასპორა. ყველა სომეხზე არ ვსაუბრობ.

***— თქვენ ამბობთ, რომ ჯგუფები მოქმედებენ. ამ ჯგუფებში ვინ შედიან, ქართველები არიან მათ შორის?***

— ქართველებიც არიან. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც ოკუპანტია, კოლაბორაციონისტული ურთიერთობები არსებობს. ნებისმიერ ქვეყანაში მოიძებნება ჯგუფები, რომლებიც ოკუპანტთან თანამშრომლობენ. აფხაზეთშიც მოქმედებენ ჯგუფები, რომლებიც თანამშრომლობენ საოკუპაციო რეჟიმთან და, გალელები, გარკვეულწილად, პირდაპირ ამ აგიტაციის მსხვერპლი გახდნენ. თუმცა, ასეთი ადამიანების დიდი რაოდენობა არ არის. გალელები ებმებიან მათ დაგებულ მახეში, მაგრამ – ძალიან ცოტა რაოდენობით. უფრო ზუგდიდსა და, საერთოდ, სამეგრელოს სხვა რაიონებში გადმოსაგზავნად იყენებს. ოჩამჩირეში რუსული დივერსიული ჯგუფი მოქმედებს. მათ შორის, ეთნოდივერსიული ჯგუფი მოქმედებს, რომელიც გამალებით მუშაობს მეგრული, ე.წ. სეპარატიზმის ასაღორძინებლად, მაგრამ შედეგი აქვს ნული.



***— თქვენ თქვით, რომ დასავლეთის რეაქცია იმის ადეკვატურია, რასაც რუსეთი დღეს უკრაინასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში აკეთებს. როცა ამას ამბობთ, რა გაქვთ მხედველობაში?***

— აშშ-ს თავისი არსებობის მანძილზე დღეს ყველაზე სუსტი ადმინისტრაცია და ერთ-ერთი სუსტი პრეზიდენტი ჰყავს. ზოგჯერ გაურკვეველ სიტუაციაში ამყოფებს თავის მოკავშირეებსაც.

***— მაშინ, ადეკვატური მოქმედება სად ჩანს?***

— მე ეს შეგნებულად ვთქვი, შეუგნებლად არ მითქვამს. კარგად ვასიგრძეგანებ, რასაც ნიშნავს. უბრალოდ, პოლიტიკური ისტებლიშმენტი ამერიკაში არ არის მხოლოდ ხელისუფლება. იქ არის ისეთი ძლიერი ოპოზიციური პარტია, როგორიცაა რესპუბლიკური პარტია. არ მინდა სხვა ქვეყნის პოლიტიკურ ნიუანსებზე საუბარი, მაგრამ, ფაქტია, რომ დღეს ამერიკას სუსტი ადმინისტრაცია ჰყავს. ზოგადად დასავლეთი მოქმედებს სწორი ტაქტიკით. ომი, დავიდარაბა, ატომი არავის უნდა. მთავარია, რუსეთი უნდა გააძვალტყავონ ისე, რომ ტყვია არ გავარდეს. ამას მიაღწევენ. რაღაც ეტაპზე რუსეთი იძულებული იქნება, დათმობაზე წავიდეს, გამომდინარე იქიდან, რამდენადაა რუსეთის ეკონომიკა დასავლეთთან ინტეგრირებული, თუნდაც მაღალი ტექნოლოგიების თვალსაზრისით. მაგალითად, ახლა შავის ზღვის შლეიფზე, გუდაუთიდან 80 კილომეტრის დაშორებით, ნავთობის ათვისება უნდათ, მაგრამ ტექნოლოგიები არ აქვთ. დასავლეთმა ტექნოლოგიური სანქციები რომ გამოუცხადა, ამ ტექნოლოგიას არ აწვდიან და ამ ნავთობის ათვისებას ვერ ახდენს. რუსეთი ახალი ტექნოლოგიების თვალსაზრისით ძალიან ჩამორჩენილია დასავლეთის გარეშე. თუ საუდის არაბეთმა ნავთობი გაიტანა, თუ ირანს სანქციები მოუხსნეს და ნავთობი გაიტანა, ამას მოჰყვება ფასების ვარდნა რუსეთის ბაზარზე, რუსეთის ნავთობის ფასის დავარდნა საერთაშორისო ბაზარზე. შედეგად რუსეთის ბიუჯეტი განახევრდება. ამის ერთადერთი კომპენსაცია შეიძლება იყოს შიდა ბაზარზე ენერგომატარებლების ფასის ზრდა, რომელიც, რა თქმა უნდა, სოციალურ უკმაყოფილებას გამოიწვევს. ვერავითარ შემთხვევაში რუსეთს, თუნდაც ჩინეთის ბაზარზე გადარეგისტრირება რომც მოხდეს, მაინც ვერ უშველის. ამიტომ სწორი მიდგომაა ნელი მოქმედებით რუსეთის მოხრჩობა. რუსეთის რეაქციული ხელმძღვანელობა უნდა მიხვდეს, რომ გამოსავალი დათმობაა. თუნდაც ყირიმი, სამაჩაბლო, აფხაზეთი და სხვა ტერიტორიები დროებით მიითვისოს, 5-7 ვადის პერსპექტივაში რუსეთს აუცილებლად გააძვალტყავებენ როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად, თუ, რა თქმა უნდა, გონს არ მოეგნენ პუტინი და მისი დამქაშები.

***— სანამ გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთი კისერს წაიტეხს, იქამდე აქეთ არის რაღაცები გადასარჩენი. პასპორტიზაცია რა შედეგს მოგვიტანს?***

— რუსეთთან კუკუმალობანას თამაში იმიტომ არ მომწონს. არ მომწონს ორი ძველი კადრის – აბაშიძისა და კარასინის ფორმატი. ორი ძველი კადრი ხვდება ერთმანეთს და კაცმა არ იცის, რაზე ლაპარაკობენ. ფიგურალურად თუ წარმოვიდგენთ – ოთახში გამჭვირვალე ფარდას იმიტომ კიდებენ, შორიდან რომ არაფერი გამოჩნდეს, მაგრამ, ახლოს როცა მიხვალ ამ ფარდასთან, ოთახში ყველაფერი ჩანს. მე რაღაც ინფორმაცია მაქვს. ვისაც ინფორმაცია არ აქვს, კარასინისა და აბაშიძის ფორმატს იმედით უყურებენ. არანაირი საიმედო არ არის. ამ სიტუაციაში რაზე უნდა ილაპარაკოს საქართველომ რუსეთთან (მე არ მესმის), გარდა ტერიტორიების დეოკუპაციისა. შეიტანეს ღვინო, შეიტანეს ოხრახუში და რა? ბიუჯეტი ვერ შესრულდა, ნახევარი მილიარდი ბიუჯეტს დააკლდა. რა მისცა საქართველოს, ერთი-ორი კაცის გამდიდრების გარდა. არაფერი მიუცია არ პოლიტიკური და არც ეკონომიკური დივიდენდების სახით. ამიტომ მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკა უნდა ჰქონდეს ხელისუფლებასაც, ოპოზიციასაც. თუ ხელისუფლება ისეთ ნაბიჯებს გადადგამს, რომელიც მისაღები იქნება, მეც დავუდგები და ბევრი პოზიციურად განწყობილი ელემენტიც, მაგრამ, ჯერჯერობით, ჩვენთვის მისაღებ გადაწყვეტილებებს ვერ ვხედავთ, იმიტომ რომ აბაშიძე-კარასინის იმედით ჩვენ ვერ ვიქნებით.

***— პასპორტიზაციით აფხაზეთში რის მიღწევა შეუძლია რუსეთს?***

— აბაშიძემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე პასპორტიზაცია უკრაინაზეა გამიზნული. შეიძლება, ამ ეტაპზე, ერთთვიან პერიოდში პასპორტიზაცია უკრაინისთვის იყოს გამიზნული, მაგრამ ხვალ და ზეგ საქართველოშიც დაიწყებს ამგვარ მოქმედებებს. რუსეთის მიზანი არის თავისი ტერიტორიის ირგვლივ ბუფერული ზონის შექმნა. ყირიმი-აღმოსავლეთი უკრაინა-დნესტრისპირეთის რკალის შეკვრა უნდა, კავკასიაში კი გიუმრის სამხედრო ბაზის-სოხუმი-ცხინვალის რეგიონის სამკუთხედის შეკვრას ცდილობს, რომ სამხრეთ კავკასიაში თავი უმტკივნეულოდ იგრძნოს. ამ გეგმის განსახორციელებლად აქვს რუსეთს ყველაფერი გადადებული. ამ გეგმაში შედის მეზობელ ქვეყნებში რუსული პასპორტიზაციის პროცესი. როდესაც ეს დაიწყება და როგორც კი საქართველოს რომელიღაც მოქალაქე რუსეთის მოქალაქის პასპორტს აიღებს პუტინის მოწოდებით, უნდა გამოცხადდეს მოღალატედ. ასეთი ადამიანი არის მოქალაქე. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სწორად აღნიშნა, რომ ეს სამართლებრივად უნდა დარეგულირდეს. როცა პირი იღებს რუსეთის მოქალაქეობას, ის კარგავს საქართველოს მოქალაქეობას. გარკვეული პერიოდის შემდეგ სამართლებრივი პროცედურებით გაწერილია მისი დეპორტაციის მექანიზმები. ვინც არ იქნება საქართველოს მოქალაქე, მოუსვას აქედან და ჰქონდეს რუსეთისა და პუტინის პასპორტი.

***— ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე ასე შეიძლება ვიმოქმედოთ, მაგრამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მაგალითად გალში, თუ აიძულებენ რუსული პასპორტების მიღებას, რა შეიძლება გავაკეთოთ?***

— გალის რაიონის მოსახლეობის ძალიან დიდი იმედი მაქვს, მაგრამ კოლაბორაციონისტები იქაც არიან. იქ ხდება ადამიანების მოსყიდვა, საკმაოდ დიდი რაოდენობის ფული იხარჯება. მეგრულ ენაზე გაზეთი გამოუშვეს. მე, რა თქმა უნდა, ქართველური ენების არსებობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე და კუთხური შუღლის გაღვივების მიზნით არ უნდა ხდებოდეს. სამწუხაროდ, სახარბიელო სიტუაცია არ არის. ამ სიტუაციაში სირაქლემას პოზაში დგომა და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაზე ოცნება, ვფიქრობ, მხოლოდ ოცნებაა და მეტი არაფერი. ყველანაირი ნაბიჯები გადაიდგა, ვფიქრობდით, რომ რაღაც შედეგს მოიტანდა, მაგრამ არანაირი შედეგი, გარდა ოხრახუშისა და ღვინის გაყიდვისა. ღვინისა და ოხრახუშის გაყიდვა თუ არის სახელმწიფო პოლიტიკისთვის გადამწყვეტი, მაშინ – კი ბატონო.

***— შინაგანი წინააღმდეგობა გალის მოსახლეობაში არის?***

— დიახ, არის. წინააღმდეგობა რომ არ ყოფილიყო, მაშინ ამას ადრე გააკეთებდნენ.

# შსს-მ კიბერდანაშაულის ჩადენისა და ჯგუფური თაღლითობის მცდელობის ფაქტები აღკვეთა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოსა და მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, ჩატარებული ერთობლივი ღონისძიების შედეგად, 2014 წლის 19 აპრილს, კიბერდანაშაულის ჩადენისა და დიდი ოდენობით, ჯგუფური თაღლითობის მცდელობის ფაქტები აღკვეთეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2014 წლის 18 აპრილს, დაახლოებით 20 საათსა და 45 წუთზე, დავით ი.-სთვის ცნობილი გახდა „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პირველი კატეგორიის პრიზის მომგებიანი ციფრები – 5, 9, 15, 19, 30, 32. დავით ი. შპს „საქართველოს ფოსტის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორად მუშაობდა. მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედიოდა შპს „საქართველოს ფოსტის“ და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება.

მან ისარგებლა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, ვინაიდან შეუფერხებელი წვდომა ჰქონდა შესაბამის სერვერთან და ხელოვნურად, ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეცვალა კომპიუტერული მონაცემები და შექმნა უნიკალური კოდის მქონე ლოტოს ყალბი მომგებიანი ბილეთი, სადაც მითითებული იყო ზემოაღნიშნული ციფრები.

ხსენებული ბილეთის ქსელში დარეგისტრირებისთანავე პირველი საპრიზო კატეგორია – ჯეკპოტი 561 176 ლარის ოდენობით გათამაშებულად გამოცხადდა, თუმცა დავით ი.-მ დანაშაულებრივი განზრახვა თანხის თაღლითურად დაუფლების თაობაზე ბოლომდე ვერ მიიყვანა, ვინაიდან იგი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე ამხილეს და დააკავეს.

2014 წლის 20 აპრილს დავით ი.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტი), სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილით (ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის დამზადების ფაქტი) და სსკ-ის 286-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ „ ქვეპუნქტით (კიბერდანაშაული, კომპიუტერული მონაცემის უნებართვო შეცვლის ფაქტი).

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დავით ი. დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედებდა მოქალაქე სოფიო ყ.-სთან წინასწარი შეთანხმებით. დავით ი.-ს მიერ დამზადებული ლოტოს ყალბი მომგებიანი ბილეთი სოფიო ყ.-მ, 561 176 ლარის ოდენობით ჯეკ-პოტის თაღლითურად დაუფლების მიზნით გამოიყენა.

2014 წლის 26 აპრილს, სოფიო ყ.-ს წარედგინა ბრალდება საქართველოს სსკ-ის 19,180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით(დიდი ოდენობით, ჯგუფურად ჩადენილი თაღლითობის მცდელობის ფაქტი) და სსკ-ის 210-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ყალბი ქონებრივი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის ჯგუფურად დამზადების ფაქტი).

საქმეზე გამოძიებას საქართველოს შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს საგამოძიებო მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ნიუსრესი

**წლის და 9 თვის ელისაბედ დარჩიას სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი მკურნალობა საზღვარგარეთ,**



**შესაძლოა დასჭირდეს განმეორებითი ოპერაციაც. გოგონა დაიბადა შინაგანი ჰიდროცეფალიის დიაგნოზით, ჩატარებული აქვს თავის ტვინის შუნტირება, რამაც სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ელისაბედს ჰყავს სრულიად ჯანმრთელი ტყუპისცალი ძმა. უმორჩილესად გთხოვთ, თუნდაც მცირედით დაეხმაროთ პატარა ელისაბედს.**

**თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია „ლიბერთი ბანკის“ ანგარიშზე:**

**GE95LB0711154286819 40**

**☎ 577-544-222, 598-204-570**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზირებელი სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ...

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო

# ირმა სოხაძე ვარსკვლავოსანია

ეკა ირემაშვილი

ქართველი მომღერალი ირმა სოხაძე ვარსკვლავოსანია. სცენაზე მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე მომღერალს ვარსკვლავის გახსნით დაუფასდა. საქართველოს კულტურის პალატამ კომპოზიტორთა კავშირის შუამდგომლობით დიდი საკონცერტო დარბაზის წინ ირმა სოხაძის ვარსკვლავი გახსნა და ამ მნიშვნელოვან მოვლენას გრანდიოზული კონცერტიც მიუძღვნა.




ირმა სოხაძემ ამ კონცერტით მადლიერების გამოხატვა გადაწყვიტა ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც მის 53 წლიან კარიერაში თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა. კონცერტზე მომღერალმა 23 კომპოზიცია შეასრულა. მასთან ერთად საღამოში მონაწილეობა მიიღეს მისმა მეგობრებმა და კოლეგებმა. საღამოზე მისული მსმენელისთვის მომღერალმა სიურპრიზიც მოამზადა. მასთან ერთად სცენაზე წარდგნენ მომღერლის მეუღლე რეზო ასათიანი, „დიელო", „ალილო", ვატო კახიძე, მერაბ სეფაშვილი, ოთარ მაღრაძე, საბავშვო სტუდია „მხიარული ნოტების" აღსაზრდელები. კონცერტზე შესრულდა ყველა ის სიმღერა, რომელიც ხელოვანის შემოქმედებაში გამორჩეულია, მათ შორის ცნობილ ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, ჯაზური კომპოზიციები და სპეციალურად ირმა სოხაძისთვის დაწერილი მელოდიები.

კონცერტის დასასრულს კი საზეიმო ვითარებაში ირმა სოხაძის ვარსკვლავი გაიხსნა, რომელიც რიგით 47-ეა. ეს მნიშვნელოვანი დღე მას კოლეგებმა, ოჯახის წევრებმა, რიგითმა გულშემატკივრებმა და მსმენელებმა მიულოცეს.

– ძალიან მადლიერი ვარ ყველასი, ვინც მოვიდა, დამაფასა და ჩემი სიხარული გაიზიარა. ეს საღამო იყო ერთგვარი მოგონებების და მადლიერების საღამო. მინდოდა, რომ ჩემი მადლობა მეთქვა ყველასთვის, დაწყებული ჩემი წინაპრებით და მშობლებით, ჩემი პედაგოგებით, კონსერვატორიის პედაგოგებით, მეგობრებით დამთავრებული, ყველასთვის, ვინც შემხვდა ცხოვრების გზაზე, იმიტომ რომ მართლა ძალიან ბევრი კარგი ადამიანი შემხვდა. მართლა ძალიან ბედნიერი ვარ, არ მეგონა ასეთი ეიფორიული განცდა თუ იქნებოდა აქ დგომა და ამ ვარსკვლავის გახსნა. უდიდესი ბედნიერებაა, რომ ამდენი ადამიანი დგას და ჩემს სიხარულს იზიარებს. ეს არის ჯილდო, რომელიც მართლაც გამორჩეულია. მეტირება, თუმცა თავს ვიკავებ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას. – განაცხადა ვარსკვლავოსანმა მომღერალმა.

ვარსკვლავების გახსნის ინიციატორმა და საქართველოს კულტურის პალატის ხელმძღვანელმა დავით ოქიტაშვილმა აღნიშნა:

– ამ პროექტმა იცოცხლა 15 წელი, რაც იმის დასტურია, რომ ის ნამდვილად გამორჩეული პროექტია. ირმას ვარსკვლავი გაუხსნა ხალხმა. თუ ხალხს არ უყვარხარ, არანაირ ვარსკვლავს არ აქვს ფასი. ხალხის სიყვარულზე დიდი ჯილდო არაფერია, ამიტომაც ირმა ხალხის სიყვარულმა მოიყვანა აქამდე, მადლობის ნიშნად აჩუქა ვარსკვლავი და ამით გამოხატა თავისი მადლიერება. ვულოცავ კიდევ ერთხელ ამ მნიშვნელოვან დღეს და მინდა, რომ სულ ასეთი ბედნიერი და გახარებული ყოფილიყოს.

# ვახტანგ მაჭავარიანი სიმფონიის პრემიერას გამართავს

ეკა ირემაშვილი

30 აპრილს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი კონსერვატორიის დიდ დარბაზში სიმფონიური მუსიკის კონცერტს გამართავს. ორკესტრს უდირიჟორებს ცნობილი ქართველი დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანი, თუმცა, ამ საღამოს ის კომპოზიტორის როლშიც წარდგება აუდიტორიის წინაშე, ვინაიდან ვაგნერის ოპერის „რიენცის" უვერტიურასთან, ჯაკომო პუჩინის „მადამ ბატერფლაის" მეორე მოქმედების მეორე სცენის შესავალთან, ვახტანგ მაჭავარიანის მიერ გაორკესტრებული სერგეი პროკოფიევის მეშვიდე საფორტეპიანო სონატის მესამე ნაწილთან (პირველი შესრულება საქართველოში, ეძღვნება ალექსი მაჭავარიანის ხსოვნას) ერთად, გაიმართება ვახტანგ მაჭავარიანის პირველი სიმფონიის „სამყარო ჰარმონიას" პრემიერა. ეს სიმფონიაც ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილეს მიეძღვნება. ბოლო წლების მანძილზე ვახტანგ მაჭავარიანი საზოგადოებამ კომპოზიტორის ამპლუაშიც გაიცნო, როდესაც მან მსმენელს წარუდგინა თავისი ნაწარმოებები კონცერტინო ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის, სიმფონიური პოემა „ნაცარქექია", ამჯერად კი შედგება პირველი სიმფონიის პრემიერა.

ვახტანგ მაჭავარიანს შემოქმედებითი თანამშრომლობა აკავშირებდა და აკავშირებს საქართველოს და მსოფლიოს ცნობილ კოლექტივებთან, რომელთან ერთად გამართული აქვს კონცერტები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ავსტრალიაში, იტალიაში, თურქეთში, სერბეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ნიდერლანდებში, საბერძნეთში, ისრაელში, რუსეთში, ხორვატიაში, უკრაინაში, სომხეთში, სინგაპურში, ტაივანში, ბრაზილიაში. ამჟამად იგი თანამშრომლობს ბელგიის ნაციონალურ სიმფონიურ ორკესტრთან. უახლოეს მომავალში დაგეგმილი აქვს კონცერტები გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვახტანგ მაჭავარიანი წლების მანძილზე თანამშრომლობდა მსოფლიოს სხვადასხვა საოპერო თეატრებთან. საოპერო დადგმები განხორციელებული აქვს გერმანიაში, მოსკოვის დიდ თეატრში, საფრანგეთში, შვეიცარიაში, ესპანეთში, ლატვიაში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი გახლავთ შოტლანდიის საოპერო თეატრის მიწვეული დირიჟორი. სხვადასხვა წლებში ვახტანგ მაჭავარიანი იყო მარიას თეატრის მთავარი მიწვეული დირიჟორი, მოსკოვის საფესტივალო ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელთან ერთად არა ერთხელ გამართა გასვლითი კონცერტები საზღვარგარეთ, საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსეთის დიდი სიმფონიური ორკესტრის „მილენიუმის" სამხატვრო ხელმძღვანელი.

2011 წლიდან ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობს თურქეთის საპრეზიდენტო სიმფონიურ ორკესტრთან, რომელთან ერთადაც შესრულებული აქვს შოსტაკოვიჩის, მალერის, ბეთჰოვენის, მოცარტის სიმფონიები. გასულ წელს ალექსი მაჭავარიანის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მან იდირიჟორა კომპოზიტორის მეორე სიმფონია. ამავე წელს ვახტანგ მაჭავარიანის დირიჟორობით შესრულდა რიხარდ ვაგნერის ოპერები „ტრისტან და იზოლდა" და „ლოენგრინი", რომელშიც მონაწილეობდნენ თურქი და გერმანელი საოპერო მომღერლები. მაესტრომ ჯუზეპე ვერდის 200 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვერონას რომაულ ამფითეატრში იდირიჟორა ვერდის „ტრუბადური" საერთაშორისო ვარსკვლავების მონაწილეობით. ვახტანგ მაჭავარიანმა ბოლო პერიოდში კონცერტები გამართა პეტერბურგის მარიას თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან და მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სიმფონიურ ორკესტრთან. ამავდროულად თურქეთის საპრეზიდენტო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად წარდგა ანკარაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ჩინეთში.

**ვახტანგ მაჭავარიანი, დირიჟორი, კომპოზიტორი:**

– პირველი სიმფონიის შექმნა გადავწყვიტე კლასიკური სტრუქტურით, ანუ ოთხ ნაწილად, ისე როგორც ამას აკეთებდნენ პირველი სიმფონისტები და როგორც ეს გრძელდებოდა, გამონაკლისის გარდა, XX საუკუნემდე. ოთხნაწილიანი ფორმა არ წარმოიშვა შემთხვევით. მისი ფესვები ანტიკურ ხანაშია, დაკავშირებულია მეცნიერების და ფილოსოფიის განვითარებასთან, რომელიც მუდამ მჭიდრო კავშირში იყო მუსიკის განვითარებასთან. ახალი წელთაღრიცხვის დაახლოებით 160 წელს ალექსანდრიაში ცხოვრობდა დიდი მეცნიერი, წარმოშობით არაბი, სახელად პტოლომეუსი. თანამედროვენი მას უწოდებდნენ კლავდიუსს პტოლომეუსიდან. იგი მუშაობდა თემაზე, სადაც სამყაროს ცენტრად წარმოდგენილია დედამიწა. ეს თეორია შემდგომ ქრისტიანობაშიც ვითარდება. პტოლომეუსი იყო არისტოტელეს ფილოსოფიის და მეცნიერების უზადო მცოდნე. არისტოტელემ დაჰყო სამყარო ორმაგობად – ორგვაროვნებად და ამით დასვა ,,ყოფნა-არყოფნის" კითხვა. ორმაგობამ კი წარმოშვა დუალიზმი, სადაც ციფრი ოთხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ ემპედოკლეს დროიდან, რომელმაც გვაუწყა ოთხი ელემენტის შესახებ: ცეცხლი, მიწა, წყალი, ჰაერი, რომლებისგანაც შედგებიან საგნები ან არსებანი, დაიწყო ფილოსოფიურ-მეცნიერული მსჯელობა რიცხვ 4-ზე. შემდგომ ჰიპოკრატემ განმარტა, რომ სიცოცხლეს ეკუთვნის: სისხლი, ნერწყვი, შავი და ყვითელი ნაღველი, აქაც ფიგურირებს რიცხვი 4. პლატონისთვის გადამწყვეტი იყო ოთხი თვისება, სიმამაცე, ჭკუა, სამართლიანობა და თავდაჭერილობა. არისტოტელესთან ეს ოთხი გამოიხატება 4 კაუზაში: მასალა, ფორმა, გეგმა, მიზანი, ეს უკანასკნელი ითვალისწინებს ფინალიზაციას. პითაგორელები აღმერთებდნენ რიცხვ 4-ს და შექმნეს მეტად მნიშვნელოვანი სიმბოლიკა, რომელიც წარმოდგენილი იყო ,,ტეტრაქტისის" ფორმაში. ეს არისტოტელესთვის იქცა საფუძვლად, რათა ამ იდეალზე აეგო ოთხი კაუზის თეორია. შემდგომში აღნიშნულ თემას ანვითარებენ ეუკლიდე, არქიმედე და ჰიპარქოსი. ახალი წელთაღრიცხვის ხანაში მეცნიერების ეპიცენტრმა გადაინაცვლა არაბულ სამყაროში. პტოლომეუსი მუშაობდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, სადაც მან შექმნა ნაშრომი სახელწოდებით ,,ჰარმონია" და იგი შეიძლება ჩაითვალოს მუსიკის თეორიის პირველ სახელმძღვანელოდ. აქ ბგერათა წყობასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიტმებს, განსაკუთრებით კი რიტმს 4/4-ზე. პტოლომეუსის ნაშრომებით მოიხიბლა დიდი გერმანელი მეცნიერი იოჰანეს კეპლერი. XVII საუკუნის სამეცნიერო რევოლუციის ერთ-ერთი მონაწილე კეპლერი სხვა შრომებთან ერთად ქმნის ნაშრომებს ,,,ახალი ასტრონომია", „სამყარო ჰარმონია", რომლებშიც იგი ადარებს კოსმოსს მუსიკალურ ჰარმონიას. ეს უკანასკნელი დაედო საფუძვლად ჩემს პირველ სიმფონიას. პტოლომეუსი ხსნის კოსმოსის და მუსიკალური ჰარმონიის არსს, მათ კავშირს ნაშრომში „დიდი ხელოვნება", სადაც საუბარია პლანეტათა მოძრაობის და მუსიკალური ჰარმონიის კავშირზე. სრულიად ნათელია, რომ მუსიკაზე განსჯისას შეუძლებელია დაყრდნობა ცალმხრივად ციფრებზე, მათემატიკაზე და მეცნიერებაზე მთლიანობაში. შემთხვევით არ მომყავს ამ წერილის დასაწყისში ღვთაებრივი პლატონი, რომელიც მუსიკას და პოეზიას უწოდებს ფრთოსანს, მოფრენილს იდეათა სამყაროდან. დიახ, მუსიკა არის აჟღერებული იდეა, მეტყველი იდეა და მეტყველი სული, მაგრამ უდავოა, რომ მისი ერთ-ერთი კომპონენტი რიცხვია, რაც პირველ რიგში მის რიტმთანაა კავშირში, ასევე მის ფორმასთან. აქ მინდა მოვიყვანო იმ ადამიანის სიტყვები, რომელმაც შეძრა არა მარტო მეცნიერება, არამედ თვით ეკლესიაც, „აამოძრავა პლანეტები". კოპერნიკის საქმის და იდეების გამგრძელებელმა, მუსიკის თეორეტიკოსის შვილმა, თვით მუსიკოსმა და ფლორენციაში ოპერის დაბადების ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა თანამონაწილემ, გენიალურმა გალილეო გალილეიმ 1623 წელს ბრძანა: ,,ბუნების წიგნის გაგება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯერ გაიგებ მის ენას და ასოებს, რომლითაც იგი მეტყველებს და წერს. იგი დაწერილია მათემატიკური ენით, ხოლო ასოებს წარმოადგენენ სამკუთხედები, ოთხკუთხედები, წრეები და სხვა გეომეტრიული ფიგურები და ფორმები. ამ დამხმარე ხელსაწყოების გარეშე ადამიანებს არ ძალუძთ ამ წიგნიდან ერთი სიტყვის გაგებაც კი". იგივე შეიძლება ითქვას მუსიკაზეც, რომელსაც ჰყავდა კიდევ ერთი გენიალური თაყვანისმცემელი ისააკ ნიუტონის სახით, რომელმაც 1675 წელს წარმოადგინა ჰიპოთეზა შუქის წარმოშობის შესახებ. მან ფიზიკის თეორია გეომეტრიის მეშვეობით განმარტა და ამით კოსმოსის ფუნქციონირების საკუთარი მოდელი შექმნა, რომელიც მხოლოდ აინშტაინამდე შენარჩუნდა. ნიუტონი ადგენს, რომ მზის შუქი არის არა თეთრი, არამედ მრავალი ფერის ნარევი. ასე გამოჰყო მან 7 ფერი და საკითხში უფრო ჩაღრმავებისას დაინტერესდა საგანთა – არსთა ჰარმონიით, რომელიც შეადარა 7 პლანეტას მზის სისტემაში და დაუკავშირა 7 მუსიკალურ ბგერას. მუსიკალური ბგერების თანახმად ნიუტონმა ფერები ასეთი წყობით წარმოგვიდგინა: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იასამნისფერი. ამასთან შესაბამისობაში მოჰყავს 7 ბგერაც თანმიმდევრობით და განმარტავს, რომ ფერთა წყობის განლაგებაში მას დაეხმარა მუსიკალურ ბგერათა წყობა.

XIX საუკუნის უდიდესი ინგლისელი მეცნიერი, მაგნიტური ველის აღმომჩენი – მაიკლ ფარადეი, შეკითხვაზე თუ როგორია ეს მაგნიტური ველი, პასუხობს, მოგისმენიათ ბეთჰოვენი? ფარადეი წერს, რომ იგი მუდამ თავის ინტუიციას ეყრდნობა და ამ ინტუიციის მეშვეობით მიხვდა იმას, რასაც მაშინ სახელიც კი არ ჰქონდა და ეს არის მაგნიტური ველი. არაერთხელ გამიგია მამაჩემისგან, რომ ინტუიცია გადამწყვეტია კომპოზიტორის შემოქმედებაში. აქ იკვრება წრე: ინტუიცია, იდეა, აზროვნება – ფილოსოფია და მეცნიერება – მათემატიკას შორის, რაც შემოქმედების საწინდარია. ამ სულისკვეთებით შეიქმნა ჩემი სიმფონია.

***– როგორია წინასაპრემიერო მოლოდინი?***

– ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს დღე. ეს ჩემთვის პირველი სიმფონიაა, მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის ჩემი პირველი საკომპოზიციო მცდელობა, რა დროის მცდელობაა?! ეს არის ოთხნაწილიანი დიდი სიმოფნია და ეძღვნება ალექსი მაჭავარიანს. ვიშრომე და ვნახოთ ახლა როგორც გაიჟღერებს. პირადად ძალიან მომწონს, სამუშაო პროცესი კარგად მიდის და იმედია, კონცერტიც კარგად ჩაივლის. ველოდები ძალიან სასიამოვნო შედეგს.

***– დიდი ხანია ჩამოხვედით?***

– რამდენიმე დღეა, დავიწყეთ რეპეტიციები. იმედია ყველაფერი კარგად იქნება.

***– საპრემიერო თარიღი შემთხვევით შეარჩიეთ?***

– კი. 30 აპრილი უბრალოდ დაემთხვა, არანაირად არ არის მნიშვნელოვანი თარიღი. ამავე კონცერტზე შესრულდება კიდევ სხვა ნაწარმოებებიც. პირადად გავაორკესტრე პროკოფიევის მეშვიდე საფორტეპიანო სონატის მესამე ნაწილი და ამასაც შევასრულებთ.

***– როდემდე რჩებით საქართველოში?***

– კონცერტის მერე მივდივარ რამდენიმე დღით ანკარაში, იქ კონცერტი მაქვს, შემდეგ ისევ ჩამოვდივარ აქ და ვიქნები საკმაო ხანს, რადგან საქმეები მაქვს. ამაზე წინასწარ ახლა ვერ გეტყვით, მერე შემეხმიანეთ და აუცილებლად მოგახსენებთ.

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

- გთავაზობთ რკინის კარებზე საიმედო ახალი საკეტების დაყენებას. სამუშაოს ასრულებს პროფესიონალი ხელოსანი. ტელ: 279-90-68; 877-46-60-45. გელა.
- იყიდება მიწის ნაკვეთი შეკვეთილში, საუკეთესო ადგილზე, მირაყის ტერიტორიაზე, ნაძვნარში, ზღვისპირიდან 70 მეტრში, 210 კვ.მ. 1 კვ.მ-ის ფასია 100 დოლარი. ტელ: 551-76-04-40.
- სასწრაფოდ! იყიდება 2-ოთახიანი ბინა, 55 კვ.მ (დუპლექსი), გამოდგება საოფისედ. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ტერენტი გრანელის ქუჩა. ტელ: 574-88-13-80 რაშიდი.
- იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 35 კმ-ში, 2000 კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ხეხილით. 1.კვ.მ-ის ფასი 3 დოლარი. ტელ: 568 65-74-86; 0790 90-32-96 ალიკა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.
- ვმკურნალობთ მცენარეული პრეპარატებით: გახდომა თვეში 8-20 კგ-ით, 3-ჯერადი კვებით, გასუქება 5 კგ-ით თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე. ტელ: 592-10-58-22 ნონა.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექიმი ქ-ნი სალომე.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.
- მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.
- გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.
- ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის" დირექტორი ნანა ქიზრონაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

# ორ-ორი ოქრო-ვერცხლი საფრანგეთიდან

საფრანგეთში გაიმართა ევროპის ჩემპიონატი ძიუდოში, სადაც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, თუმცა, მანამდე ერთ საინტერესო დეტალსაც გვინდა შევეხოთ.

ევროპის ძიუდოს კავშირმა მონპელიეში გალადაჯილდოებაზე სხვადასხვა ნომინაციაში 2013 წლის საუკეთესოები გამოავლინა. საქართველოს ძიუდოს ნაკრები 2013 წლის ევროპის საუკეთესო გუნდად დასახელდა.

ევროპის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი ვერცხლის ორდენი საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ირაკლი უზნაძეს გადაეცა, ხოლო ბექა ღვინიაშვილი საუკეთესო ახალგაზრდა ძიუდოისტი გახდა. ევროპის ძიუდოს კავშირმა 2013 წლის ევროპის საუკეთესო ძიუდოისტად ფრანგი ტედი რინერი დაასახელა, ხოლო საუკეთესო ქალი ძიუდოისტი კოსოვოელი მაილინდა კელმენდი გახდა.

ეს რაც შეეხებოდა გასული წლის დაჯილდოვებას, ხოლო მონპელიეში გამართულ ძიუდოისტთა ინდივიადუალურ ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა 2 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვა. ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში ქართველი ძიუდოისტები მხოლოდ მასპინძელ ფრანგებს ჩამორჩნენ, რომელთა მონაგარიც 2 ოქრო, 3 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა.

ევროპის ჩემპიონები გახდნენ ავთანდილ ჭრიკიშვილი (82) და ვარლამ ლიპარტელიანი (90), ხოლო ვერცხლის მედლები ამირან პაპინაშვილმა (60) და ადამ ოქრუაშვილმა (მძიმე) მოიპოვეს.

ავთანდილ ჭრიკიშვილმა ევროპის ჩემპიონის ტიტულის დაცვა მოახერხა. ჩვენებურმა ფინალურ შეხვედრაში ტატამზე მასპინძელთა ფავორიტი ლორიკ პიეტრი დიდებული იპონით დაამარცხა და მცირერიცხოვანი ქართველი ქომაგები, რომელთა შორის საქართველოს მორაგბეთა ნაკრების წევრები „მონპელიეს“ ქართველი მორაგბეები, ძიუდოს ნაკრების წევრები და ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე იმყოფებოდნენ, აღტაცებაში მოიყვანა.

ჭრიკიშვილი საქმეში მე-2 რაუნდიდან ჩაება და გერმანელ ალექსანდერ ვიეჩერაკს გაფრთხილებებით აჯობა, მეოთხედფინალში ასევე დაჯაბნა ბერძენთა ქართველი რომან მოსტოპულოსი (ცნობილი ქართველი ძიუდოისტის გიორგი რევაზიშვილის ვაჟი), ხოლო ყველაზე ლამაზად მერვედფინალში იჭიდავა, სადაც მეტოქედ რუსი სირაჟუდინ მაგომევოდი ჰყავდა.

ქართველი მეტოქეს ვაზარით ჩამორჩა, თუმცა, იგივე იგივე ილეთი თავადაც შეასრულა, შემდეგ კი რუსი ჩინებული იპონით დაამარცხა. ნახევარფინალში ავთანდილს და ბელარუს ალიაკსანდრ სტიაშენკას თითო-თითო იუკო ჰქონდათ, თუმცა, გაფრთხილებები მეტი მეტოქეს აღმოაჩნდა და ფინალში ქართველი გავიდა, სადაც პიეტრი ულამაზესი გდებით დაამარცხა.

ლიპარტელიანმა ევროპირველობის ფინალში რუსი კირილ ვოპროსოვი დაამარცხა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. აღსანიშნავია, რომ ლიპარტელიანმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში კარიერაში მეხუთედ იასპარეზა და ოქროს მედალი მეორედ დაიმსახურა (პირველად 2012 წელს).

ფინალამდე ლიპარტელიანმა 3 მეტოქე დაჯაბნა. პირველ შეხვედრაში უკრაინელ ვადიმ სიანავსკის აჯობა, მეოთხედფინალში ლიტველ კაროლის ბაუზასთან ვაზარით აგებდა, როდესაც მეტოქის შებოჭვა მოახერხა, ხოლო ნახევარფინალში უნგრელ კრისტიან ტოტს დამაჯერებლად მოუგო.

ამირან პაპინაშვილმა ვერცხლის მედალი მოიპოვა. ევროპის შარშანდელი პირველობის ქართველ ჩემპიონს ტიტულის ზედიზედ მეორედ მოპოვებამდე სულ ცოტა დააკლდა – ფინალში რუსეთის ნაკრების წევრ ბესლან მუდრანოვთან ოქროს დროში მიღებული გაფრთხილების გამო დამარცხდა.

მუდრანოვთან დაჭიდებამდე ამირან პაპინაშვილმა ფინელი ვადუდ ბალატხანოვი, ფრანგი ვინსენტ ლიმარი, სომეხი ჰოვანეს დავთიანი და აზერბაიჯანელი ილგარ მუშკიევი ჩამოიშორა.

ოქრაუშვილმა კი ფინალური შეხვედრა უძლეველ ფრანგთან – ტედი რინერთან დათმო. ოქრუაშვილმა ფინალამდე ავსტრიელი დანიელ ალერსტორფერი იპონით დაამარცხა, ჰოლანდიელ როი მეიერს გაფრთხილებებით და იუკოთი აჯობა, ნახევარფინალში კი გერმანელ ანდრე ბრეიტბარტს სძლია.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ნაკრებს მონაწილე არ ჰყავდა. ჩემპიონ-პრიზიორები 73 კგ. წონით კატეგორიაშიც გამოვლინდნენ, სადაც მედლებისათვის ნუგზარ ტატალაშვილი და ზებედა რეხვიაშვილიც იბრძოდნენ. ქართველმა ძიუდოისტებმა მეოთხედფინალამდე წარმატებით იარეს, შემდეგ კი ბრინჯაოს მედლისათვის რეპეშაჟში გადართნენ და საბოლოოდ საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ.

ბრინაჯოს მედლისათვის იჭიდავა მძიმეწონოსანმა ლევან მატიაშვილმაც, თუმცა ევროპირველობის დებიუტანტმა ახალგაზრდა ძიუდოისტმა საპრიზო ადგილისათვის შეხვედრა გამოცდილ ლიტველთან მარიუს პრასკევიჩიუსთან დათმო, საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ ზვიად გოგოჭური (90 კგ) და გურამ თუშიშვილი (100 კგ).

# ტორპედომ და ვიტ ჯორჯიამ სტუმრად იმარჯვეს

**სპარტაკი – ტორპედო 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 შონია (38), 1:1 ჩიკვილაძე (56), 1:2 ხურციძე (84)

**სპარტაკი:** ნადირაძე, ჭაფოძე (კ.ხიზანეიშვილი 18), მგელაძე, იოსელიანი, ცერცვაძე, შონია (მაქაცარია 89), პარუნაშვილი, თუხარელი, მეტრეველი, ეხვაია (გაბაშვილი 87)

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, ხარაბაძე, ადამაძე, თოდუა, ჩადუნელი (სავჩენკოვსი 56), მამასახლისი, ჩიკვილაძე, ზ.გელაშვილი, ლექვთაძე (ტუღუში 46), მარკოზაშვილი, კვერნაძე (ხურციძე 67)

ცხინვალელები გამარჯვების შემთხვევაში პრაქტიკულად ინაღდებდნენ უმაღლეს ლიგაში დარჩენას. ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ მოგებული პირველი ტაიმის შემდეგ მაინც დამარცხდნენ.

ქუთაისელთა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა შეცვლები გამოიცნო და გუნდი მეორე ტაიმში სულ სხვანაირად ათამაშდა, ვიდრე – პირველში.

დასაწყისში „ტორპედოს“ შეეძლო გატანა – პირველივე წუთზე, ირაკლი ლექვთაძეს ჰქონდა შანსი, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ახლო კუთხიდან და მისი დარტყმული გიორგი ნადირაძემ მოიგერია.

მალევე, „სპარტაკის“ ფორვარდმა ირაკლი ეხვაიამ ახლო მანძილიდან ააცილა, არადა, ხელს არავინ უშლიდა.

ამის შემდეგ გუნდებმა ტემპი დააგდეს და ცენტრში ორთაბრძოლებით იყვნენ დაკავებულნი – ოდნავ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ.

გოლი ტაიმის მიწურულს გავიდა: 38-ე წუთზე გივი იოსელიანმა მარცხნიდან ჩააწოდა, მეტრეველმა საჯარიმოს მისადგომებთან დაუგორა თემურ შონიას და „სპარტაკის“ კაპიტანმაც საჯარიმოს ხაზიდან მძლავრად გაისროლა – 1:0.

კახა კაჭარავას გუნდს მალევე მეორე ბურთის გატანა შეეძლო, მაგრამ შონიამ რატომღაც თავად არ დაარტყა, ბურთი მეტრეველს გადააწოდა და მასაც მეკარემ დაასწრო.

მეორე თაიმში სხვა „ტორპედო“ ვიხილეთ. ბექა ტუღუში შევიდა შეცვლაზე, ძალიან კარგად ითამაშა და საუკეთესო იყო მოედანზე.

56-ე წუთზე სწორედ მის აქტიურობას მოყვა გოლი – ტუღუშის პასით, ჩიკვილაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა და შორეულ კუთხეში დაბალი დარტყმით გაათანაბრა – 1:1.

ამ გოლმა „ტორპედოს“ თითქოს ძალები შემატა და მომენტებს უხშირეს. ჯერ ლატვიელმა სავჩენკოვსმა თავურით ააცილა კარს, შემდეგ ნადირაძემ ტუღუშისა და ჩიკვილაძის დარტყმები მოიგერია.

83-ე წუთზე „ტორპედო“ პენალტს ითხოვდა – საჯარიმოში ასევე შეცვლაზე შესული დავით ხურციძე წაიქცა. მალევე ხურციძემ თავისი გაიტანა – ტუღუში-ჩიკვილაძის დაწყებული კომბინაცია დაასრულა –1:2.

**ზუგდიდი – ვიტ ჯორჯია 2:3**

**განმუხური. ცენტრალური**

0:1 მაისურაძე (26), 1:1 მირცხულავა (30), 1:2 ჯავაშვილი (38სკ), 1:3 კორიფაძე (81), 2:3 კირკიტაძე (89პ)

88-ე წუთზე ლობჯანიძემ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**ზუგდიდი:** ზარქუა, ქათამაძე, აფაქიძე, მირცხულავა, ჯავაშვილი, ს.ლომია (წიტაიშვილი 46), კირკიტაძე, სიხარულია (ც.სამუშია 55), გუგუჩია, ქებაძე, გ.სამუშია

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია,საბაძე, გეთიაშვილი, ღონღაძე, მჭედლიშვილი, წყაროზია (კურგელაშვილი 93), დავლაშელიძე (გახარია 68), მაისურაძე, სიჭინავა (დემეტრაშვილი 60), კორიფაძე, ლობჯანიძე

ზუგდიდელებს გამარჯვება უცილობლად სჭირდებოდათ, ვეტერინარებს კი თავი ქუდში ჰქონდათ და მათგან ასეთ მოტივაციას არავინ ელოდა. თუმცა, „ვიტ ჯორჯიამ“ ფეარ პლეის წესები დაიცვა და უხვგოლიან მატჩში იმარჯვა.

26-ე წუთზე მაისურაძემ შორი მანძილიდან ჯარიმა კარგად დაარტყა მეკარეს მაღალ კუთხეში გაუტანა – 0:1.

ზუგდიდელები მალევე მოეგნენ გონს და ანგარიში გაათანაბრეს – ახლო მანძილიდან ბაქარ მირცხულავამ გაიტანა, თუმცა ტაიმის მიწურულს ზუგდიდელებმა საკუთარ კარში გაიტანეს გოლი. ეს ოთარ ჯავაშვილმა „მოახერხა“.

მეორე ტაიმში კორიფაძემ ვიტჯორჯიელთა მესამე გოლი მას შემდეგ გაიტანა, რაც მეკარესთან პირისპირ დარჩა. საბოლოო გოლი კი პენალტით დავით კირკიტაძემ გაიტანა, მაგრამ ეს ზუგდიდელებს არ ეყოთ.

**სატურნირო ცხრილი 7-12 ადგილებისთვის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 7.ვიტ ჯორჯია | 28 | 11 | 6 | 11 | 36:37 | 39 |
| 8.ტორპედო | 28 | 11 | 6 | 11 | 33:39 | 39 |
| 9.დილა | 27 | 9 | 8 | 10 | 36:31 | 35 |
| 10.სპარტაკი | 28 | 9 | 4 | 15 | 28:36 | 31 |
| 11.ზუგდიდი | 28 | 7 | 6 | 15 | 20:39 | 27 |
| 12.მერანი | 27 | 6 | 4 | 17 | 21:49 | 22 |

# უეფამ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველები შეამცირა

უეფა 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს განსხვავებული პრინციპით რომ ჩაატარებს ადრეც ვწერდით. როგორც უკვე ცნობილია ტურნირის მასპინძლობის მსურველი ერთბაშად რამდენიმე ქვეყანა იქნება. თავდაპირველად ეს სია 32-ს შეადგენდა, ახლა კი მათი რიცხვი ევროპულმა საფეხბურთო მამებმა 19-მდე დაიყვანეს.

**ეს ქვეყნები არიან:**

აზერბაიჯანი (ბაქო), ბელარუსი (მინსკი), ბელგია (ბრიუსელი), ბულგარეთი (სოფია), დანია (კოპენჰაგენი), ინგლისი (ლონდონი), მაკედონია (სკოპიე), გერმანია (მიუნხენი), უნგრეთი (ბუდაპეშტი), ისრაელი (იერუსალიმი), იტალია (რომი), ჰოლანდია (ამსტერდამი), ირლანდია (დუბლინი), რუმინეთი (ბუქარესტი), რუსეთი (სანკტ-პეტერბურგი), შოტლანდია (გლაზგო), ესპანეთი (ბილბაო), შვედეთი (სტოკჰოლმი), უელსი (კარდიფი).

თუმცა, ეს რიცხვი კიდევ შემცირდება – საბოლოო გადაწყვეტილებას უეფას აღმასრულებელი კომიტეტი 19 სექტემბერს, ჟენევაში მიიღებს და ცნობილი გახდება ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის 13 მასპინძელი ქვეყანა, მათ შორის თუ სად გაიმართება ნახევარფინალური და ფინალური მატჩები.

შეგახსენებთ, რომ ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი მთელი ევროპის მასშტაბით 13 ქალაქში გაიმართება და მატჩები 13 პაკეტად დაიყოფა. 12 მათგანში ჯგუფური ეტაპის სამი და პლეი-ოფის თითო თამაში შევა, ხოლო მე-13 პაკეტში ორივე ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრა მოხვდება. უეფას გადაწყვეტილებით, ბოლო ეტაპის მატჩები მიუნხენში ან ლონდონში გაიმართება.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

საუთჰემპტონი-ევერტონი ............ 2:0
ვესტ ბრომვიჩი-ვესტ ჰემი ............ 1:0
სტოკი-ტოტენჰემი ............ 0:1
სუონსი-ასტონ ვილა ............ 4:1
ფულემი-ჰალი ............ 2:2
მანჩესტერი-ნორვიჩი ............ 4:0
სანდერლენდი-კარდიფი ............ 4:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 35 | 25 | 5 | 5 | 96-44 | 80 |
| 2.ჩელსი | 35 | 23 | 6 | 6 | 67-26 | 75 |
| 3.სიტი | 34 | 23 | 5 | 6 | 91-35 | 74 |
| 4.არსენალი | 35 | 21 | 7 | 7 | 62-41 | 70 |
| 5.ევერტონი | 36 | 20 | 9 | 7 | 57-36 | 69 |
| 6.ტოტენჰემი | 36 | 20 | 6 | 10 | 52-49 | 66 |
| 7.მანჩესტერი | 35 | 18 | 6 | 11 | 60-40 | 60 |
| 8.საუთჰემპტონი | 36 | 14 | 10 | 12 | 52-45 | 52 |
| 9.ნიუკასლი | 35 | 14 | 4 | 17 | 39-54 | 46 |
| 10.სტოკი | 36 | 11 | 11 | 14 | 39-50 | 44 |
| 11.კრ.პალასი | 35 | 13 | 4 | 18 | 28-41 | 43 |
| 12.სუონსი | 36 | 10 | 9 | 17 | 51-52 | 39 |
| 13.ჰალი | 35 | 10 | 7 | 18 | 36-45 | 37 |
| 14.ვესტ ჰემი | 36 | 10 | 7 | 19 | 38-49 | 37 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 7 | 15 | 13 | 42-54 | 36 |
| 16.ასტონ ვილა | 35 | 9 | 8 | 18 | 36-53 | 35 |
| 17.სანდერლენდი | 35 | 8 | 8 | 19 | 37-57 | 32 |
| 18.ნორვიჩი | 36 | 8 | 8 | 20 | 28-60 | 32 |
| 19.ფულემი | 36 | 9 | 4 | 23 | 37-79 | 31 |
| 20.კარდიფი | 36 | 7 | 9 | 20 | 31-69 | 30 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნლი-იფსვიჩი ............ 1:0
ბირმინგემი-ლიდსი ............ 1:3
ბორმნუთი-ნოტინგემი ............ 4:1
დერბი-უოტფორდი ............ 4:2
დონკასტერი-რედინგი ............ 1:3
ქპრ-მილუოლი ............ 1:1
მიდლსბრო-ბარნსლი ............ 3:1
უიგანი-ბლექპული ............ 0:2
ჰადერსფილდი-ლესტერი ............ 0:2
ჩარლტონი-ბლექბერნი ............ 1:3
უენსდი-ბოლტონი ............ 1:3

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-რაიო ............ 0:1
ხეტაფე-მალაგა ............ 1:0
რეალი-ოსასუნა ............ 4:0
ბეტისი-სოსიედადი ............ 0:1
ესპანიოლი-ალმერია ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 34 | 27 | 4 | 3 | 74-22 | 85 |
| 2.რეალი | 34 | 26 | 4 | 4 | 98-32 | 82 |
| 3.ბარსელონა | 34 | 26 | 3 | 5 | 94-28 | 81 |
| 4.ბილბაო | 34 | 18 | 8 | 8 | 59-37 | 62 |
| 5.სევილია | 34 | 17 | 8 | 9 | 65-47 | 59 |
| 6.სოსიედადი | 35 | 16 | 9 | 10 | 59-51 | 57 |
| 7.ვილიარეალი | 34 | 15 | 7 | 12 | 52-40 | 52 |
| 8.ვალენსია | 34 | 12 | 9 | 13 | 47-47 | 45 |
| 9.რაიო | 35 | 13 | 4 | 18 | 45-71 | 43 |
| 10.ლევანტე | 35 | 10 | 12 | 13 | 31-42 | 42 |
| 11.ესპანიოლი | 35 | 11 | 8 | 16 | 39-46 | 41 |
| 12.მალაგა | 35 | 11 | 8 | 16 | 37-44 | 41 |
| 13.სელტა | 34 | 11 | 7 | 16 | 40-51 | 40 |
| 14.გრანადა | 35 | 11 | 4 | 20 | 30-53 | 37 |
| 15.ელჩე | 35 | 8 | 12 | 15 | 28-47 | 36 |
| 16.ოსასუნა | 35 | 9 | 8 | 18 | 29-58 | 35 |
| 17.ხეტაფე | 35 | 9 | 8 | 18 | 30-51 | 35 |
| 18.ალმერია | 35 | 9 | 6 | 20 | 38-69 | 33 |
| 19.ვალიადოლიდი | 33 | 6 | 14 | 13 | 32-50 | 32 |
| 20.ბეტისი | 35 | 5 | 7 | 23 | 29-70 | 22 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალავესი-მალიორკა ............ 1:0
ხიხონი-ლუგო ............ 2:0
დეპორტივო-პონფერადინა ............ 0:3
კორდობა-მირანდესი ............ 1:1
ლას-პალმასი-ბარსელონა ბ ............ 0:2
ეიბარი-უელვა ............ 0:0

### იტალია. სერია ა

ბოლონია-ფიორენტინა ............ 0:3
ინტერი-ნაპოლი ............ 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 29 | 3 | 2 | 72-22 | 90 |
| 2.რომა | 35 | 26 | 7 | 2 | 71-19 | 85 |
| 3.ნაპოლი | 35 | 20 | 9 | 6 | 64-36 | 69 |
| 4.ფიორენტინა | 35 | 18 | 7 | 10 | 59-38 | 61 |
| 5.ინტერი | 35 | 14 | 15 | 6 | 57-35 | 57 |
| 6.ვერონა | 35 | 16 | 4 | 15 | 56-58 | 52 |
| 7.პარმა | 34 | 13 | 12 | 9 | 53-44 | 51 |
| 8.მილანი | 35 | 14 | 9 | 12 | 53-46 | 51 |
| 9.ტორინო | 34 | 13 | 10 | 11 | 52-45 | 49 |
| 10.ლაციო | 34 | 13 | 10 | 11 | 47-47 | 49 |
| 11.ატალანტა | 34 | 14 | 4 | 16 | 39-46 | 46 |
| 12.სამპდორია | 34 | 11 | 8 | 15 | 41-51 | 41 |
| 13.უდინეზე | 34 | 11 | 6 | 17 | 36-47 | 39 |
| 14.ჯენოა | 34 | 10 | 9 | 15 | 37-45 | 39 |
| 15.კალიარი | 34 | 8 | 12 | 14 | 33-46 | 36 |
| 16.კიევო | 34 | 8 | 6 | 20 | 30-50 | 30 |
| 17.სასუოლო | 34 | 7 | 7 | 20 | 33-62 | 28 |
| 18.ბოლონია | 35 | 5 | 13 | 17 | 27-55 | 28 |
| 19.ლივორნო | 34 | 6 | 7 | 21 | 36-67 | 25 |
| 20.კატანია | 35 | 5 | 8 | 22 | 26-63 | 23 |

### იტალია. სერია ბ

აველინო-კროტონე ............ 2:0
ვარეზე-ლანჩანო ............ 0:1
ლატინა-პალერმო ............ 1:3
პადოვა-ბარი ............ 1:2
რეჯინა-ჩიტადელა ............ 0:1
სიენა-კარპი ............ 0:0
ტრაპანი-იუვე სტაბია ............ 3:0
ჩეზენა-ბრეშა ............ 0:3
ემპოლი-სპეცია ............ 2:0

### გერმანია. ბუნდესლიგა

ბაიერნი-ვერდერი ............ 5:2
ვოლფსბურგი-ფრაიბურგი ............ 2:2
გერტა-ბრაუნშვაიგი ............ 2:0
მაინცი-ნიურნბერგი ............ 2:0
ჰოფენჰაიმი-აინტრახტი ............ 0:0
ლევერკუზენი-დორტმუნდი ............ 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 32 | 27 | 3 | 2 | 89-22 | 84 |
| 2.დორტმუნდი | 32 | 20 | 5 | 7 | 73-36 | 65 |
| 3.შალკე | 31 | 17 | 7 | 7 | 57-41 | 58 |
| 4.ლევერკუზენი | 32 | 17 | 4 | 11 | 56-40 | 55 |
| 5.ვოლფსბურგი | 32 | 16 | 6 | 10 | 58-48 | 54 |
| 6.მაინცი | 32 | 15 | 5 | 12 | 48-49 | 50 |
| 7.გლადბახი | 31 | 14 | 7 | 10 | 54-39 | 49 |
| 8.აუგსბურგი | 31 | 12 | 7 | 12 | 41-45 | 43 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 32 | 10 | 11 | 11 | 67-66 | 41 |
| 10.ჰერტა | 32 | 11 | 8 | 13 | 40-42 | 41 |
| 11.აინტრახტი | 32 | 9 | 9 | 14 | 39-53 | 36 |
| 12.ფრაიბურგი | 32 | 9 | 9 | 14 | 41-56 | 36 |
| 13.ჰანოვერი | 32 | 10 | 6 | 16 | 41-57 | 36 |
| 14.ვერდერი | 32 | 9 | 9 | 14 | 39-64 | 36 |
| 15.შტუტგარტი | 32 | 8 | 8 | 16 | 48-59 | 32 |
| 16.ჰამბურგი | 31 | 7 | 6 | 18 | 47-65 | 27 |
| 17.ნიურნბერგი | 32 | 5 | 11 | 16 | 36-64 | 26 |
| 18.ბრაუნშვაიგი | 32 | 6 | 7 | 19 | 28-56 | 25 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფრანკფურტი-კოტბუსი ............ 3:1
ფორტუნა-აუე ............ 4:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

აიაჩო-მონაკო ............ 1:4
გენგამი-ვალანსიენი ............ 1:0
მონპელიე-ტულუზა ............ 2:1
ნიცა-რეიმსი ............ 1:0
რენი-ლორიანი ............ 1:1
ევიანი-სტ.ეტიენი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 25 | 7 | 2 | 75-19 | 82 |
| 2.მონაკო | 35 | 22 | 9 | 4 | 59-28 | 75 |
| 3.ლილი | 34 | 18 | 10 | 6 | 38-20 | 64 |
| 4.სტ.ეტიენი | 35 | 17 | 9 | 9 | 48-32 | 60 |
| 5.ლიონი | 34 | 15 | 10 | 9 | 49-38 | 55 |
| 6.მარსელი | 35 | 14 | 11 | 10 | 47-37 | 53 |
| 7.ბორდო | 34 | 12 | 12 | 10 | 45-39 | 48 |
| 8.რეიმსი | 35 | 11 | 12 | 12 | 41-47 | 45 |
| 9.ტულუზა | 35 | 11 | 12 | 12 | 42-49 | 45 |
| 10.ნანტი | 35 | 12 | 8 | 15 | 36-39 | 44 |
| 11.ბასტია | 34 | 12 | 8 | 14 | 38-51 | 44 |
| 12.ლორიანი | 35 | 11 | 10 | 14 | 45-49 | 43 |
| 13.მონპელიე | 35 | 8 | 18 | 9 | 45-45 | 42 |
| 14.ნიცა | 35 | 12 | 6 | 17 | 30-39 | 42 |
| 15.რენი | 35 | 9 | 13 | 13 | 41-41 | 40 |
| 16.გენგამი | 35 | 10 | 8 | 17 | 31-40 | 38 |
| 17.ევიანი | 35 | 9 | 11 | 15 | 34-50 | 38 |
| 18.სოშო | 34 | 8 | 9 | 17 | 32-56 | 33 |
| 19.ვალანსიენი | 35 | 7 | 8 | 20 | 35-59 | 29 |
| 20.აიაჩო | 35 | 3 | 11 | 21 | 34-67 | 20 |

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ოსერი-მეცი ............ 0:3

### რუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-ტომი ............ 0:0
ზენიტი-ვოლგა ............ 2:0
კრასნოდარი-ლოკომოტივი ............ 1:3
ცსკა-რუბინი ............ 2:1

### შოტლანდია. პრემიერლიგა

აბერდინი-სტ.ჯონსონი ............ 1:1
დ.იუნაიტედი-მოზერველი ............ 5:1
როსი-კილმანროკი ............ 2:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-არაუ ............ 2:0
ციურიხი-ლუცერნი ............ 1:2

### ავსტრია. ბუნდესლიგა

რიდი-ადმირა ............ 3:0
ინსბრუკი-აუსტრია ............ 1:1
ნოიშტადი-გროდიგი ............ 1:3
რაპიდი-ზალცბურგი ............ 2:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ტრაბზონი-გაზიანთეპი ............ 2:1

### ბელგია. პროლიგა

**პლეი ოფი ჩემპიონთა ლიგისთვის**

ლოკერენი-ბრიუგე ............ 1:3

**პლეი ოფი ევროპის ლიგისთვის**

ლიერსი-ბევერენი ............ 4:2
ოსტენდე-გენტი ............ 1:1
სერკლი-კორტრაიკი ............ 0:4
შარლერუა-მეხელენი ............ 3:0

### საბერძნეთი. თასი

**ფინალი**

პაოკი-პანათინაიკოსი ............ 1:4

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბანიკი-დუკლა ............ 2:0
სლოვაცკო-სიგმა ............ 3:1
სპარტა-ლიბერეცი ............ 4:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

შლიონსკი-ზაგლებიე ............ 1:0
იაგელონია-პიასტი ............ 4:3
ლეგია-ზავიშა ............ 2:0

### დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ოლბორგი ............ 2:3

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰიკი-ტპს ............ 0:1

### აშშ. მლს

მონრეალი-ფილადელფია ............ 1:0
სიეტლი-კოლორადო ............ 4:1
დს იუნაიტედი-დალასი ............ 4:1
კოლამბუსი-ნიუ იორკი ............ 1:1
ნიუ ინგლენდი-კანზასი ............ 2:0
სოლტ ლეიკი-ვანკუვერი ............ 2:2
სან ხოსე-ჩივასი ............ 1:0

### ბრაზილია. სერია ა

კურიტიბა-სანტოსი ............ 0:0
პალმერასი-ფლუმინენსე ............ 0:1

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

რაფაელა-კოლონი ............ 1:1
არხენტინოსი-ხიმნასია ............ 0:2
ველეზი-როსარიო ............ 4:1
რასინგი-ქილმესი ............ 0:1

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 599-160-774. ქალბატონი ფიქრია

# გურამ ოდიშარია: გაფრთხილებთ!“

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია თავის უწყებაში მომუშავე საჯარო მოხელეებს წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ აფრთხილებს და სპეციალურ №03/95 ბრძანებას გამოსცემს:

„საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე საჯარო მოხელეების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შეზღუდვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მიმდინარე კამპანიის სამართლიან და თავისუფალ გარემოში ჩატარების მიზნით, ვბრძანებ:



1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში მომუშავე საჯარო მოხელეებს აეკრძალოთ მონაწილეობა მიიღონ წინაასარჩევნო კამპანიაში სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი ასრულებენ სამსახურებრივ მოვალეობებს;

2. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს აეკრძალოთ იყვნენ საარჩევნო კომისიის წევრები;

3. სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს სამინისტროს თანამშრომლებს აეკრძალოთ ხელმოწერების შეგროვება და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა;

4. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აიკრძალოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გაცემა, მოწოდება ან დაპირება;

5. ასევე, აიკრძალოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება.

6. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დასრულებამდე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში“. – ბრძანებს გურამ ოდიშარია.

# მოზარდ მაყურებელთა თეატრი ანკარაში მიიწვიეს

ეკა ირემაშვილი

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „სევილიელი დალაქი“ საერთაშორისო ფესტივალზე მიიწვიეს. ანკარაში 23-29 აპრილს იმართება მეათე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი სახელწოდებით „პატარა ქალბატონები, პატარა ჯენტლმენები“. ამ ფესტივალზე პირველად მიიწვიეს ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი. ფესტივალზე, რომელიც თურქეთის სახელმწიფოდ ჩამოყალიბების თარიღს ეძღვნება, მოზარდ მაყურებელთა თეატრი საოპერო თოჯინური სპექტაკლით „სევილიელი დალაქით“ წარდგება. მისი რეჟისორი ბესო კუპრეიშვილია.

ანკარაში გამგზავრებამდე მოზარდ მაყურებელთა თეატრში უილიამ შექსპირის დაბადებიდან 450 წლის იუბილე აღინიშნა. ამ თარიღთან დაკავშირებით თეატრში სხვადასხვა ღონისძიება გაიმართა, თეატრის ფოიეში გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „მსოფლიო კლასიკა მოზარდ მაყურებელთა თეატრის სცენაზე“, სადაც წარმოდგენილ იქნა უნიკალური ფოტოები სპექტაკლებიდან „მეთორმეტე ღამე“, „რომეო და ჯულიეტა“, „ჭირვეულის მორჯულება“, „დონ კიხოტი“, „პრინცესა ტურანდოტი“, „ყაჩაღები“ და სხვა. გამოფენაზე ასევე ცნობილი ქართველი მხატვრების – ელენე ახვლედიანის, ნიკა ყაზბეგისა და სხვათა უნიკალური ესკიზები გამოიფინა, რომლებიც აღნიშნული სპექტაკლებთვის არის შექმნილი. ექსპოზიციაზე გასული საუკუნის 50-70-იანი წლების რეკვიზიტები და კოსტიუმები იქნა წარმოდგენილი. ამავე იუბილეს ფარგლებში სპეციალურად საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსისთვის და სხვა საპატიო სტუმრებისთვის სუბტიტრებით ნაჩვენები იქნა შექსპირის „ზამთრის ზღაპარი“, რომლის რეჟისორიც დათა თავაძეა. „შექსპირის დღეები“ მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეჟისორ ლევან წულაძის მიერ დადგმული სპექტაკლის „რომეო და ჯულიეტას“ ჩვენებით დაიხურა. ამავე სპექტაკლს თეატრის დასი 4 მაისსაც ითამაშებს, ამჯერად უკვე სპეციალურად პრესისა და მედიის წარმომადგენლებისთვის.

# სავაშ ბალდარი თბილისში ჩამოდის

ეკა ირემაშვილი

ცნობილი თურქი მსახიობი მურატ ილდირიმი, რომელიც ქართველი მაყურებლისთვის სავაშ ბალდარის როლის განსახიერებით გახდა ცნობილი, თბილისს ეწვევა. 28 აპრილს „ლა ტრუფეში“ მსახიობთან შეხვედრა გაიმართება.

ღონისძიების ორგანიზატორი დიტო ცინცაძის სახელობის ფონდია. ცნობილი თურქი მსახიობი ლეიკემიით და სოლიდური სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს დაეხმარება.

სპეციალურად სტუმრებისთვის მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ლაივ პროგრამას წარმოადგენს, საქველმოქმედო აქციაზე შემოსული თანხა კი დიტო ცინცაძის სახელობის ფონდში გადაირიცხება.

# ეროვნულმა კინოცენტრმა მუშაობა შეაჯამა

ეკა ირემაშვილი



„ქორთიარდ მარიოტის“ მეორე დარბაზში ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელმა ნანა ჯანელიძემ დაინტერესებული საზოგადოება კინოცენტრის ერთი წლის საქმიანობის შეჯამებაზე მიიწვია. „აპრილიდან აპრილამდე“ – ასე ეწოდებოდა ღონისძიებას, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი, კინორეჟისორები მერაბ კოკოჩაშვილი, ელდარ შენგელაია, ლევან თუთბერიძე, თიბისი ბანკის წარმომადგენელი მამუკა ხაზარაძე ესწრებოდნენ. ანგარიშს ესწრებოდა ეროვნული კინოცენტრის წინა ხელმძღვანელი თამარ ტატიშვილიც. მიწვეულ სტუმრებს შორის კინემატოგრაფისტებთან ერთად იყვნენ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებიც, მათ შორის, თემურ ჭკუასელი, ნუკრი ქანთარია. პრეზენტაციას ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე უძღვებოდა. ღონისძიებაზე ასევე იმსჯელეს ქართულ კინოინდუსტრიაში მიმდინარე პროცესებზე და განიხილეს ქართული კინოს ბოლოდროინდელი წარმატებები.



ერთწლიანი მუშაობის შეჯამებისას კინემატოგრაფისტებმა დადებითად შეაფასეს ეროვნული კინოცენტრის მოღვაწეობა. დამსწრე საზოგადოებას შეკითხვები მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილე ნუკრი ქანთარიასთან ჰქონდა. როგორც შეხვედრაზე ითქვა, კულტურაში ბევრი პრობლემაა, მათ შორის უმთავრესია საკმარისი დაფინანსების არქონა. შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ კულტურა არ არის დღევანდელი სახელმწიფოს პრიორიტეტი, ამიტომ კულტურული პოლიტიკის შემუშავება გაჭიანურებულია.

ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელის ერთწლიანი ანგარიშის დასასრულს დებატებიც გაიმართა, სადაც ყველა ის საჭირბოროტო საკითხი იქნა წარმოჩენილი, რაც ქართულ კინემატოგრაფს აწუხებს.

– ეს არის ეროვნული კინოცენტრის ანგარიში, რადგან აპრილში გავიდა ერთი წელი, რაც მოვედი ეროვნულ კინოცენტრში ხელმძღვანელად. მინდოდა, ერთგვარი შეჯამება გამეკეთებინა იმის, თუ ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და სად მივდივართ, ეს შეჯამება მოხდა კულტურის სამინისტროს, კულტურის კომიტეტისა და პარლამენტარების წინაშე, – განაცხადა ნანა ჯანელიძემ.

შეხვედრის დასასრულს კულტურის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილმა აღნიშნა:

– ძალიან წარმატებული წელიწადი იყო და შესანიშნავად გააგრძელა თავისი ფუნქციონირება ეროვნულმა კინოცენტრმა. მიმაჩნია, რომ წელს განსაკუთრებულად გაიზარდა მასშტაბები და სფეროები კინოცენტრის მოღვაწეობისა, რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია.

# ტიტო ვილანოვა – ბარსელონას ყოფილი მწვრთნელი გარდაიცვალა

45 წლის ასაკში კატალუნიური „ბარსელონას“ ყოფილი მწვრთვნელი ტიტო ვილანოვა გარდაიცვალა. დაახლოებით ორი წლის წინ ცნობილი გახდა, რომ ვილანოვა განუკურნებელი სენით იყო დაავადებული. მას ყელის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს.

ოპერაციის შემდეგ ტიტოს ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური იყო, თუმცა ერთი თვის წინ ის კვლავ საავადმყოფოში მოათავსეს.

ორი წლის წინ, როდესაც ტიტო ვილანოვამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო „ბარსელონას“ დატოვება გადაწყვიტა, საკმაოდ ემოციური გამოსამშვიდობებელი წერილი დაუტოვა გუნდს.

– ხუთი დაუვიწყარი წელი გავატარე თქვენთან ერთად. აქ ყოფნას ნებისმიერი მწვრთნელი ინატრებდა. ახლა კი დადგა დრო, როდესაც „ბარსა“ უნდა დავტოვო. სამწუხაროდ ძალები არ მეყოფა თქვენთან ერთად გავაგრძელო მუშაობა, რადგან მძიმე ავადმყოფობა ამის საშუალებას არ მაძლევს. ამ წუთიდან მთელი ჩემი ყურადღება და დრო, საშინელი სენის დამარცხებას უნდა შევალიო. მაგრამ „ბარსას“ და თქვენ არასოდეს დაგივიწყებთ. ამ განსაკუთრებული გუნდის დატოვება ძალიან მიჭირს. დღემდე ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვიყავით. დარწმუნებული ვარ ეს მუდამ ასე იქნება, მაგრამ უჩემოდ. თითოეულ თქვენგანს მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებული მადლობა კი კლუბის პრეზიდენტს, სპორტულ დირექტორსა და მთლიანად შემადგენლობას მინდა გადავუხადო. ვიცი, რომ ცხოვრების ამ რთულ მატჩს მარტო არ ვითამაშებ, რადგან თქვენ ჩემთან ერთად ხართ. უფლება არ მაქვს გულშემატკივრები დავივიწყო. მათგან ყოველთვის განსაკუთრებულ მხარდაჭერას ვგრძნობდი. მინდა გითხრათ, რომ არ დავეცემი. ბოლომდე გავუმკლავდები და მჯერა დავამარცხებ სიკვდილს. არ მინდოდა საუბარი ისე დამესრულებინა, რომ მსოფლიოში საუკეთესო გუნდისთვის და ახალი მწვრთნელისთვის წარმატება არ მესურვა. დიდება „ბარსელონას“. მადლობა ყველას.

ვერ შეძლო ტიტომ სიკვდილის დამარცხება და ამჯერად უკვე ამქვეყნიურ ცხოვრებას გამოემშვიდობა.

ესპანეთის ნაკრების მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ და „ბარსელონას“ ფეხბურთელებმა ტიტო ვილანოვას გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვეს და ოჯახს მიუსამძიმრეს.

**ვისენტე დელ ბოსკე:**

– ეს თითოეული ჩვენთაგანისთვის დიდი ტრაგედიაა. 45 წლის ასაკში, ავადმყოფობის მიუხედავად სიცოცხლით სავსე საოცარმა ადამიანმა ტიტო ვილანოვამ დაგვტოვა. სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს.

**ლიონელ მესი:**

– ტიტო არასდროს დამავიწყდები. ყოველთვის ჩვენთან იქნები. ოჯახს სამძიმარს ვუცხადებ.

**ერიკ აბიდალი:**

– არასოდეს დაგივიწყებ, მეგობარო. შენი ბრძოლა ჩვენთვის მაგალითი იყო. ყოველთვის განსაკუთრებული იყავი და დარჩები სამუდამოდ ჩემს გულში.

**სესკ ფაბრეგასი:**

– ტიტო, მადლობა იმ ყველაფრისთვის რაც ჩვენთვის გააკეთე. კარგად მახსოვს ის დღე, როდესაც გაგიცანი და გულწრფელად ვამბობ, რომ ძალიან ცოტაა შენნაირი კარგი და გამორჩეული ადამიანი. მადლობა შენ იმისათვის, რომ ყოველთვის გვერდში მედექი, მეხმარებოდი და მასწავლიდი. ჩვენს გულებში შენი ადგილი მუდამ იქნება. ნათელში განისვენე, ტიტო .

**დავიდ ვილია:**

– სამძიმარს ვუცხადებ ტიტოს ოჯახს. ის ნამდვილ მებრძოლად დარჩება. ჩვენ მას არასდროს დავივიწყებთ.

ვილანოვას გამოემშვიდობა მისი საფეხბურთო მტერი, მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად კი ლონდონის „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მოურინიუ, რომელმაც „თვითერზე“ დაწერა გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

– ვილანოვას გარდაცვალება მსოფლიო ფეხბურთში სამწუხარო მოვლენაა. ყველაზე მძიმე კი „ბარსელონასთვის“ და ტიტოს ოჯახისთვისაა. საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ სახელით ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ და ვიზიარებ მათ ტკივილს.

ტიტო ვილანოვას გამოსამშვიდობებელი ცერემონიალი დღეს, 28 აპრილს, ბარსელონას საკათედრო ტაძარში გაიმართება და დღესვე დაკრძალავენ.

ვილანოვას ხსოვნის პატივსაცემად, შაბათ-კვირას გასამართი ყველა ქვეყნის ჩემპიონატის მატჩები წუთიერი დუმილით დაიწყო, ხოლო ფეხბურთელები სპეციალური შავი სამკლავურებით გავიდნენ სათამაშო მოედანზე.

მ. ჟ.

# სკანვორდი



1. ქვეყნის სამხედრო თავდასხმა სხვა ქვეყანაზე; 2. არგონავტების ხომალდი; 3. მზის სისტემის პლანეტა; 4. გარეული ცხოველი ლამაზი რქებით; 5. მუშაობისა და ენერგიის საზომი ერთეული; 6. ლატვიის დედაქალაქი; 7. სიტყვათა გრამატიკული კლასი ზოგ ენაში; 8. წრის ნაწილი; 9. პატარა ზომის კენგურუ; 10. „შენ ხარ ...“; 11. მდინარე ჩრდილო ამერიკაში; 12. ბილიარდის ჯოხი; 13. მხატვრული ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი; 14. მთა მესხეთის ქედზე; 15. ბერძნული ანბანის ასო; 16. ნებადართული, დაკანონებული; 17. შენიღბული დაცინვა; 18. ჭაობის მცენარე; 19. დიდი, საზეიმო, ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 20. მწერალი ... ბეჟანიშვილი; 21. მეგრული კერძი; 22. მთავრობის დიპლომატიური მიმართვა სხვა ქვეყნის მთავრობისადმი; 23. ერთგვარი პური; 24. მტაცებელი ცხოველი; 25. მაჰმადიანთა ღმერთი; 26. შეუწვავი, მოუხარშავი; 27. სახელდახელოდ თქმული გამკილავი ლექსი; 28. ... ბოლდუინი; 29. თვითმფრინავიდან გადმოსახტომი მოწყობილობა; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. პირი, რომელიც სპორტულ შეჯიბრებას სჯის; 32. გრაფი, ..., ჰერცოგი; 33. ჭადრაკის ფიგურა; 34. „მონა ...“ (ტელესერიალი); 35. ალგორითმული ენა.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ედისონი; 2. ბუშლატი; 3. ქიზიყი; 4. პატიო; 5. დიფუზორი; 7. ექო; 11. ნერუდა; 15. ერუპცია; 16. ღალატი; 17. ბარჯი; 18. მრუმე; 20. ტიბრი; 22. ხიდი.

**თარაზულად:** 6. დისნეი; 8. ლუტეცია; 9. „პეტროფი“; 10. სორბონა; 12. ჯაყვა; 13. ოპიზა; 14. აპერკოტი; 19. ბიუჯეტი; 21. ნავახა; 23. რიალი; 24. უჯრედი; 25. „მიტარბი“; 26. „ვერდილიო“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მოლუსკი; 2. „ოსასუნა“; 3. შტუტგარტი; 4. მაჩუბი; 5. სტრიტი; 9. პაქტი; 10. სკუტერი; 14. მარკეტინგი; 15. „მირანგულა“; 16. ღალატი; 19. ბულიონი; 20. რუტინა; 21. ძირულა.

**თარაზულად:** 6. კონოსამენტი; 7. ინფანტი; 8. კუმისი; 11. გამბიტი; 12. შნეკი; 13. კრედიტი; 17. დიოსკურია; 18. „ხვანჭკარა“; 22. ბულბული; 23. ტრიესტი; 24. ანსამბლი; 25. „ტარიბანა“.



ჩვენს საყვარელ მანანა კორძაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს!

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას,

სიხარულს, სიყვარულს. მისთვის მუდამ ანათებდეს მზე,

უფალი ფარავდეს ყველგან და ყოველთვის!

'ახალი თაობის' რედაქცია

# ჩერნობილის ტრაგედიიდან 28 წელი გავიდა

28 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორიაში ატომური ენერგეტიკის ყველაზე მასშტაბური კატასტროფა მოხდა. 28 წლის წინ, სსრკ-ს ჩერნობილის ატომურ სადგურში აფეთქება მოხდა, რის გამოც მის გარშემო რადიაციის ფონი რამდენიმე ასეულჯერ გაიზარდა. მთელი ქალაქი ერთ დღეში მთლიანად დაიცალა, რადიაციული დასხივების გამო კი უამრავი ადამიანი დაიღუპა.

მართალია კატასტროფა სსრკ-ში მოხდა, თუმცა მისი დაშლის შემდეგ, ჩერნობილის პრობლემები უკრაინას დარჩა.

უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე ტურჩინოვმა პატივი მიაგო ჩერნობილის კატასტროფაში დაღუპულებს და განაცხადა, რომ უკრაინას ახსოვს „ჩერნობილის გმირები“.



შეგახსენებთ, რომ ფოტოგრაფ ელენ ვეილეუქსს ჩერნობილის საშიშ ზონაში ფოტოების გადაღების საშუალება მისცეს. ელენმა ქალაქ ჩერნობილსა და პრიპიატში მიტოვებული სკოლები, მაღაზიები, საცურაო აუზები, სათამაშო მოედნები და სახლები გადაიღო. ადამიანებისგან დაცლილი ქალაქი, რომელსაც „მოჩვენებათა ქალაქსაც“ უწოდებენ, კატასტროფიდან 28 წლის შემდეგ ტყედაა ქცეული.

დღესაც კი ტერიტორიაზე მაღალი რადიაციაა, თუმცა, საშიშ ზონაში ტურისტების ნაკადი არ წყდება. ტურისტებისთვის და მუშებისთვის ქალაქში შესვლა სპეციალური საშვითაა შესაძლებელი – უსაფრთხოებისთვის ქალაქში გაჩერება მხოლოდ რამდენიმე საათითაა დაშვებული.

1986 წელს ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის 4-ე რეაქტორზე აფეთქება მოხდა. ხანძრის ჩაქრობას 10 დღის განმავლობაში სადგურის რამდენიმე ასეული თანამშრომელი ცდილობდა. ბირთვული აფეთქების შედეგად რეაქტორი მთლიანად დაინგრა, რამაც ვრცელი ტერიტორიის რადიოაქტიური დაბინძურება გამოიწვია. მსოფლიო რადიაციის ღრუბელში გაეხვია – ეს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ატომური კატასტროფა იყო.

მეცნიერების თქმით, ტერიტორია საცხოვრებლად ვარგისი მომავალი 20 000 წლის მანძილზე არ იქნება.

# რუსეთს კონფლიქტის გადასაწყვეტად თითი თითზე არ დაუკარებია“



რუსეთმა უნდა შეწყვიტოს უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაცია, – ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ მალაიზიაში ვიზიტისას განაცხადა. „უნდა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები, რომელთა მიზანი იქნება რუსეთს ვუთხრათ, რომ მისი ქმედებები უკრაინის აღმოსავლეთსა და სამხრეთ რეგიონებში დესტაბილიზაციის გამომწვევია და უნდა შეწყდეს“, – აღნიშნა ობამამ და დასძინა, რომ რუსეთს თითი თითზე არ დაუკარებია კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით.

ამასთან, ბარაკ ობამას თქმით, აშშ რუსეთს დამატებით შეზღუდვებს დაუწესებს. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ევროპასა რუსეთზე ზეწოლის საქმეში ერთიანობისკენ მოუწოდა.

„ჩვენი პოზიცია უფრო ძლიერი იქნება, თუ პრეზიდენტი პუტინი დაინახავს, რომ აშშ და ევროპა, ისევე, როგორც მთელი მსოფლიო, ერთიანია და არა იმას, რომ ესაა კონფლიქტი რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის“, – განაცხადა ბარაკ ობამამ.

ამერიკის ინდიანას შტატის რესპუბლიკელი სენატორის და გერმანიაში აშშ-ის ყოფილი ელჩის დენ კოუტსის განცხადებით კი, პრეზიდენტ ობამას ის გამბედაობა და სიუხეშე არ ჰყოფნის, რომელსაც მისგან ელიან. ამის შესახებ სენატორმა უცხოური მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

სენატორმა რუსეთის მიმართ ობამას პოლიტიკას „უკბილო“ უწოდა.

„ობამამ არაერთხელ განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი საკუთარი ქმედებების გამო მაღალ საფასურს გადაიხდიდა, თუმცა საქმეში კი მხოლოდ ხმამაღალი სიტყვებით შემოიფარგლა, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში პრეზიდენტს არაერთხელ მოუწოდეს რიტორიკა მკაცრი ქმედებებით ჩაენაცვლებინა. ეკონომიკური, ფინანსური სანქციები რომლებიც რუსეთის ეკონომიკას დიდ ზიანს მიაყენებს, ამ დრომდე არ არის შემოღებული. ამით აშშ უჩვენებს პუტინს რომ: „შეგიძლია გააკეთო რაც მოგესურვება, რადგან აშშ უკბილოა და წინააღმდეგობას ვერ გიწევს“. აშშ-მა უკრაინას რიგი ზომების გამოყენებით უნდა დაუჭიროს მხარი, რომლებიც რუსეთის ჯიბეს, მის საბანკო სისტემასა და ექსპორტს დიდ დარტყმას მიაყენებს. ამისთვის ამერიკამ ევროპელი მოკავშირეებისა და ნატოს სამხედრო ბლოკის მხარდაჭერის მყარი გარანტია უნდა მიიღოს“, - განაცხადა დენ კოუტსმა.

შეგახსენებთ, რომ „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების ლიდერები რუსეთისთვის დამატებითი სანქციების სწრაფად დაწესების თაობაზე შეთანხმდნენ. ამის შესახებ ინფორმაციას თეთრი სახლის ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

„უკრაინაში მომდევნო თვეს გასამართი საპრეზიდენტო არჩევნების წარმატებით, მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით ჩატარების უზრუნველყოფის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ ავიღეთ ვალდებულება ვიმოქმედოთ დაუყოვნებლივ, რათა გავაძლიეროთ მიზანმიმართული სანქციები და ზომები, რომელიც რუსეთის ქმედებების საფასურს კიდევ უფრო გაზრდის“, – ნათქვამია „დიდი შვიდეულის“ განცხადებაში.

ამასთან, განცხადებაში აღნიშნულია, რომ კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, დიდი ბრიტანეთის, აშშ-ის ლიდერები, ასევე ევროსაბჭოსა და ევროკომისიის პრეზიდენტები ღრმა შეშფოთებას გამოთქვამენ აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტების ქმედების გამო.

# ჩვენ ტყვეები არ ვართ, ჩვენ სლავიანსკის მერის სტუმრები ვართ“

ჩვენ ტყვეები არ ვართ, ჩვენ ქალაქის მერის, პონომარიოვის სტუმრები ვართ, – ამის შესახებ სლავიანსკში პრორუსულად განწყობილი სეპარატისტების მიერ დაკავებულმა ეუთოს მისიის ხელმძღვანელმა აქსელ შნაიდერმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

უკრაინული მედიის ინფორმაციით, სეპარატისტებმა მისიის დაკავებულ წევრებთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს, სადაც ოფიცრებმა აღნიშნეს, რომ თავს სამხედრო ტყვეებად არ მიიჩნევენ, თუმცა არ იციან, როდის შეძლებენ სახლში დაბრუნებას.



„უკვე რამდენიმე დღეა აქ ვიმყოფებით, ამ ქალაქში, ქალაქის მერის მეთვალყურეობის ქვეშ. თავდაპირველად სარდაფში მოგვათავსეს და ჩვენ თვითონ უნდა შეგვექმნა პირობები. გუშინ უფრო მყუდრო ადგილას გადაგვიყვანეს, სადაც გათბობა და კონდიციონერია“, – განაცხადა შნაიდერმა.

ამასთან, ეუთო-ს მისიის წარმომადგენლების თქმით, მათ არ იციან, სად იმყოფებიან ამჟამად მათთან ერთად დაკავებული უკრაინელი ოფიცრები.

ავტობუსი, რომელშიც ეუთო-ს 7 წარმომადგენელი, ასევე უკრაინის შეიარაღებული ძალების სამხედროები იმყოფებოდნენ, სლავიანსკში 25 აპრილს გაიტაცეს.

სლავიანსკელი სეპარატისტების ლიდერებმა მზადყოფნა გამოთქვეს ეუთოს სამხედრო დამკვირვებლების გათავისუფლების საკითხზე გამართონ მოლაპარაკებები. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მოსკოვს მოუწოდა ეუთოს ძალისხმევას ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მხარი დაუჭიროს.

პრორუსულმა სეპარატისტებმა, რომლებიც უკრაინის აღმოსავლეთში ქალაქ სლავიანსკს აკონტროლებენ, განაცხადეს, რომ მზად არიან ეუთოსთან გამართონ მოლაპარაკებები სეპარატისტების მიერ დატყვევებული ეუთოს სამხედრო დამკვირვებლების გათავისუფლებასთან დაკავშირებით.

ამავე დროს, სლავიანსკის თვითგამოცხადებული მერის ვიაჩესლავ პონომარიოვის განცხადებით, სეპარატისტებისათვის პრიორიტეტულია ეუთოს ინსპექტორების დაპატიმრებულ სეპარატისტებზე გადაცვლა. სეპარატისტების ლიდერმა აღნიშნა, რომ დატყვევებული დამკვირვებლები, რომელთა შორის 4 გერმანელია, თავს კარგად ცნობენ. ერთ-ერთ დამკვირვებელს, რომელსაც სეპარატისტები ჯაშუშს უწოდებენ, დიაბეტითაა დაავადებული.

ეუთოს დამკვირვებლების დატყვევება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის რუს კოლეგასთან სატელეფონო საუბრის მთავარი თემა იყო. ჯონ ქერიმ სერგეი ლავროვს მოუწოდა „მხარი დაუჭიროს 13 ინსპექტორისა და მათი უკრაინელი თანმხლები პირების უპირობო გათავისუფლებას“.

თავის მხრივ, რუსმა მინისტრმა ჯონ ქერის მოუწოდა იქონიოს გავლენა უკრაინის ხელისუფლებაზე, რათა მან დაპატიმრებული სეპარატისტები გაათავისუფლოს.

ეუთო-ს მისიის პრესმდივნის ტატიანა ბაევაიას განცხადებით, ეუთოს ჯგუფი სამხედრო ინსპექტორების გათავისუფლებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების გამართვის მიზნით, დონეტჩინაში ჩავა.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას „რადიო თავისუფლება“ ავრცელებს.

„ეუთომ სლავინსკში მოლაპრაკებების საწარმოებლად სპეციალური ჯგუფი გაგზავნა, რომელიც სამხედრო ინსპექტორების გათავისუფლებას უზრუნველყოფენ. ველოდებით, რომ რეგიონში ისინი დღეს ჩავლენ“, – განაცხადა ეუთოს პრესმდივანმა ტატიანა ბაევაიამ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ათი ხარისხად 36 (ინგლისში, გერმანიაში, ...); 7. ერთგვარი თუთიყუში; 8. თეატრი პარიზში; 9. ზღვის მეკობრე; 13. თურქული ტელესერიალი; 14. აზიის მთიანეთში გავრცელებული ველური ცხვარი; 18. აშშ-ის თავდაცვის უწყება; 19. რისამე დროებით შეწყვეტა; 21. ძვირფასი მინა; 22. წყაროს წყალი; 23. დიდი ხერხი; 24. რაიმე თეორიის ძირითადი დებულება.

**შვეულად:** 1. მოკლე მოსასხამი; 2. ჯორჯიის შტატის ადმინისტრაციული ცენტრი (აშშ); 3. მახინჯი ქონდრისკაცი გერმანულ მითოლოგიაში; 4. რისთვისაც ფუტკარი ყვავილებს სტუმრობს; 5. პურის ნაჭრების შესაწვავი მოწყობილობა; 10. მონარქიის ტიტული სპარსეთში; 11. რისამე საზომი; 12. ქალაქი-პორტი იტალიაში; 15. იაპონური სამსიმიანი საკრავი; 16. დაქირავებული გემით გადაზიდული ტვირთი; 17. სატანვარჯიშო იარაღი; 20. კათოლიკური ჯვარი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



# გრიბოედოვის თეატრი სტამბოლში მიდის

*ეკა ირემაშვილი*

28 აპრილს ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლით „გეტო“ სტამბოლში, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე მიემგზავრება. გასტროლები თეატრის წინასაიუბილეო ტურნეს ნაწილია. 2015 წელს გრიბოედოვის თეატრი 170 წლის იუბილეს აღნიშნავს.

სპექტაკლის წინასაფესტივალო ჩვენება გრიბოედოვის თეატრის მცირე სცენაზე უკვე გაიმართა. თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო წითლანაძემ „ახალ თაობას“ განუცხადა:

– სპექტაკლის პრემიერა შედგა 2010 წლის 10 მაისს ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, ხოლო 2010 წლის 18 მაისს ამ სპექტაკლით გაიხსნა გრიბოედოვის თეატრის ახლად გარემონტებული დიდი სცენა. სპექტაკლმა იმოგზაურა სანკტ-პეტერბურგში, ბაქოში, კაიროში, ერევანსა და ოდესაში. „გეტო“ ერთმოქმედებიანი მუსიკალური დრამაა, რომლისთვისაც მუსიკა სპეციალური მოწვევით იოსებ ბარდანაშვილმა შექმნა. პიესა „გეტო“ ებრაელ დრამატურგ ჯოშუას სობოლს ეკუთვნის და მოგვითხრობს მეორე მსოფლიო ომის პერიოდზე, როდესაც ვილნიუსის ებრაულ გეტოში შეიქმნა პროფესიული თეატრი. პიესა ეფუძნება რეალურ ფაქტებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ნაცისტების მიერ 1942-1943 წლებში ოკუპირებულ ვილნიუსში. სიუჟეტი აგებულია ებრაელი მომღერალი ჰაის და გეტოს უფროსის გერმანელი კიტელის ირგვლივ. ეს არის განწირულ ადამიანთა მიერ სასწაულის მოხდენის – თეატრის შექმნის ამბავი. სპექტაკლში მონაწილეობენ აპოლონ კუბლაშვილი, სლავა ნათენაძე, მიხეილ ამბროსოვი, ირინა კვიჟინაძე, მედეა მუმლაძე, მიხეილ არჯევანიძე, ოლეგ მჭედლიშვილი, დიმიტრი მერაბიშვილი, ლიუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი, ნანა დარჩიაშვილი, სოფიო ლომჯარია, დიმიტრი სპორიშევი, ვასილ გაბაშვილი, ალექსანდრე ლუბინეცი, ნინო ნინიძე, ნინია კალატოზიშვილი.

სტამბოლში გამგზავრებამდე გრიბოედოვის თეატრი ბათუმშიც იყო მიწვეული, სადაც ორი სპექტაკლი ითამაშა. თბილისელ მსახიობებს მასპინძლობა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა გაუწია.

გრიბოედოვის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო წითლანაძემ აღნიშნა:

– გასტროლების პირველ დღეს წარმოდგენილ იქნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ავთანდილ ვარსიმაშვილის დადგმა „მაიაკოვსკი“, რომელიც დიდი რუსი პოეტის იუბილეს მიეძღვნა. მთავარ როლებს ასრულებენ ვანო ქურასბედიანი, აპოლონ კუბლაშვილი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი, ნანა დარჩიაშვილი, ნინო ნინიძე, დიმიტრი სპორიშევი, ნინო კიკაჩეიშვილი, სოფიო ლომჯარია, მიხეილ არჯევანიძე და სხვები. სპექტაკლის პრემიერა შედგა შარშან 19 ივლისს საერთაშორისო რუსულ-ქართული პოეტური ფესტივალის „სრული ხმით“ ფარგლებში ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე. ხოლო გასტროლის მეორე დღეს ბათუმელმა მაყურებელმა ორჯერ იხილა საბავშვო სპექტაკლი „ალისფერი იალქნები“, რომელიც რეჟისორმა ვახტანგ ნიკოლავამ ალექსანდრე გრინის ცნობილი ფეერიის მიხედვით დადგა. სპექტაკლს ესწრებოდნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები, ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან და ბავშვთა სახლებიდან. გრიბოედოვის თეატრის სპექტაკლებს ასევე ეწვია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე. ჩვენი თეატრის გასტროლების მხარდაჭერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და ბათუმის მერიამ ითავა.

# TV პროგრამა

**ორშაბათი 28 აპრილი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 01.00** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.20** "ჩემი წიგნი" **15.25** "ტელებლოგი" **17.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **18.00** ტ/სერ. **"სიყვარული შიშით"** **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"ჯონაჯ პექსი"** (ჯ.მალკოვიჩი)

**08.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "დუბლინი" **08.45** მხ/ფ **"სვავებს შორის"** **10.20** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ფლორენცია" ტოსკანა" **10.45** მხ/ფ **"სრულყოფილი სამყარო"** **13.00** "უნივერსიტეტი" (შაბ. გ/ჩვ) **14.00** "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) **15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **16.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** 6 სერ. **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

**07.00** მხიარული კამერა **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"შურისმაძიებელი"** **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 16.50** TV - მარკეტი **14.40, 15.05, 16.03** სერ. **"სიყვარული" ცა და მიწა"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"შავი ვარდი"** 5 სერ. **22.00** ორი ვარსკვლავი **00.00** მხ/ფ **"ვიკინგები"** (ს.მაილსი) **02.10** მხ/ფ **"დეჟა ვუ"** (ვ.კილმერი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"არ დამივიწყო"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** X - ფაქტორი **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.10** დ/ფ "ველური ბუნება" **06.35** ქვიშით ნაამბობი **06.45** მხ/ფ **"მხიარული რომანი"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ **"შერეკილები"** **13.20** თეთრიდან თეთრამდე **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** სპექტაკლი - **"ძველი ვოდევილები"** **16.55** დ/ფ "ველური ბუნება" **17.20** დ/ფ "ქართული კერამიკა" **18.05** განთიადის სტუმარი **18.35** ერთსულოვნების ვერნისაჟი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **19.15** მხ/ფ **"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"** **20.40** ძილი ნებისა **21.25** პატერიკი **21.20** სახლი ღვთისა **21.40** კვირიაკეს სიუჟეტი **22.25** პორტრეტები ერთულოვნების გალერეიდან **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "წუთისოფლიდან მარადისობისკენ" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმი **8.00, 22.00** "ყოველდღიური ა(მ)ბები/ვასიკო ოდიშვილისგან (გამ.) **8.20** სამედიცინო გადაცემა "პულსი"(გამ.) **9.00, 12.00, 15.00, 18.00** მაესტრო **9.00, 12.00, 15.00, 18.00** ახალი ამბები **9.30** ბიზნეს კონტაქტი (დილის ბლოკი) პ/ე **9.50, 11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00,** ამბები მოკლედ **10.02, 11.03 სერიალი "ჩემი შვილები"** **11.50, 15.45** პრესის მიმოხილვა **12.30, 13.02, 1.20**, ბიზნეს კონტაქტი პ/ე **13.15** ტაიმ-აუტი (სპორტული გადაცემა) პ/ე **13.30, 14.02** ოთხი ელემენტი (შუადღის შოუ) პ/ე **16.02, 17.02, 20.05 სერიალი "დაკარგული ქალაქი"** **17.45, 2.00**, "ყოველდღიური აბები" **18.25, 2.15**, თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.) **19.02 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00, 2.50**, ახალი ა(მ)ბები ბექასთან და მანიკასთან ერთად **21.00** მაესტროს "ცხრიანი" პ/ე **22.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.30**, ბრძოლა წესების გარეშე **0.10, 3.20 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b
b,tzlt,f cffutynj
3byajpfdhbc4 yt,fhsdbs